შესაძლებელია, რუსეთმა ახალი წინადადებები შესთავაზოს საქართველოს A2 | "თქვენი აფხაზეთი" A8 | მეცნიერება და ტექნიკა B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 26 ნოემბერი, 2003 წელი. №307 (519) | ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

ბურჯანაძე სახელმწიფო კანცელარიაში გადადის

კანცელარიის აპარატის უფროსი პეტრე მამრაძე გუშინ დილით, კანცელარიის სხვა თანამშრომლებთან ერთად, მოქმედ პრეზიდენტ ნინო ბურჯანაძეს ძველი სტატუსით შეხვდა, შუადღისთვის კი სახელმწიფო მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დაწინაურდა. მამრაძე ამ მოვალეობას მეოთხედ ასრულებს.

A3

ეკონომიკა

დროებითმა ხელისუფლებამ საბიუჯეტო კომაში მყოფი ქვეყანა "გადაიბარა"

საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი მეტად მძიმე სიტუაცია დროებითი ხელისუფლებისგან ძალიან აქტიურ და დაუყოვნებელ მოქმედებებს ითხოვს.
არის მთელი რიგი ეკონომიკური წინაღობები და ეკონომიკური საფრთხეები, რომელთა გადალახვაც ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს - სწორედ ამას მოელის მისგან საზოგადოება.

A4

უცხოეთი

დსთ-ს ლიდერები ქართული დემოკრატიით უკმაყოფილონი არიან

უკრაინის ოპოზიციურმა პარტიებმა უკვე რამდენიმე პრესკონფერენცია გამართეს და ხელისუფლება გააფრთხილეს, რომ თუ ისევე უსინდისოდ გააყალბებს არჩევნებს, როგორც ეს საქართველოს ხელისუფლებამ გააკეთა, მაშინ კუჩმაც შევარდნაძის ბედს გაიზიარებს.

A5

საზოგადოება

გახმოვანებული მხარდაჭერა უნივერსიტეტის ეზოში

უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტში მომხდარ ინციდენტს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტთა ნაწილი აქცია-კონცერტით გამოეხმაურნენ.

A6

სამართალი

ყვარლის რაიონის ტრაგედიის ავტორები ლიკვიდირებულნი არიან

სამართალდამცველებმა კიდევ ორი დამნაშავის ლიკვიდაცია მოახდინეს. მკვლელობაში ეჭვმიტანილ ორივე დამნაშავეს ყვარლის რაიონის პროკურატურა იმ სამი მკვლელობისა და ერთი პიროვნების დაჭრის გამო ეძებდა, რომელიც მათ ორი დღის განმავლობაში ჩაიდინეს.

A7

ამინდი

თბილისი	16	ღრუბლიანი
ქუთაისი	19	ღრუბლიანი
ბათუმი	20	ღრუბლიანი
სოხუმი	19	მზე ღრუბლებში
ფოთი	21	მზე ღრუბლებში
თელავი	15	ღრუბლიანი
ზუგდიდი	20	მზე ღრუბლებში
გორი	13	ღრუბლიანი
ახმეტა	15	ღრუბლიანი

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1700
ევრო	2.5613
გირვანქა სტერლ.	3.6886
რუბლი	0.0730

ნაახალწლევს - ისევ არჩევნებზე

გიორგი ასანიშვილი

1999 წლის მოწვევის პარლამენტმა, თავის რიგგარეშე სესიაზე, გუშინ 155 ხმით ერთსულოვნად მიიღო დადგენილება 2004 წლის 4 იანვარს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შესახებ. სავარაუდოდ, ხვალ გამოცხადდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამართვის თარიღი. გუშინვე, პარლამენტმა ასევე ერთსულოვნად (156 მომხრე, წინააღმდეგი - არავინ) დაუჭირა მხარი გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის ბრძანების საფუძველზე, პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება გიგი წერეთელს დაევალა.

22-23 ნოემბერს განვითარებულმა მოვლენებმა, რომელიც "ვარდების რევოლუციად" მოინათლა, თითქოს დრო გააჩერა - პარლამენტის სხდომათა დარბაზში გუშინ ისევ ის დეპუტატები ისხდნენ, რომელთა უფლებამოსილების ვადაც, წესით, ამოწურული უნდა ყოფილიყო. სხვათა შორის, რიგგარეშე სხდომაზე ისინიც მრავლად მივიდნენ, ვინც 2 ნოემბრის არჩევნებში გაიმარჯვა, მაგრამ პარლამენტარის სტატუსით ტკბობა არ დასცალდა. ვერშემდგარი დეპუტატები დამწუხრებული სახით ადევნებდნენ თვალს, გახარებული "ძველები" როგორ იკავებდნენ უკვე "გამოტირებულ" სავარძლებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

ბესო გულაშვილის ფოტო

პროპორციული შედეგები გაუქმდა

გუშინ უზენაესმა სასამართლომ ორი ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს საბოლოო ვერდიქტი გამოუტანა. სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებით, გაუქმებულია როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის 20 ნოემბრის განკარგულება, ასევე შედეგების საბოლოო შემაჯამებელი ოქმი და, რაც ყველაზე მთავარია, მთლიანად პროპორციული არჩევნების შედეგები. განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ სრულად დააკმაყოფილა არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" სასარჩელო განცხადება. დარბაზში შეკრებილი ადამიანები ამ ვერდიქტს აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

გუშინდელ პროცესზე სარჩელები სამართლიანად ცნო ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმა, იურისტმა ელზა გულიაშვილმაც.

"დღევანდელმა დღემ დაამტკიცა, რომ საქართველოში შესაძლებელია სამართლიანობის აღდგენა", – განაცხადა განაჩენის გამოტანისთანავე "სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

ბუნებრივია, სასამართლო კოლეგიის გუშინდელი გადაწყვეტილება მხოლოდ პარტიულ არჩევნებს ეხება. ასე რომ, ძალაში რჩება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ის გადაწყვეტილებები, რომლითაც უკვე დამტკიცებულია მაჟორიტარული არჩევნების შედეგები. და მაინც - უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, 2003 წლის მოწვევის პარლამენტის 150 მანდატი უკვე ბათილად არის გამოცხადებული, ხოლო 85 მაჟორიტარი დეპუტატის მანდატი ახალი პარლამენტის შესაკრებად საკმარისი არ არის.

გაგრძელება A3 გვერდზე

ჩემო სიყვარულო

ანრი დე დინის უცნობი მერლინ მონრო

ხელოვნური საკონსტიტუციო კრიზისი - მთავარი საფრთხე

"საპრეზიდენტო კანდიდატურა, რომელსაც ჩვენ და "ბურჯანაძე-დემოკრატები" წარვადგენთ, იქნება ერთობლივად შეთანხმებული და თქვენ მას უახლოესი 24 საათის განმავლობაში შეიტყობთ," – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

სოფო ბუკია

"დღეს უზენაესმა სასამართლომ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოში პროპორციული სისტემით ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები. ჩემთვის ეს ორმაგად მნიშვნელოვანი დღეა. როგორც იცით, მე გადამწყვეტი როლი შევასრულე საქართველოში სასამართლო რეფორმის გატარებაში. რა თქმა უნდა, დღევანდელი სასამართლო ხელისუფლება ძალიან შორსაა იმ სტანდარტებისგან, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს, მაგრამ დღეს ჩვენ დავრწმუნდით, რომ ის ატარებს საქართველოში დამოუკიდებელ ხასიათს და ეს უკვე დიდი მიღწევაა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილება შეუძლებელი იქნებოდა ხავერდოვანი "ვარდების რევოლუციის" გარეშე, ასე რომ, ეს არის ხალხის დიდი მონაპოვარი, საქართველოს თითოეული მოქალაქის დიდი გამარჯვება," – ამის შემდეგ სააკაშვილი დეპუტატებს პარლამენტის სხდომაზე დასწრებისკენ მოუწოდებს და ურჩევს მათ, **"ხელოვნურად არ შექმნან საკონსტიტუციო კრიზისი, რომელიც საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს შექმნის."**

გაგრძელება A3 გვერდზე

ეკონომიკური კოლაფსის წინაშე

გუშინ საღამოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე ეკონომიკური ბლოკის მინისტრებს შეხვდა. შეხვედრიდან გამოსვლისას გადადგომის შესახებ განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა, ასევე ცნობილი გახდა, რომ თანამდებობა დატოვა შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა აკაკი ჩხაიძემ. ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ გადამდგარ თანამდებობის პირთა ნუსხას უახლოეს დღეებში კიდევ ორი-სამი სახე შეემატება. ეკონომიკური ბლოკის მინისტრებთან შეხვედრამდე ნინო ბურჯანაძე აშშ-ს ელჩს საქართველოში რიჩარდ მაილსს ესაუბრა და, როგორც ჩანს, ფინანსური დახმარების გარანტიებიც მიიღო. "ჩვენ დავეხმარებით საქართველოს ეკონომიკურად," - აცხადებდა მაილსი შეხვედრის შემდეგ.

მაია ურუშაძე

"მე უფრო მარტივი მეგონა ამ სისტემაში პრობლემების მოგვარება, მაგრამ რთული აღმოჩნდა," – განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს მირიან გოგიაშვილმა და გადადგა. ის მიიჩნევს, რომ ფინანსთა სამინისტრომ ყველაფერი გააკეთა თავიდანვე კრიტიკის ქარცეცხლში მოყოლილი ბიუჯეტის შესასრულებლად. **"ჩვენ კონტრაბანდის ბევრი ხვრელი ამოვავსეთ. ამასთან, იმედია, დეკემბერში საგადასახადო კუთხით აქტივობა მაღალი იქნება, ასე რომ, ბიუჯეტის შესრულების პერსპექტივები კიდევ არის,"** – ასეთი პროგნოზით "დააიმედა" ფინანსთა ყოფილმა მინისტრმა ეკონომიკური კოლაფსის წინაშე მდგარი ქვეყნის ხელმძღვანელობა თანამდებობის დატოვებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ.

ოპტიმისტურ პროგნოზებზე ისაუბრა საგადასახდო სამსახურის თავკაცმა იასე ზაუტაშვილმაც, რომელსაც, კატასტროფულად გარღვეული ბიუჯეტის გამო, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში მოუწევს თანამდებობის დატოვება.

გაგრძელება A4 გვერდზე

საქართველოს ვარდების რევოლუცია

ზეინო ბარანი
ნიქსონის ცენტრის ენერგეტიკისა და საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამების დირექტორი

23 ნოემბერს თბილისში მომხდარი დემოკრატიული რევოლუცია – რევოლუცია და არა გადატრიალება – ერთი გასროლის გარეშე დასრულდა. ეს ისტორიული მომენტია საქართველოსთვის, ქვეყნისათვის, რომელიც მეგობრულადაა განწყობილი აშშ-სადმი და ტერორიზმთან ბრძოლის წინა ხაზზე მდებარეობს. დემონსტრანტებმა მშვიდობიანად მიაღწიეს თავიანთ კონსტიტუციურ მიზანს – დაიცვეს საკუთარი ხმები. საქართველო ახლა შეიძლება გახდეს ნიმუში დიდი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის, რომლებშიც აშშ დემოკრატიის დამყარებას ცდილობს.

ყველა მხარე ძალზე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით იქცეოდა, მათ შორის - ყოფილი პრეზიდენტი შევარდნაძეც. მან არ გამოიყენა ძალა და ღირსეულად დატოვა თანამდებობა. მან დაამტკიცა, რომ ჭეშმარიტი სახელმწიფო მოღვაწეა. ნინო ბურჯანაძემ (მოქმედი პრეზიდენტი) და მიხეილ სააკაშვილმა (სავარაუდოდ, მომავალი პრეზიდენტი) შევარდნაძის ისტორიულ როლზე, მისი გადადგომის შემდეგ, ძალზე დადებითად ისაუბრეს.

გაგრძელება A5 გვერდზე

ასანიძე ნინო ბურჯანაძის დავალებებს შეასრულებს

"რკინის მინისტრის" კახა თარგამაძის შემდეგ, რევოლუციას გადაყოლებულმა შს მეორე მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა კაბინეტი გუშინწინ, მას შემდეგ, რაც გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა, დაუყოვნებლივ დატოვა. სამინისტროს დროებითი ხელმძღვანელის სავარძელი რამდენიმე საათით თავისუფალი იყო...

ინგა ალავიძე

გუშინ დილით, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე, კანცელარიის თანამშრომლებთან შეხვედრის შემდეგ, შსს-ში მივიდა და, ფაქტობრივად, პირველი საკადრო ცვლილება განახორციელა. სამინისტროს სააქტო დარბაზში შეკრებილ პოლიციის მაღალჩინოსნებს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა მისი არჩევანის შესახებ ამცნო. მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე – 42 დღის განმავლობაში - შს მინისტრის მოვალეობის შესრულება მინისტრის მოადგილეს, კრიმინალური პოლიციის ზედამხედველს, რუბენ ასანიძეს დაეკისრა.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 პოლიტიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი
B1 სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მეცნიერება | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

შესაძლებელია, რუსეთმა ახალი წინადადებები შესთავაზოს საქართველოს

გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთის ხელისუფლების ინიციატივით დღეს მოსკოვში შედგება აჭარის, აფხაზეთისა, სამხრეთ ოსეთის ლიდერთა შეხვედრა. როგორ უნდა გავიგოთ ეს ფაქტი? - "24 საათის" კორესპონდენტს ესაუბრება ედუარდ კოკოითი.

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

- რა მიზნით შეიკრიბა ეს "სამეული" მოსკოვში?

- ჩვენს კონფლიქტებში შუამავალი იყო და რჩება რუსეთი, იგია საქართველოში მშვიდობის გარანტი. ამიტომ, რადგანაც საქართველოში დღეს ხელისუფლება აღარ არსებობს, ჩვენ გვაქვს უფლება ეროვნულ თვითგამორკვევაზე და სხვა რამეზეც. ამიტომ რუსეთი შეუცვლელი შუამავალია.

- განიხილავთ თუ არა ოფიციალური მოსკოვის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის პერსპექტივას?

- ამის პოლიტიკური და ისტორიული მოტივაცია არსებობს: 1774 წელს ერთიანი ოსეთის დელეგაციამ სანკტ-პეტერბურგში ხელი მოაწერა რუსეთის იმპერიაში შესვლას. გვიბიძგებს ისიც, რომ ჩვენ ვიყავით იმ საქართველოს ნაწილი, რომელიც უკვე აღარ არსებობს.

- არის ინფორმაცია, რომ თქვენ მობილიზაცია გამოაცხადეთ.

- როცა თბილისში მიტინგის კულმინაცია იყო, სათანადო სამსახურებისაგან ჩვენ მივიღეთ გაფრთხილება, რომ ოპოზიცია ჩვენზე გამოლაშქრებას აპირებდა. უფრო მეტიც, საგანგებოდ გაწვრთნილი ქართული სპეცნაზი მოდიოდა. იგივე სამსახურებისგან მივიღეთ გაფრთხილება საზღვრების გამაგრებაზე. ჩვენი შეიარაღებული ძალები გულხელდაკრეფილნი ვერ იქნებიან.

- თქვენ არ ცნობდით ედუარდ შევარდნაძეს, არ გსურდათ მასთან საუბარი. ახალი ლიდერებიდან ვისთან ითანამშრომლებთ?

- ჩვენ ვითანამშრომლებთ მხოლოდ ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან, მაშინ, როცა საქართველოში არჩევნები ჩატარდება, თუ მის შედეგებსაც არ გააყალბებენ. ვითანამშრომლებთ საქართველოს იმ საღ ძალებთან, ვინც ძალადობას არ იქადაგებს. ეს სულაც არ იყო "ხავერდოვანი გადატრიალება". მე მაქვს ინფორმაცია, რომ მიტინგის ბოლოს მასა უკონტროლო იყო.

- "სამხრეთ ოსეთის" ქართული მოსახლეობა მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში?

- ჩვენ მათ ხელს არ შევუშლით.

- მოსკოვში აჭარის, აფხაზეთის, "სამხრეთ ოსეთის" ლიდერთა შეხვედრა რა შედეგს გამოიღებს?

- უნდა გაგრძელდეს კონსულტაციები. ქართულ მხარესთან დიალოგის კარგი გამოცდილება გვაქვს და ის, რაც დავაგროვეთ, არ უნდა დავკარგოთ.

■ ■ ■

რუსეთის ხელისუფლებამ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში ეთნოკოფნლიქტების დარეგულირების ახალი წინადადებები წარმოადგინა. უცვლელი რჩება ის, რომ მთავარი გამშველებელი ძალა კვლავ რუსეთია. რუსი პოლიტოლოგის სტანისლავ ბელკოვსკის სქემა უკვე მუშაობს დნესტრისპირეთში.

15 ნოემბერს კრემლში, უშიშროების საბჭოს მდივანთან ვლადიმირ რუშაილოსთან მიღებაზე დაბარებული იყო მოლდოვას პრეზიდენტი, რომელსაც დნესტრიპირეთის კონფლიქტის დარეგულირების მოსკოვური წინადადებები გადასცეს. დოკუმენტს ასე ჰქვია: **"მემორანდუმი მოლდოვა-დნესტრისპირეთის ერთიანი სახელმწიფოს პრინციპებზე"**.

მოსკოველი ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ასეთივე გეგმა კრემლმა შეიძლება, სტანდარტული დოკუმენტის სახით, შესთავაზოს საქართველოს და აზერბაიჯანს. რუსი ექსპერტების აზრით, ამ დოკუმენტში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული კონფლიქტის ორივე მხარის ინტერესები. კრემლის მიერ შემუშავებული ეთნოკონფლიქტების დარეგულირების ახალი დოკუმენტი შეიცავს კონფედერაციულ რესპუბლიკებში მმართველობის ახალ პრინციპებს, დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და გარანტიებს.

ნაახალწლევს - ისევ არჩევნებზე

პირველი გვერდიდან

თუმცა ისინი, ვინც ნოემბრის რევოლუციამ კიდევ რამდენიმე თვით შეყარა ერთ ჭერქვეშ, "ძველებურად" სულაც არ იქცეოდნენ - გუშინ ნამდვილად ვერ გაარჩევდით, ადრე ვინ ოპოზიციაში იყო და ვინ - სახელისუფლებო ბანაკში. ყველა ერთმანეთს პირზე კოცნით ხვდებოდა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადაწყვეტილებებსაც ერთხმად, ყოველგვარი კამათის გარეშე იღებდა.

სრული "ნეტარების" სურათს სხდომათა დარბაზში რამდენიმე "თვალსაჩინო" ფიგურის არყოფნა "აფერმკრთალებდა": რიგგარეშე სესიაზე მიბრძანება არ ინებეს ჯემალ გოგიტიძემ, გურამ შარაძემ, დავით გამყრელიძემ, ვახტანგ რჩეულიშვილმა, ირაკლი ბათიაშვილმა, ირაკლი გოგავამ, ვაჟა ლორთქიფანიძემ...

გუშინდელი ოპონენტები ერთმანეთს ღიმილითა და თბილი სალმით ხვდებოდნენ.

მათზე გაცილებით უკეთ შეაფასეს ვითარება "მრეწველთა" ლიდერებმა გოგი თოფაძემ და ზურაბ ტყემალაძემ, სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლებმა ელგუჯა მეძმარიაშვილმა, ვიტალი ხაზარაძემ, რეზო ყიფიანმა და სხვებმა, აგრეთვე, 1999 წლის მოწვევის პარლამენტში "აღორძინების" პარტიული სიით გასულმა სანდრო ბრეგაძემ, ნათელა პატარქალიშვილმა და მუხრან მაჭავარიანმა. ისინი მიხვდნენ, რომ ბუტიაობას აზრი არა აქვს: მაშინ, როდესაც რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებამდე სულ ცოტა დროა დარჩენილი, პარლამენტის ტრიბუნაზე ნებაყოფლობით უარის თქმა დიდი სისულელე იქნება.

გუშინდელმა სხდომამ საკმაოდ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. ერთადერთი გამონაკლისი იყო ადა მარშანიას ისტერიული გამოსვლა, რომელიც "დაინტერესდა, თუ "რა მოხდა 22 ნოემბერს პარლამენტის შენობაში" და პირადად მას რას უპირებდა იმ დღეს სხდომათა დარბაზში "იარაღით შევარდნილი გიორგი ბარამიძე".

"გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთმა ლიდერმა განუმარტა "ცნობისმოყვარე" ქალბატონს, რომ სხდომათა დარბაზში ხალხის შეჭრის მომენტში ის პარლამენტში საერთოდ არ ყოფილა და სახელმწიფო კანცელარიის შენობასთან იმყოფებოდა, პირადად მას კი "არც ადრე უპირებდა რაიმეს და არც მომავალში დაუპირებს".

რაც შეეხება პირველ შეკითხვას ("რა მოხდა 22 ნოემბერს?"), მასზე პასუხი ადა მარშანიას ნინო ბურჯანაძის გამოსვლაში უნდა ეპოვა, როდესაც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ერთგვარად შეაჯამა ბოლოდროინდელი მოვლენები.

"წინა კვირას ხალხმა დემოკრატიული ღირებულებები დაიცვა. ზოგიერთი ამ დარბაზში რომ ზის, სწორედ საქართველოს მოსახლეობის დამსახურებაა," - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ. მისივე განცხადებით, საქართველოში სიმშვიდისა და წესრიგის შესანარჩუნებლად აუცილებელია, რომ ყველა ძალა გაერთიანდეს.

რიგგარეშე სესიაზე სიტყვით გამოსულმა ზურაბ ჟვანიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ 2004 წლის 4 იანვარს, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც ჩატარდეს.

ამ საკითხზე კონსულტაციები პარლამენტში დღეს გაიმართება.

ნინო ბურჯანაძეს ეუთო-ს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე იწვევენ

მერი კახიანი
ვენიდან

"ეუთოს თავმჯდომარის წარმომადგენელმა ვენაში იუსტუს დევისერმა გამოთქვა სურვილი, რომ 1-2 დეკემბერს მაასტრიხტში დანიშნულ ეუთო-ს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მიიწვიონ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე," - განაცხადა "24 საათთან" საუბარში ეუთო-ში საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა გიგა ბურდულიმ. მისი აზრით, ეს იქნება საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების კიდევ ერთი აღიარება და დასტური მომავალი თანადგომისა.

ეუთო-ს მინისტრთა საბჭო 55 წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან შედგება და წელიწადში ერთხელ იკრიბება უმნიშვნელოვანესი საკითხების განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად. წლევანდელი, რიგითი მე-11 სხდომა, მონაწილეთა მრავალრიცხოვნებით იქნება გამორჩეული. სხდომას დაესწრებიან 45 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები, მათ შორის - ამერიკის სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი.

თავად ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე, ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი იააპ დე ჰუპ სხეფერი შემდეგ სპეციალურ განცხადებას ავრცელებს და მაღალ შეფასებას აძლევს შევარდნაძის გადაწყვეტილებას გადადგომის თაობაზე, რათა მოვლენების შემდგომი ესკალაცია და დაძაბულობა არ მომხდარიყო. სხეფერი მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ ძალას საქართველოში, მომავალშიც იმოქმედონ ქვეყნის მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

"საკუთარი პოლიტიკური მომავალი ქართველ ხალხზეა დამოკიდებული. მის მიდგომებს და სურვილს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ასაშენებლად ჩვენ გვერდში დავუდგებით. თუკი საქართველო მომავალი არჩევნების მოსამზადებლად დახმარების სურვილს გამოთქვამს, ეუთო, გამომდინარე ქართველი ხალხის ინტერესებიდან, მზად არის ამისათვის. ასევე ის მზადაა, მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად აქტიური დახმარება გაუწიოს საქართველოს," - ნათქვამია განცხადებაში.

ეუთო-ს წლევანდელი თავმჯდომარე სხეფერი 2004 წლის 1 იანვრიდან, შემდგომი ოთხწლიანი ვადით, ნატო-ს გენერალური მდივანი იქნება.

მოკლედ

აფხაზური მხარე მზადაა დიალოგისთვის

აფხაზური მხარე მზადაა, საქართველოს იმ ხელისუფლებასთან აწარმოოს მოლაპარაკებები აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად, რომელსაც ქართველი ხალხი აირჩევს.

სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ის, რაც თბილისში 23 ნოემბერს მოხდა, მართალია, იარაღის გარეშე, მაგრამ ძალის დემონსტრირებით განხორციელდა, რის შედეგადაც პრეზიდენტმა შევარდნაძემ მიიღო გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ.

"თუ ქართველ ხალხს ხელს აძლევს ის, რაც 18 –23 ნოემბერს თბილისში მოხდა, მზად ვართ, საქართველოს იმ ხელისუფლებასთან გავაგრძელოთ მოლაპარაკებები აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად, რომელსაც ქართველი ხალხი აირჩევს", - აღნიშნა შამბამ, რომელიც იმედს გამოთქვამს, რომ 45 დღის შემდეგ, საქართველოში ჩატარებული არჩევნები წერტილს დაუსვამს საქართველოში შექმნილ კრიზისულ ვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ მისთვის უცნობია, თუ რა გზას დაადგება საქართველოს ახალი ხელისუფლება აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად, იგი იმედოვნებს, რომ არჩევნების შემდეგ, მხარეებს საშუალება ექნებათ, განაახლონ მოლაპარაკებათა პროცესი აფხაზეთის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად. ***ინტერ-პრესი***

აფხაზები საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ

თბილისში განვითარებული მოვლენების გამო აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას ბრძანებულებით, დე-ფაქტო ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურები მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ. არძინბას განცხადებით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოუგვარებლობის ფონზე, „საქართველოში მიმდინარე მოვლენები სოხუმში შეშფოთების საფუძველს იძლევა". სოხუმის ტელევიზიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ სეპარატისტულმა ხელისუფლებამ გალის და გულრიფშის რაიონებში, აგრეთვე, ლათას ხეობაში დამატებითი შეიარაღებული ძალები შეიყვანა. ***მედია-ნიუსი***

Legal Department Manager

The Georgian Wholesale Electricity Market Operator (GWEM), currently managed by an international consortium under a Management Contract, seeks a lawyer for work as responsible for the provision of legal expertise to the GWEM Management. GWEM is for this challenging work looking for a senior lawyer to be posted within the GWEM organisation as manager of the Legal Department.

The Role

We are looking for a self-motivated individual with a high degree of integrity and loyalty. He will own the front of the Legal Department, with the main aim of ensuring that electricity trading within the marketplace takes place in accordance with the principles of transparency and equality of the Market Operator as established by the wholesale Market Rules and the Law on Gas and Electricity.

Scope of Work

The activity of the Legal Department will be aimed at:
- Continuing the process of development and improvement of the current legal framework related to electricity trading in close cooperation with the Regulatory Commission (GNERC);
- Providing legal expertise to the transformation of the power sector into a market oriented and sound financial sector;
- Providing expertise in a wide range of legal issues related to the day to day trading in the wholesale electricity marketplace.

Objectives

Specific objectives for this Department is:
- Effective contribution to the completion of the legal framework regulating the trading in the wholesale market by providing expertise for the amendment of the existing Market Rules and development of new ones.
- Driving legal proceedings related to compliance with Market Rules
- Provision of legal expertise to Purchase Power Agreements, Direct Contracts, etc.
- Provision of legal expertise to Arbitration and Dispute Resolution
- In the medium/long term, incorporate common directions of interest for EU and Georgia in the Georgian regulations, i.e. the current Georgian regulations and practices vis-o-vis EU Energy legislation, Energy Charter Treaty, Directive 96/22EC and other legal and/or regulatory guidelines.

The Individual

GWEM is looking for a well experienced expert (no less than seven years experience) for the Legal Department, who will work close together with lawyers in the Regulatory Commission.

The Manager of the Legal Department should be an expert with experience from senior level management posts, and from advisory positions. A very important advantage would be experience within the power sector.

General requirements for candidates:
- University degree in law
- A proven track record of minimum seven years of relevant work experience in Georgia.
- Georgian citizenship or EU citizenship of one of the Member States of the.
- Lawyers either foreign or local must be registered in Georgia should include a proven knowledge of Georgian energy related legislation and at least two years experience of transition economies and experience in legal expertise of power industry under restructure.
- Applicants need to be team players that are able to work quickly against very often tight time constraints
- Fluent in written and spoken Georgian and Russian (fluent command of English would be an advantage)
- Experience of working in the CIS/Caucasian countries would be an advantage.

Working conditions
- A competitive salary is offered while the candidate is ready to accept performance targets and consequently performance assessment.
- Job will be located in Tblisi, 45 Kazbegi Street (former Pavlov St.)

Deadline for applications

Interested candidates for this post must apply in written form before 18:00, 9 December 2003.

Please write in confidence with full career and intended salary to:

იურიდიული დეპარტამენტის მენეჯერი

[illegible]

გამოქვეყნებული რუბრიკა 2 ჰრანზია. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარულავა. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). განყოფილებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარებავა, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, საზოგადოება - ნიკოლოზ რურუა, სპორტი - ბიძინა მაკაშვილი, მედიცინა - ზაზა ფარულავა, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბაჟური - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ცოსაძე, ლელა ნიქარიძე, ნატა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი გილაშვილი, თენგიზ ქერია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯორბენაძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია ოიოუჭია. რეკლამა - ზურაბ ჯალიაშვილი.

კავკასიის სულიერი ლიდერები დღეს პუტინს შეხვდებიან

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ქართულ ეკლესიაში 25 ნოემბრის საღამოს - რუსეთის დედაქალაქში ჩასულმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მთელი დღის დაძაბული შეხვედრების შემდეგ ქართული მრევლი დალოცა. პატრიარქი [illegible], მაგრამ მაინც იმედიანი ჩანდა. "[illegible] საქართველო გადარჩება," - ასეთი იყო მისი [illegible].

პატრიარქს 26 ნოემბერსაც მნიშვნელოვანი შეხვედრები აქვს. რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში [illegible] კავკასიის სულიერი ლიდერების შეხვედრა პრეზიდენტ პუტინთან. მოსკოვის საპატრიარქოს ინფორმაციით, კავკასიის პრობლემების განსახილველად სულიერი წინამძღოლების შეხვედრა დიდი ხნის წინ იყო დაგეგმილი და საქართველოში მომხდარ მოვლენებს არაფერ შუაშია.

საქართველოს, სომხეთის, რუსეთის პატრიარქები და მუსულმანთა კავშირის მეთაური შეხვედრამდე მოსკოვის წმინდა დანილის სამონასტრო კომპლექსში შეხვდებიან. როგორც ცნობილია, რუსეთის პატრიარქი ალექსი მეორე, [illegible] საქართველოს შეხვდება.

ორი სიტყვით

თბილისი. სახელმწიფო კანცელარიის რეგიონული სამსახურის უფროსის [illegible] განცხადებით, [illegible] **მედია-ნიუსი**

თბილისი. [illegible] **მედია-ნიუსი**

თბილისი. [illegible] **მედია-ნიუსი**

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე [illegible] **მედია-ნიუსი**

თბილისი. [illegible] **ინტერ-პრესი**

მოსკოვი. [illegible] **პრაიმ-ნიუსი**

თბილისი. [illegible] **პრაიმ-ნიუსი**

თბილისი. 1999 წლის მოწვევის პარლამენტის [illegible] **ინტერ-პრესი**

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე [illegible] **ინტერ-პრესი**

თბილისი. "ბურჯანაძე - დემოკრატების" [illegible] **ინტერ-პრესი**

ხელოვნური საკონსტიტუციო კრიზისი - მთავარი საფრთხე

პირველი გვერდიდან

"ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ, აღნიშნავს, რომ რამდენიმე რაიონის გამგეობაში მიდიან "ნაციონალებისა" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" საფარქვეშ ამოფარებული ადამიანები, რომლებიც თვითნებურად იკავებენ რაიონების გამგეობებსა თუ სხვა ობიექტებს: **"სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ყველა ადამიანი, ვინც თვითნებურად დაიკავებს სახელისუფლებო სტრუქტურას, იქნება გარიცხული ჩვენი პარტიიდან, ჩვენი გმირული პარტიიდან. ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენი ხალხი სამართლიან საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზე მხარს დაგვიჭერს და არა თვითნებური გზით. ჩვენ მოვდივართ, რათა ხალხს გავუკეთოთ საქმე, მაგრამ ამისთვის გვჭირდება ხალხის მხარდაჭერის მანდატი."**

სააკაშვილი ასევე მიმართავს პოლიციას, გამოიჩინონ სიფხიზლე და დაიცვან წესრიგი: **"დღეს, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება საზოგადოებრივი წესრიგი, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება სიმშვიდე ჩვენს ქუჩებში, რომ თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს დაცულობის განცდა."**

"ნაციონალების" ლიდერი სახელმწიფო აპარატის ყველა თანამშრომელს მოუწოდებს, გააგრძელონ თავიანთი საქმის კეთება ჩვეულ რიტმში: **"ყველა პროფესიონალი დარჩება თავის ადგილას, ყველა ადამიანი იქნება დაფასებული. ამავე დროს, მინდა მივმართო იმ ადამიანებს, რომელთაც გმირულად იბრძოლეს ამ დღეებში - საქართველოში არიან ნიჭიერი ადამიანები, რომელთაც აუცილებლად გაეხსნებათ გზა სახელმწიფო აპარატისკენ. ჩვენ ვიწყებთ ახალ ცხოვრებას, გასაყოფი არაფერი გვაქვს, ჩვენ ყველას უნდა მივცეთ შანსი, მათ შორის - ძველი აპარატის თანამშრომლებსაც, დაამტკიცონ, რომ ნორმალურად მუშაობა შეუძლიათ."**

სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ 44 დღეში არჩევნებისთვის სათანადო მომზადებას მოასწრებს

სიმართლე გითხრათ, მე ვერ ვიცანი შევარდნაძე.

თემო სახიჭაშვილის ფოტო

ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომლის ამჟამინდელ თავმჯდომარეს ნანა დევდარიანს იგი თანამდებობიდან წასვლას ურჩევს. **"ნანა დევდარიანი უშუალოდ არის პასუხისმგებელი იმაზე, რაც მოხდა. არანაირი პირადი ბოღმა ქალბატონი ნანას მიმართ არა მაქვს, მაგრამ მის ადგილას მე დაუყოვნებლივ წავიდოდი თანამდებობიდან. მან მშვენივრად იცოდა, რაც ხდებოდა..."** – აცხადებს დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე.

სააკაშვილის თქმით, საქართველოსთვის დღეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ვაშინგტონის ფინანსური მხარდაჭერა. **"ჩვენ დიდ დახმარებას ველოდებით აშშ-დან,"** – აცხადებს იგი. რაც შეეხება რუსეთს, მისი თქმით, საეჭვოა რუსეთმა საქართველოს ფულადი დახმარება აღმოუჩინოს, თუმცა მას შეუძლია საქართველოს სავიზო რეჟიმის გაუქმებითა და ქართულ ექსპორტსა და იმპორტზე დაწესებული გადასახადების შემსუბუქებით დაეხმაროს.

"მინდა აღვნიშნო, რომ ამ დღეებში ამერიკაც და რუსეთიც ძალიან კეთილსინდისიერად მოიქცნენ საქართველოს მიმართ. გადადგომის შემდეგ, შევარდნაძემ დაადანაშაულა ამერიკელები საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევაში. სიმართლე გითხრათ, მე ვერ ვიცანი შევარდნაძე. ისეთ შევარდნაძეს მე არ ვიცნობდი, რომელიც ანტიამერიკული რიტორიკით გამოირჩევა, მაგრამ, ალბათ, იმ შეცდომებმა, რომელსაც იგი უშვებდა ბოლო ხანებში, ის სწორედ ამ მცდარ დასკვნამდე მიიყვანა.

საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო პრეზიდენტ პუტინის მიერ გაკეთებული განცხადება... განსაკუთრებით ივანოვის როლი მინდა აღვნიშნო. პარლამენტის შენობის წინ მომიტინგეებთან გამოჩენით, მან დიპლომატიური დემარში განახორციელა. მე ძალიან ცოტა საგარეო საქმეთა მინისტრი ვიცი მსოფლიოში, რომლებიც ასეთ რამეს გააკეთებდნენ. სხვათა შორის, ივანოვი იყო ბოლო ადამიანი, ვისაც ესაუბრა მილოშევიჩი გადადგომამდე. როდესაც ივანოვი პარლამენტის შენობასთან მივიდა, მე მაშინ პარლამენტის შენობაში მეძინა და როდესაც ჩამესმა ეს ამბავი, მეგონა, მესიზმრებოდა," – იხსენებს სააკაშვილი.

რაც შეეხება აჭარას და მის ლიდერს ასლან აბაშიძეს, სააკაშვილი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ **"მის მიმართ არანაირი რადიკალური ქმედებების განხორციელებას არავინ არ აპირებს."**

"ჩვენ გვინდა, რომ საქართველოში შენარჩუნდეს მშვიდობა. ჩვენ გვესმის, რომ ასლან აბაშიძე შიდაქართული პროცესების მნიშვნელოვანი მონაწილეა. აბაშიძე უნდა მიხვდეს, რომ იწყება ახალი ცხოვრება და მან უნდა იპოვოს თავისი ადგილი ამ ცხოვრებაში. ჩვენ მას არ ვერჩით და, წესით, თვითონაც არ უნდა გვერჩოდეს. მზად ვარ, როცა აქ ყველაფერი დალაგდება, პირადად შევხვდე მას, ვესაუბრო და ყველა საკითხი გადავწყვიტოთ. ვფიქრობ, წინ არაფერი უდგას საკითხების მშვიდობიან გადაწყვეტას," – აცხადებს სააკაშვილი.

პროპორციული შედეგები გაუქმდა

პირველი გვერდიდან

"სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლის, ამ ორგანიზაციის იურიდიული მრჩევლის ნუგზარ კუპრეიშვილის განცხადებით, საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ვადების გასვლის გამო, "სამართლიანი არჩევნები" ველარ შეიტანს სარჩელს უზენაეს სასამართლოში და მას მაჟორიტარული არჩევნების შედეგების გაუქმებას ვერ მოსთხოვს. **"მაჟორიტარული არჩევნების შედეგების ბათილად გამოცხადება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოშია შესაძლებელი",** – აცხადებს ნუგზარ კუპრეიშვილი. მისივე თქმით, **"მაჟორიტარული შედეგების გაუქმება საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივაა, თუ მას პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე, ან 55 პარლამენტარი მიმართავს".**

ჩვენი ინფორმაციით, უახლოეს საათებში პარლამენტის თავმჯდომარე ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად მიიღებს და მაჟორიტარული არჩევნების შედეგების გაუქმების მოთხოვნით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს.

გუშინ "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ აუცილებლად დააყენებენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხს. ნუგზარ კუპრეიშვილის თქმით, "სამართლიანი არჩევნები" პროკურატურის წინაშე ცესკო-ს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასმას აპირებს.

"ჩვენ ხელთ არსებული მასალები და მტკიცებულებები პირდაპირ ამხელს კომისიას უკანონო ქმედებებში, პასუხი უნდა მოეთხოვოს იმ საოლქო-საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებსაც, სადაც ორი ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები სერიოზული დარღვევებით გაიმართა", – განუცხადეს "24 საათს" ამ არასამთავრობო ორაგნიზაციის წარმომადგენლებმა.

ბურჯანაძე სახელმწიფო კანცელარიაში გადადის

კანცელარიის აპარტის უფროსი პეტრე მამრაძე გუშინ დილით, კანცელარიის სხვა თანამშრომლებთან ერთად, მოქმედ პრეზიდენტ ნინო ბურჯანაძეს ძველი სტატუსით შეხვდა, შუადღისთვის კი სახელმწიფო მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დაწინაურდა. მამრაძე ამ მოვალეობას მეოთხედ ასრულებს.

ლელა მჭედლიძე

სახელმწიფო მინისტრმა გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა. ნინო ბურჯანაძეს მისთვის თანამშრომლობა არ შეუთავაზებია. მეტიც, ბურჯანაძემ გუშინ არაერთგვაროვნად მიანიშნა, რომ ავთანდილ ჯორბენაძე პირადად აგებს პასუხს არაერთ დარღვევაზე. ჯორბენაძემ საბოლოო გადაწყვეტილება პარლამენტის სხდომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გაამჟღავნა და ხაზი გაუსვა, რომ თანამდებობიდან მიდის, მაგრამ პოლიტიკაში რჩება. ექს-სახელმწიფო მინისტრს მომავალში, თავისი "მეგობრების" გარდა, ყველა ჯანსაღ პოლიტიკურ ძალასთან" თანამშრომლობის იმედი აქვს. მეგობართაგან ერთ-ერთი, ალბათ, ექს-პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეა, რომელთან ერთადაც ჯორბენაძემ გუშინ გადადგომამდე კონსულტაციებიც გაიარა და გარკვეული სამომავლო გეგმებიც დასახა. ჯორბენაძემ "გულახდილად" აღიარა, რომ ამ არჩევნების დროს მართლაც იყო გაყალბებები, ოღონდ მხოლოდ "ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ. ჯორბენაძე გუშინ თავისი მოღვაწეობის პერიოდსაც იხსენებდა, იმას, რომ კლანებსა თუ ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე განცხადებებს თავადაც აკეთებდა. ჩათრევის ნაცვლად ჩაყოლის პოლიტიკაზე გადასული ბატონი ავთო, პარლამენტის სხდომამდე ერთი საათით ადრე, საკანონმდებლო ვაკუუმის აღმოსაფხვრელად, ძველი მოწვევის პარლამენტს შეკრებას ურჩევდა.

ჯორბენაძეს გუშინ ორმა მოადგილემ - აკაკი ზოიძემ და ანზორ ბალუაშვილმაც მიბაძა.

ძველ თანამდებობებს ინარჩუნებენ უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე, პრეზიდენტის მრჩევლები საგარეო ურთიერთობათა საკითხებში - გელა ჩარკვიანი და ეკონომიკურ საკითხებში - თემურ ბასილია.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი სურვილი არ ჰქონდა, ხვალიდან ნინო ბურჯანაძე სახელმწიფო კანცელარიაში გადავა, რადგან აპარატთან ურთიერთობის პრობლემა წარმოიქმნა. პეტრე მამრაძემ არ იცის, თუ სად განთავსდება პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი. როგორც იგი განმარტავს, კანონით, მის მიერ ყოფილი პრეზიდენტის კაბინეტის დაკავება აკრძალული არ არის. თუმცა, ედუარდ შევარდნაძეს თავისი კაბინეტი გუშინ პირადი ნივთებისგან დაცლილი არ ჰქონდა. გარდა ამისა, შევარდნაძის ძველი კაბინეტისკენ გული დიდად არც ბურჯანაძეს მიუწევს. გუშინ სახელმწიფო კანცელარიიდან მაინც გაჰქონდათ თავისი პირადი ნივთები კანცელარიის იმ თანამშრომლებს, რომლებსაც, საკუთარი აზრით, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელთან სამუშაოდ არ დაედგომებათ. საიდუმლო დოკუმენტების არქივის ნაწილი კი სახელმწიფო რეზიდენციიდან 23 ნოემბრამდე რამდენიმე დღით ადრე გაიტანეს.

სახელმწიფო კანცელარიაში მიმომსვლელები გუშინ მწირად, მაგრამ მაინც იყვნენ. მათ შორის გამოერია სახელისუფლებო ბლოკის მიერ სამგორის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი პანტიკო თორდიაც, რომელიც, თურმე, უშიშროების საბჭოში მიიჩქაროდა, ოღონდ – რატომ, უცნობია.

მეზვრიშვილმა კაბინეტიდან მხოლოდ შევარდნაძის პორტრეტი წაიღო

ზვიად რუაძე
კახეთიდან

"მედეა მეზვრიშვილი გადადგა!" - ასეთი ხმამაღალი განცხადებები კეთდებოდა გუშინ "ნაციონალური მოძრაობის" წევრების მიერ თელავის გამგეობის შენობის დარბაზში გამართულ შეკრებაზე. შეხვედრა, რომელიც "ბურჯანაძე-დემოკრატებისა" და "ნაციონალების" კახეთის კოორდინატორის თამაზ ხიდაშელის ინიციატივით შედგა, მიწვეულები იყვნენ თელავის საგადასახადო უწყების ხელმძღვანელები და სოფლის გამგებლები. ხიდაშელი თითოეულ მათგანს გაერთიანებასთან თანამშრომლობას სთავაზობდა. **"დავსხდეთ და ჩამოვყალიბდეთ ყველა კაცურად, ერთმანეთს არ მივცეთ იმის საბაბი, რომ ვუმტროთ, ვეძებოთ კონსოლიდაციის გზები და არა კონფლიქტებისა,"** - ამბობდა ხიდაშელი. მიუხედავად იმისა, რომ რაიონის გამგეობა კვლავ სახელისუფლებო ბლოკის წევრებით არის დაკომპლექტებული, ოპოზიცია მათთან საერთო ენის გამონახვას ცდილობს.

"ის ადამიანები, რომლებიც დღემდე მუშაობდნენ გამგეობაში, ჩვეულებრივ განვაგრძობთ მათთან თანამშრომლობას. მე მეზვრიშვილი არა ვარ. როგორც იმან იცოდა ხოლმე, ვისაც ჩემს გვერდზე დაინახავდა, ყველას ემუქრებოდა. მე ის კაცი ვარ, რომელიც კაცობას და სიტყვას ვაფასებ. გავაკეთებ იმას, რასაც ვიტყვი," - ასე გააცნო თავი თელაველების რჩეულმა თამაზ ხიდაშელმა მედეა მეზვრიშვილის თანაგუნდელებს.

ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებისთვის გუნდრუკის კმევას იყვნენ ჩვეულნი, ახლაც შეშინებულნი იყურებოდნენ. დროებით თელავის გამგებლის მოვალეობას მეზვრიშვილის აღზრდილი გოდერძი მამუკელაშვილი ასრულებს. მედეა მეზვრიშვილმა კი "ქუდი უკვე დაიხურა" და, როგორც ხიდაშელი აცხადებს, საგარეჯოში გაემგზავრა. ერთადერთი, რის წაღებაც კაბინეტიდან მედეა მეზვრიშვილმა ისურვა, იყო შევარდნაძის პორტრეტი. სამახსოვროდ კი მან მომავალ გამგებელს ფერადი ტელევიზორი დაუტოვა, თელაველებს კი - გალატაკებული ბიუჯეტი.

"არ ეგონოს ქალბატონ მედეას, რომ მას ყველაფერი შერჩა, იგი ბევრ რამეზე აგებს პასუხს", - აცხადებს ხიდაშელი. რამდენად შეეგუება ახალს ძველი მთავრობა, ძნელი საკითხავია. გავრცელებული ინფორმაციით, კვირის ბოლომდე თანამდებობას რაიონის გამგეობის ყველა ხელმძღვანელი თანამშრომელი დატოვებს და ბრძოლა სავარძლებისთვის თელავში მალე დაიწყება.

ნათელაშვილი "ისევ ისე უბერავს"

"ხავერდოვან რევოლუციას" "ლეიბორისტული პარტიისთვის" შვება ნამდვილად არ მოუტანია. ნათელაშვილი კვლავ თამაშგარე მდგომარეობაში ანუ პარლამენტს გარეთ აღმოჩნდა. რა ხნით, ჯერ უცნობია. "შრომის" პარტიის ლიდერი ამტკიცებს, რომ მათი პარტია ოპოზიციის მიერ დანიშნულ განმეორებით საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს.

ლელა მჭედლიძე

ნათელაშვილს სხვა საქმე აქვს. იგი **"ისტორიულად ყველაზე სწორ გადაწყვეტილებას იღებს და თვითგამოცხადებული, უზურპატორი პრეზიდენტის მიერ გამოცემული ყველა ნორმატიული აქტის გასაჩივრებას აპირებს."** "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერს მართლაც მუხლჩაუხრელი შრომა მოუწევს, მაგრამ მისი განცხადებით, ამ არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმა ნამდვილად ღირს, რადგან **"23 ნოემბერს, გაწამებული ხალხის გულწრფელი ენერგიის გამოყენებით, საქართველოში კვლავ მოხდა უმაღლესი ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლა, რის შედეგადაც პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას უკანონოდ, კონსტიტუციის ფეხქვეშ გათელვით, შეუდგა ყოფილი პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ახალი პარლამენტის რიგითი წევრი ნინო ბურჯანაძე. ამის შედეგად, შევარდნაძემ გარიგების გზით გადასცა თავისი ძალაუფლება იმ მოადგილეებს, ვის მიერაც წლების განმავლობაში გატარებული პოლიტიკით საქართველო სრულ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ კატასტროფაში აღმოჩნდა."**

რა თქმა უნდა, "შრომის" პარტიის ლიდერი კმაყოფილია მოსახლეობის მიერ შევარდნაძის ხელისუფლების შესაცვლელად გამოჩენილი ძალისხმევით, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ნათელაშვილი ჯიუტად ცდილობს, მოსახლეობას თვალი აუხილოს და აცხადებს, რომ "ახლა ერთი კლანი მეორეთი ჩანაცვლდა. რეგიონებში ხელისუფლების უზურპირება ხდება. გარდა ამისა, გამოჩნდნენ შეიარაღებული ფორმირებები, დაიწყო მოროდიორობა და დაწესდა უმკაცრესი ცენზურა მასმედიასა და "9" ნომერ სატელეფონო ატეესებზე". რით იყო დასაწუნი "ნაციონალ-დემოკრატებისთვის" სხვა ნომრებზე დაწყებული სატელეფონო ატეესები? როგორც "ლეიბორისტები" ამტკიცებენ, უბრალოდ, კონკრეტული ატეესის შესახებ მათ დანამდვილებითი ინფორმაცია აქვთ.

ბატონი შალვას მიერ დანახული ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხე კი "უზურპატორების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვაა, პირველ რიგში, აჭარასთან დაკავშირებით გაჩენილი პრობლემები. გარდა ამისა, ვითარების გართულება ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. ასე რომ, ნათელაშვილის თქმით, **"არსებობს რეალური საფრთხე, რომ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის სომხეთში გადატანა მოხდეს, რის შემდეგაც სომხეთი აზერბაიჯანს ყარაბახს დაუბრუნებს."** რა თქმა უნდა, სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ურთიერთობის დათბობა ნათელაშვილს საქართველოს "წილი ნავთობსადენის" ფასად არ სურს.

იმისათვის, რომ საქართველო "ლეიბორისტთა" ლიდერის მიერ ჩამოთვლილ ყველა უბედურებას გადარჩეს, "ხავერდოვანი რევოლუციის" ორგანიზატორები კი, "უზურპატორ ბურჯანაძის" თამადობით, - სასამართლოებით გამოწვეულ "თავის ტკივილს", ერთი "გამოსავალი" მაინც არსებობს. "ლეიბორისტულ პარტიას" აუცილებლად მიაჩნია 2 ნოემბერს არჩეული პარლამენტის დაუყოვნებლივ შეკრება, რომლის თავმჯდომარედ არჩეული იქნება "არაპოლიტიკური ამბიციების მქონე პიროვნება"(?!). ამას გარდა, ზვიად გამსახურდიას უზენაეს საბჭოსთან ერთად კონსტიტუციური კონგრესის შექმნა, რასაც თავის მხრივ, ახალი კონსტიტუციისა და საარჩევნო კოდექსის მიღება და ახალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა მოჰყვება.

თუ არადა, როგორც ნათელაშვილი იმუქრება: "ლეიბორისტები" საპროტესტო წერილებით, სასამართლოს გარდა, მიმართავენ **"გაერო-ს გენერალურ მდივანს, მსოფლიოს სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურებს, მონარქებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ არ დაუჭირონ მხარი ძალით მოსულ ხელისუფლებას, რამაც შეიძლება კავკასიის რეგიონში ურთულესი მდგომარეობა შექმნას."**

ცოტნე ბაკურია სტრასბურგში

მერი კახიანი
ვენიდან

"ევროსაბჭოს გენერალურ სამდივნოს არანაირი ინფორმაცია არა აქვს ცოტნე ბაკურიას სტრაბურგში ოფიციალური მოწვევის შესახებ. არანაირი ოფიციალური შეხვედრები მისი მხრიდან ევროსაბჭოში არ ფიქსირდება. ჩვენი ინფორმაციით, ის კერძო სტატუსით უნდა იმყოფებოდეს სტრასბურგში," - აცხადებს "24 საათთან" საუბარში ევროსაბჭოში საქართველოს წარმომადგენლობის წევრი მამუკა ჟღენტი .

სტრასბურგში მიმდინარეობს ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობების კონგრესის საშემოდგომა სხდომა, სადაც საქართველოს შესახებ მოხსენებას გააკეთებს კონგრესის ჯგუფი - იან მიკალეევი (მალტა), დევიდ შექსპირი (ინგლისი), ლეო კიერესეი (პოლონეთი). ისინი მარტსა და სექტემბერში საქართველოში იმყოფებოდნენ, შეხვდნენ ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს. კონგრესის სხდომაზე მოხსენება საინფორმაციო ხასიათისა იქნება. ასევე მათ მიერ გამოთქმული იქნება წინადადებანი და რეკომენდაციები საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების, მერიებისა და გამგეობების ურთიერთთანამშრომლობის, დაფინანსებისა და მუნიციპალიტეტთა მოხელეების გადამზადების შესახებ.

სხდომაზე მოწვეულნი არიან სხვადასხვა ქვეყნის მთავრობათა წარმომადგენლები, რომლებიც დებატებში მიიღებენ მონაწილეობას.

ევროსაბჭოს ადგილობრივი და თვითმმართველობის კონგრესის პრეზიდენტი და ტიროლის (ავსტრიის ფედერალური მხარის) ხელმძღვანელი ჰერვიგ ვან შტა დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ საქართველოში ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ის იმედოვნებს, რომ მომავალი პოლიტიკური პროცესები და პრობლემათა მოსაგვარებლად აუცილებელი ღონისძიებანი ისევ მშვიდობიანი და კონსტრუქციული იქნება. ვან შტამ ხაზგასმით განაცხადა, რომ საქართველოს ახალ მთავრობას ის გვერდში დაუდგება.

გუშინ მაასტრიხტში, ჰოლანდიის პარლამენტის მოწვევით, გაიმართა ევროსაბჭოს საპარლამეტო ასამბლეის მუდმივი საბჭოს სხდომა, რომელმაც, სხვა თემებთან ერთად, საქართველოს საკითხიც განიხილა.

"ვარდების რევოლუცია" - ხალხისთვის ზეიმი, „სოციალისტებისთვის" - ტრაგედია

"სოციალისტური პარტიის" ხელმძღვანელები იმ უიღბლო მოთამაშეებს ჰგვანან, რომლებიც, ვისზედაც არ უნდა ჩავიდნენ ფსონს, საბოლოოდ მაინც წაგებულები რჩებიან. ასე მოხდა ამ დღეებშიც: როდესაც 2 ნოემბრის არჩევნებში უკვე თავი გამარჯვებულად მიაჩნდათ, სახალხო გამოსვლების ტალღამ, პრეზიდენტ შევარდნაძესთან ერთად, ისინიც წალეკა. "სოციალისტები" ხელიდან გაშვებულ ძალაუფლებას მისტირიან.

გიორგი ასანიშვილი

იმას, რამაც მთელი საქართველო გაახარა და აღაფრთოვანა, "სოციალისტური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი ზაქარია ქუცნაშვილი "მოვლენების ტრაგიკულად განვითარებას" უწოდებს. მისი შეფასება ასეთია: **"22-23 ნოემბერს მოხდა ძალისმიერი მეთოდებით ხელისუფლების ხელში ჩაგდება."**

ქუცნაშვილის მტკიცებით, პარლამენტის შენობაში ძალით შეჭრა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული, თუ ეს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ მოხდებოდა, ანუ თუ დადასტურდებოდა არჩევნების შედეგების გაყალბება და, ამის მიუხედავად, ახალი პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის მცდელობა იქნებოდა.

ქართველი "სოციალისტები" მიიჩნევენ, რომ 2 ნოემბრის არჩევნები მხოლოდ საბაბი იყო ძალაუფლების დასაპატრონებლად და იგი ძალიან საშიშ რეციდივად შეიძლება იქცეს.

"მესამედაც კიდევ გამოჩნდება ვიღაც, რომელიც რაიმე საბაბს იპოვის და პარლამენტში და კანცელარიაში შეჭრას გაამართლებს," - აცხადებს ქუცნაშვილი.

იგი უზენაეს სასამართლოსაც ემდურის და მიიჩნევს, რომ მან ამომრჩეველს დაახლოებით ერთი მილიონი ხმა წაართვა.

"სოციალისტების" არითმეტიკა ასეთია: პროპორციული წესით გამართული არჩევნების შედეგების გაუქმებით, დაიკარგა "ნაციონალური მოძრაობისა" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" 500 ათასამდე ხმა, "ლეიბორისტებმა" 250 ათასი ხმა მოისაკლისეს, სახელისუფლებო ბლოკმა და "აღორძინებამ" კი - რამდენიმე ასეული ათასი.

ლოგიკური იქნებოდა, რომ "დაკარგული ხმების" დაბრუნება "სოციალისტებს" ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მეშვეობით ეცადათ, მაგრამ ეტყობა, თავადაც მოეხსენებათ, ამ თვალსაზრისით როგორი პერსპექტივა გააჩნიათ და ამიტომ, მომავალ გეგმებზე ბუნდოვნად საუბრობენ.

"ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიღებთ მონაწილეობას, თუ უზენაეს სასამართლოსთან ერთად, საკონსტიტუციოც აღიარებს, რომ 2 ნოემბრის არჩევნების შედეგები ტოტალურად გაყალბდა. ამჟამად შეკრებილი პარლამენტის მუშაობაშიც მანამდე არ ჩავებმებით, ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლო 2 ნოემბრის არჩევნების უკანონობას არ ცნობს," - აცხადებს ქუცნაშვილი.

"სოციალისტური პარტიის" გენერალური მდივანი ირაკლი მინდელი აპირებს კონსულტაციების გამართვას იმ პოლიტიკურ ძალებთან, რომლებსაც ანალოგიური პოზიცია აქვთ. ასეთი ძალების მოძებნა რომ ძალიან გაჭირდება, 1999 წლის მოწვევის პარლამენტის გუშინდელ რიგგარეშე სესიაზე დადასტურდა: ბოიკოტის ტაქტიკას თითქმის არავინ უჭერს მხარს და, შესაბამისად, სხდომაზე თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრი იყო წარმოდგენილი.

ახალ ხელისუფლებას საერთაშორისო ინსტიტუტებთან გართულებული ურთიერთობები ხვდება

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოს ახალ ხელისუფლებას ძალიან რთული სასტარტო პირობები ხვდება ეკონომიკური თვალსაზრისით. სირთულეებს შორის ერთ-ერთი გახლავთ გართულებული ურთიერთობები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და სხვა უცხოელ დონორებთან..

"ყოფილი სოციალისტური ბანაკის იმ 27 ქვეყნიდან, რომელსაც დღეისათვის ამერიკის შეერთებული შტატები ეხმარება, საქართველოს განვითარების დონით - ბოლო, ხოლო კორუფციის განუზომლად დიდი მასშტაბებითა და რეფორმების ძალზე დაბალი ტემპით მოწინავე პოზიცია უკავია". ეს ინფორმაცია თავად აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპისა და ევრაზიის ბიუროს დახმარების კოორდინატორის მოადგილემ თომას ადამსმა საქართველოში ამასწინანდელი ვიზიტის დროს გააჟღერა. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში მსგავსი გამონათქვამები სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდანაც გაისმოდა.

იყო შემთხვევები, როცა ესა თუ ის საერთაშორისო ორგანიზაცია თავისი ფინანსური, ტექნიკური თუ ჰუმანიტარული დახმარებების შეკვეცის ან სულაც შეწყვეტის შესახებ პერიოდულად აკეთებდა განაცხადს. მაგალითად, უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად დაიძაბა ურთიერთობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (სავალუტო ფონდის დახმარებათა მოცულობამ 1992 წლიდან დღემდე 470 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია), რომელიც თავის მემორანდუმებში საკმაოდ კრიტიკულად აფასებდა საქართველოში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობას და შედეგად თავისი პროგრამებიც შეაჩერა. საქართველოსათვის გამოყოფილი თანხები შეკვეცა აშშ-ს კონგრესმა (აშშ საქართველოს ყველაზე მსხვილი დონორი ქვეყანაა. მის მიერ გაწეული დახმარების ოდენობა მილიარდ 200 მილიონ აშშ დოლარს აჭარბებს), შემცირდა ჰუმანიტარული დახმარების ოდენობა.

თუმცა, დახმარებები სრულად არ შეწყვეტილა. სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ქვეყნის ექსპრეზიდენტის საერთაშორისო ავტორიტეტისა თუ საქართველოს სტრატეგიული მდებარეობის გათვალისწინებით, უცხოური მთავრობები და ორგანიზაციები მაინც გამოყოფდნენ თანხებს სხვადასხვა სფეროების დასაფინანსებლად და ამ თანხების დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, ჯიბეებში ილექებოდა.

აღსანიშნავია, რომ დღევანდელ ვითარებაში, როცა ქვეყანაში პოლიტიკური ვნებები ცხრება, ნათლად ჩანს ყველაზე დიდი პრობლემა – სახელმწიფო ბიუჯეტი, სადაც პრაქტიკულად მინიმუმამდეა დასული შემოსავლები. **"2004 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას საქართველოს ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტების რეკომენდაციები, როგორიც საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი გახლავთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო კვლავ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება, კვლავ შეიქმნება სახელფასო დავალიანებები და სხვა მრავალი პრობლემა."** თომას ადამსის ეს გაფრთხილება ამჯერად იმ ხელისუფლებას ეხება, რომელმაც ქვეყანა უნდა მართოს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი სამუშაო მისიით საქართველოს დეკემბრის თვეში ეწვევა. მოუწევს თუ არა ახალ მთავრობას საერთაშორისი სავალუტო ფონდთან ურთიერთობის ნულიდან დაწყება?

ზურაბ ნოღაიდელის შეფასებით, **"საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობის ბედი არ წყდება არც ვაშინგტონში, არც მოსკოვში და არც სხვაგან. ის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოზე და ჩვენს მოქმედებებზეა დამოკიდებული."**

ეკონომიკური ექსპერტების შეფასებით, საქართველოს პრობლემები ტექნიკურად რთული არ არის. უბრალოდ, საჭიროა, შემუშავდეს მოქმედების გეგმა და ის, რომ შემოსავლები, რომელიც ბიუჯეტში უნდა მიდიოდეს, ნამდვილად შევიდეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

ეკონომიკური კოლაფსის წინაშე

პირველი გვერდიდან

მიუხედავად ოპტიმისტური განწყობისა, ქვეყნის ეკონომიკური სექტორის ხელმძღვანელები ჯიუტ ციფრებს ვერსად გაექცნენ. ფაქტია, რომ ქვეყნის ბიუჯეტი 250 მილიონი ლარითაა გარღვეული. ფაქტია, რომ ქვეყანა ეკონომიკურად უაღრესად კრიზისულ ვითარებაში იმყოფება. **"მე მომახსენეს, რომ აწ უკვე გადამდგარი თანამდებობის პირები აქ ოპტიმისტურ პროგნოზებზე საუბრობენ. არადა, 250 მილიონ ლარიანი გარღვევა – ეს ნიშნავს, რომ ბიუჯეტი, უბრალოდ, არ არსებობს,"** – ასეთი იყო ნინო ბურჯანაძის კომენტარი.

"ბიუჯეტი, უბრალოდ, არ არსებობს,"

"საბიუჯეტო შემოსავლებში რომ დიდი გარღვევაა, ეს დიდი ხანია, ფიქსირდება. ახლა ფრთხილი და ზუსტი მოქმედებაა საჭირო," – მიიჩნევს ეკონომიკის მინისტრი გიორგი გაჩეჩილაძე.

"ხაზინაში ძალიან ცოტა თანხები შემოდის. ამ ეტაპზე ჩვენ, ძირითადად, საგარეო ვალებს ვემსახურებით და ამაში ეროვნული ბანკიც გვეხმარება. იმისათვის, რომ წლის ბოლომდე გეგმა შესრულდეს, დარჩენილ ვადებში 295 მილიონი ლარის მობილიზება იქნება საჭირო," – გვაცნობა ხაზინის ხელმძღვანელმა დავით რამიშვილმა.

შეხვედრიდან გამოსული ეკონომიკური ბლოკის ხელმძღვანელები აცხადებდნენ, რომ აუცილებელია, უმოკლეს დროში შემუშავდეს ის კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა დახმარებითაც ქვეყანა ეკონომიკური კოლაფსის თავიდან არიდებას შეძლებს.

"დაისახა ამოცანა: სასწრაფოდ უნდა შედგეს ყოველდღიური სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც იმუშავებს მთავრობა საბიუჯეტო პრობლემების მოსაგვარებლად. პირველ რიგში, დაისახება ის რეალური ციფრები, რომელთა შესრულებაც უნდა უზრუნველყონ საგადასახდო, საბაჟო და სხვა სტრუქტურებმა. ხაზინას განესაზღვრება პრიორიტეტები, თუ რა ხარჯები უნდა დააფინანსოს პირველ რიგში," – აცხადებს პრეზიდენტის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში თემურ ბასილია.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე ამ ეტაპზე უმთავრეს ამოცანად საგადასახადო და საბაჟო სფეროებში ადმინისტრირების მაქსიმალურად გამკაცრებას ასახელებს. **"გარდა ამისა, საჭიროა, მაქსიმალურად ძალისხმევა მიიმართოს საერთაშორისო დახმარების მისაღებად,"** – ასეთია მისი პოზიცია.

გუშინ ეკონომიკური სექტორის ერთადერთი მნიშვნელოვანი პერსონა, რომელმაც არსებული ვითარების შეფასება და, მით უმეტეს, უახლოესი პერსპექტივების პროგნოზირება არ ისურვა, საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელი დავით თარხან-მოურავი გახლდათ.

დროებითმა ხელისუფლებამ საბიუჯეტო კომაში მყოფი ქვეყანა "გადაიბარა"

საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი მეტად მძიმე სიტუაცია დროებითი ხელისუფლებისგან ძალიან აქტიურ და დაუყოვნებელ მოქმედებებს ითხოვს.
არის მთელი რიგი ეკონომიკური წინაღობები და ეკონომიკური საფრთხეები, რომელთა გადალახვაც ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს - სწორედ ამას მოელის მისგან საზოგადოება, რომელიც "ცუდ სასტარტო პირობებზე" ათწლიანი საუბრების მსგავს საუბრებს და "მომავალში ოქროს გორების" შეპირებას, სავარაუდოდ, მარტივად აღარ "გადაყლაპავს".

თამარ ხორბალაძე
ეთერ მამულაშვილი

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ დღევანდელ ხელისუფლებას მიმდინარე ხელფასებისა და პენსიების გაცემის ურთულესი პრობლემა უდგას.

ხაზინა, ისევე, როგორც საპენსიო ფონდი, პრაქტიკულად ცარიელია (ამის შესახებ სრულ შთაბეჭდილებას ქმნის "24 საათის" ფურცლებზე გამოქვეყნებული მონიტორინგის ცხრილები და მასალები).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამა შეწყვეტილია და იგი, სავარაუდოდ, უახლოეს პერიოდში არ აღდგება.

თუმცა, ექსპერტები თვლიან, რომ დეფოლტი ქვეყანას აღარ ემუქრება:

"საქართველოს, ალბათ, დაუდგებიან გვერდში პარიზის კლუბში. ეს გადაწყვეტილება, ძირითადად, პოლიტიკური ხასიათის იქნება და შედეგად, ქვეყანას დეფოლტი აღარ დაემუქრება" - განუცხადა "24 საათს" საბიუჯეტო ფონდის ხელმძღვანელმა, "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა სახემ რომან გოცირიძემ, თუმცა მან აქვე გაამახვილა ყურადღება იმ "დაფარულ გარღვევებზე", რომელზეც რევოლუციამდელი ხელისუფლება ბოლო წუთებამდე არ საუბრობდა:

"მთავრობამ იცოდა, რომ ბიუჯეტი 72 მილიონის უცხოური გრანტებს ვერ მიიღებდა, მაგრამ ამას დეკემბერში განაცხადებდა. იცოდა, რომ არ არის შესრულებული არასაგადასახადო შემოსავლების კუთხით გათვალისწინებული მაჩვენებლები და გარღვევა პრივატიზაციიდან შემოსავლებში 18 მილიონი მაინც იქნება. ნათელი იყო, რომ საგზაო ფონდი კიდევ 10 მილიონით გაირღვეოდა ისევე, როგორც საგადასახადო შემოსავლები. ამაზე საუბარს ხელისუფლება ბოლო წუთებამდე გაურბოდა, რადგან თანხები ჰქონდა გასაშვები მაჟორიტარებისთვის ტრანსფერებზე და სხვა "არადაცული მუხლების" მიმართულებით. წლის ბოლოს, ტრადიციულად, ქვეყანას დააყენებდნენ ფაქტის წინაშე. ამიტომ, 2003 წლის ბიუჯეტის გარღვევამ, წინასწარი მონაცემებით, 200-220 მილიონზე მეტს შეიძლება მიაღწიოს. ამიტომ, სიტუაცია ძალიან რთულია..." - ამბობს რომან გოცირიძე, რომელიც ეკონომიკური სიტუაციის გამოსწორების "გასაღებს" შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწრაფო რეფორმირებაში ეძებს.

ამასთან, იგი "24 საათთან" საუბარში მიანიშნებს ხიფათზე, რომელიც თავის დროზე ერთხელ უკვე გამოსცადა: **"ასეთ სიტუაციაში ბევრი ნაგავი ჩნდება ზედაპირზე და მათგან თავი უნდა დავიცვათ. აუცილებელია სწორი საკადრო პოლიტიკის განხორციელება. ამაზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული,"** - რამდენჯერმე იმეორებს იგი.

"გაერთიანებული დემოკრატების" ეკონომიკური პროგრამის ავტორი ლადო პაპავა კი "24 საათთან" საუბარში უახლოესი დღეების გეგმებზე საუბრობს: **"პირველ რიგში, აუცილებელია მოხდეს საბაჟოს და საგადასახადოს სერიოზული გაკონტროლება, რომ არ დაიკარგოს ის შემოსავლები, რაც არის და იქნება ამ დღეებში, რათა მერე ეს არ დაბრალდეს რევოლუციას"**, - ამბობს იგი. სხვათა შორის, სწორედ ამიტომ, მოქმედი პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე, პირველ რიგში, სწორედ ამ სამსახურების ხელმძღვანელებს შეხვდა.

ლადო პაპავა "24 საათთან" საუბარში რამდენიმე მოსალოდნელ პრობლემაზეც ამახვილებს ყურადღებას: **"კიდევ არის ერთი ძალიან საშიში მოვლენა და შეიძლება ის ამ დღეებში განვითარდეს. ექსპორტზე გასულ პროდუქციაზე გადახდილი დამატებითი ღირებულების გადასახადი მეწარმეს უკან უბრუნდება. არსებობს სახელმწიფოს დავალიანება მეწარმეებისთვის, რომლის გადახდასაც არ აპირებდა მთავრობა. რაც მთავარია - ხშირ შემთხვევაში აქ არის ისეთი თანხები, რომელიც სინამდვილეში არც უნდა იქნეს გადახდილი, რადგან ეს არის ხელოვნურად შექმნილი დავალიანებები. არ არის გამორიცხული, რომ ახლა მოხდეს ამ ფულის მეწარმეებისთვის არასწორად გადაცემა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ქვეყნის ბიუჯეტს. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გაძლიერდეს კონტროლი იმაზე, რაც საბაჟოსა და საგადასახადოზე ხდება. არსებობს საფრთხე სახელმწიფო ქონების სასწრაფოდ გასხვისებისაც. საკონტროლო ღონისძიებების გასატარებლად ყველაზე მისაღები ინსტიტუტი, ჩემი აზრით, არის უშიშროების საბჭო"**, - ასკვნის იგი.

სხვათა შორის, საინტერესოა, რომ გუშინ ნინო ბურჯანაძესთან გამართული ეკონომიკური ბლოკის შეხვედრის ორგანიზება სწორედ უშიშროების საბჭოს მდივანს თედო ჯაფარიძეს დაევალა. თავად უშიშროების საბჭოს პირველის სხდომაც, ძირითადად, ეკონომიკურ პრობლემატიკას დაეთმო და ამავე თემაზე იყო საუბარი გუშინ დილით კანცელარიის თამნამშრომლებთან შეხვედრაზეც.

დროებით ხელისუფლებაში ვარაუდობენ, რომ საბაჟო და საგადასახადო სამსახურების სასწრაფო გაკონტროლებასთან ერთად, ეკონომიკური კომის სასწრაფოდ განმუხტვას აშშ-ს ფინანსური დახმარებაც "წაეშველება". თუმცა ფაქტია, და ეს ყველას უნდა ესმოდეს, რომ საუბარი ჯერ არა ეკონომიკურ აღმასვლას, არამედ - ელემენტარულად მიმდინარე პენსიების და ხელფასების დაფინანსებას შეეხება.

ორი სიტყვით

რუსთავი. რუსთავის საქალაქო სასამართლოში "აზოტის" კრედიტორთა კომიტეტის სხდომა ნოემბრის თვეში უნდა შემდგარიყო, მაგრამ საწარმოს გენერალური დირექტორის ანდრეი პარშუტინის თხოვნით, იგი 10 დეკემბრისთვის გადაიდო. ამასთან, სხდომა "აზოტის" სხდომათა დარბაზში გაიმართება და არა საქალაქო სასამართლოში. **მედია-ნიუსი**

▪ ▪ ▪

რუსთავი. "აზოტში" მოკლევადიანი საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ ცნობილი ავსტრიული ფირმა HOERBIGER LTD-ის წარმომადგენლები დსთ-ს ქვეყნებსა და ბალტიისპირეთში ნიკოლაი რიაბცევი, ლეონიდ სერდიუკი და კარენ მარტიროსოვი. აღნიშნული ფირმა საერთაშორისო ჯგუფ HOERBIGER LTD-ის წევრია და წარმოადგენს მის ინტერესებს კომპრესორული ტექნოლოგიების სფეროში. ფირმა მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა სახის კომპრესორებსა და სათადარიგო ნაწილებს მწარმოებლის ფასებში. **მედია-ნიუსი**

▪ ▪ ▪

თბილისი. ბოლო დღეებში საქართველოს რკინიგზით ტვირთების გადაზიდვა შემცირდა. როგორც სააგენტო შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციაში აცხადებენ, ბათუმის ნავსადგურში, ბოსფორის სრუტეში უამინდობის გამო ტანკერები არ შემოდის. შედეგად, ბათუმის ნავსადგურში მოგროვდა 2600 ცისტერნა, გავსებულია ნავთობტერმინალები, რომელთა დაცლამდე რკინიგზამ აზერბაიჯანიდან ახალი ტვირთის მიღება შეაჩერა. საქართველოს რკინიგზის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ამ შეფერხებას რაიმე პოლიტიკური მიზეზები არ აქვს. ბათუმთან შეჩერდა მხოლოდ სამგზავრო მიმოსვლა, სატვირთო გადაზიდვები კი არ შეწყვეტილა. **მედია-ნიუსი**

▪ ▪ ▪

თბილისი. ედუარდ შევარდნაძის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში თემურ ბასილია მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არსებული საბიუჯეტო კრიზისის ალმოსაფხვრელად სასწრაფო და ქმედითი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს. "მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეჩერებული პროგრამის აღდგენა," – განაცხადა ბასილიამ. **მედია-ნიუსი**

▪ ▪ ▪

თბილისი. საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვაჟა შუბლაძე პოსტის დატოვებაზე არ ფიქრობს და ჩვეულ რიტმში განაგრძობს მუშაობას. ის მიიჩნევს, რომ დღეს ბუნტის დრო არ არის: "ურთიერთდაპირისპირება და შუღლი ნამეტანი საშიშია. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს." **ინტერპრესი**

მოკლედ

ლარი მყარდება

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის (თბსბ) სამშაბათს გამართული ვაჭრობის შედეგებით, ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში წინა სესიასთან შედარებით 0,0400 ნიშნულით გამყარდა და 2,1700 ლარით განისაზღვრა. შუადღისთვის შიდა სავალუტო ბაზარზე ვალუტის გადამცვლელი პუნქტები 1 აშშ დოლარს 2.1600 ლარად ყიდულობდნენ და 2.1800-ად ყიდდნენ. 26 ნოემბრიდან ძალაშია ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 1 აშშ დოლარი – 2.1700 ლარი, 1 ევრო - 2, 5613 ლარი; 1 რუსული რუბლი - 0, 0730 ლარი, 1 ინგლისური გირვანქა სტერლინგი - 3, 6886 ლარი. ამასთან, თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სამშაბათის ვაჭრობაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, ლარის გაცვლითი კურსის კორექტირების პროცესი გაგრძელდა. ეროვნული ვალუტის მნიშვნელოვანი გამყარება მეტწილად განაპირობა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების განმუხტვამ, რასაც სავალუტო ბაზარზე მოქმედი ფსიქოლოგიური ფაქტორების ნეიტრალიზაცია მოჰყვა. სებ-ი აღნიშნავს, რომ ქვეყნის საერთო მონეტარული ფონი ინარჩუნებს სტაბილურობას, რაც მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში, საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში არსებული პრობლემების სწრაფი მოწესრიგების პარალელურად, ლარის გაცვლითი კურსის ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთების საშუალებას იძლევა. **24 საათი**

მონიტორინგი

სოციალური ფონდის ხარჯებში 85 მილიონი ლარის გარღვევაა

23 ნოემბრისათვის პენსიები სრულად დაფინანსებულია მხოლოდ ივნისის ჩათვლით. ივლისის თვის პენსიების დაფინანსებაში გარღვევა 8,5 მილიონი ლარია, აგვისტოში - 9,9 მილიონი ლარი, სექტემბერში - 11,1 მილიონი ლარი, ოქტომბერში - 13,6 მილიონი ლარი, ხოლო ნოემბრის პენსიების დაფინანსება ჯერ არ დაწყებულა.

უმწეოთა სოციალური დახმარება, ძალოვანი სტრუქტურების და რეგრესული პენსიები დაფინანსებულია სექტემბრის ჩათვლით.

ცენტრალური ბიუჯეტიდან სოციალურ ფონდში ჯერ კიდევ ოქტომბერში გადაირიცხა უმწეოთა დახმარებისა და რეგრესული პენსიის ოქტომბრის თვის ტრანსფერი; თუმცა 23 ნოემბრისათვის ჯერ კიდევ დაუფინანსებელია აღნიშნული მუხლები. სად წავიდა 1 მილიონ 265 ათასი ლარი?

პენსიების დაფინანსების 11 თვის გეგმაში გარღვევა 65,03 მილიონი ლარია.

23 ნოემბრისათვის ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების 10 თვის გეგმაც კი არ არის შესრულებული. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ათი თვის გეგმა დაფინანსებულია 83,6 პროცენტით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამები - 52,5 პროცენტით, ხოლო უმუშევრის სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები - 60,1 პროცენტით.

სოციალური ფონდის 11 თვის ხარჯების გეგმაში გარღვევა 85 მილიონი ლარია.

მთავრობამ ვერ უზრუნველყო ქვეყანაში ელემენტარული სოციალური გარანტიების შექმნა. აბსოლუტურად დარღვეულია სამართლიანობის პრინციპიც, რადგან ზოგიერთი რეგიონის მაცხოვრებელს მიღებული აქვს ოქტომბრის პენსია, ხოლო ზოგ რაიონში ჯერ ივლისის პენსია არ დარიგებულა.

სპს "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი, ქავთარაძე"

პენსიების დაფინანსება 23 ნოემბრისთვის

[illegible]

სოციალური ფონდის ხარჯების და სოციალური პროგრამების ხარჯები 23 ნოემბრისთვის

[illegible]

ახალი ძალით პროკრედიტ ბანკის ყველა ფილიალსა და განყოფილებაში 2003 წლის 15 დეკემბრამდე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

პროკრედიტ ბანკს მოაქვს შუქი!

ყოველი 21-ე, რომელიც 15 დეკემბრამდე გახსნის დეპოზიტს პროკრედიტ ბანკში (ყოფილი ემ-ბი-ჯი ბანკი) მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს, ხოლო ყოველი მე-200 საჩუქრად მიიღებს გენერატორს. დეპოზიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს

ცენტრალური ფილიალი
0112 თბილისი
თამარ მეფის გამზ. 18
ტელ: (995 32) 20-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
central@procreditbank.ge

ვაკის განყოფილება
0179 თბილისი
მელიქიშვილის ქ. 8
ტელ: (995 32) 25-28-06
ფაქსი: (995 32) 25-28-07
vake@procreditbank.ge

საბურთალოს განყოფილება
0177 თბილისი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 46
ტელ: (995 32) 20-17-17
ფაქსი: (995 32) 20-17-18
saburtalo@procreditbank.ge

ვაგზლის განყოფილება
0112 თბილისი
ვაგზლის მოედანი 3/32
ტელ: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
stationsquare@procreditbank.ge

ქუთაისის განყოფილება
4600 ქუთაისი
წმინდა ნინოს ქ. 4
ტელ: (995 231) 4-87-05
kutaisioutlet@procreditbank.ge

ზუგდიდის განყოფილება
2100 ზუგდიდი
...
ტელ: (995 215) 5-11-23
ფაქსი: (995 32) 93-43-74
zugdidi@procreditbank.ge

გორის ფილიალი
1400 გორი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 270) 2-16-09, 7-30-64
ფაქსი: (995 32) 33-46-57; 33-46-58
gori@procreditbank.ge

მარნეულის განყოფილება
3000 მარნეული
...
ტელ: (995 257) 2-16-00; 2-16-50
ფაქსი: (995 32) 94-31-36
mameuli@procreditbank.ge

გლდანის ფილიალი
0167 თბილისი
...
ტელ: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
gldani@procreditbank.ge

ვარკეთილის ფილიალი
0182 თბილისი
...
ტელ: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
varketili@procreditbank.ge

ლილოს განყოფილება
0115 თბილისი
...
ტელ: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36
lilo@procreditbank.ge

ქუთაისის ფილიალი
4600 ქუთაისი
თამარ მეფის ქ. 85
ტელ: (995 231) 4-14-14
ფაქსი: (995 231) 4-51-64
kutaisi@procreditbank.ge

ფოთის ფილიალი
4400 ფოთი
...
ტელ: (995 293) 28-28-5; 28-28-3
ფაქსი: (995 293) 28-28-4
poti@procreditbank.ge

ბათუმის ფილიალი
6000 ბათუმი
...
ტელ: (995 222) 7-24-20
ფაქსი: (995 222) 7-19-54
batumi@procreditbank.ge

ბათუმის განყოფილება
6000 ბათუმი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 222) 7-74-19
ფაქსი: (995 222) 7-74-19
batumioutlet@procreditbank.ge

ქობულეთის განყოფილება
6201 ქობულეთი
...
ტელ/ფაქსი: (995 236) 66-439
kobuleti@procreditbank.ge

ბუშმა აშშ-ს არმია 400 მილიარდი დოლარით დააფინანსა

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ხელი მოაწერა ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტს, რომელმაც, პირველად "ცივი ომის" დასრულების შემდეგ, 400 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

ხელმოწერის შემდეგ პენტაგონში გამართულ ცერემონიალზე პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ მსოფლიოში ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალურ ომში, ფსონები საკმაოდ მაღალია. ჯორჯ ბუშმა მაღალი შეფასება მისცა შეერთებული შტატების არმიას, მიუხედავად იმისა, რომ საომარი ოპერაციები ავღანეთსა და ერაყში კვლავაც მიმდინარეობს.

"კანონი, რომელსაც მე დღეს ხელი მოვაწერე, მომავალ საფინანსო წელს, ჩვენი სამხედროების მოსამზადებლად, 400 მილიარდი დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც ჩვენს ძალებში შედის, რათა ჩვენი ქვეყანა დარჩეს ძლიერი, რათა მხარი დავუჭიროთ მშვიდობას და უზრუნველვყოთ ამერიკელი ხალხის უსაფრთხოება," - განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

ამ შთამბეჭდავი გამოსვლის მიუხედავად, პენტაგონის წრეებშიც უკვე დაიწყეს საუბარი იმის შესახებ, გაიმარჯვებს თუ არა შეერთებული შტატები ე.წ. გლობალური ტერორის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ახალი სამხედრო ბიუჯეტი, რომელიც კონგრესმა ჯერ კიდევ პრეზიდენტის ხელმოწერამდე დაამტკიცა, ქვეყნის არმიის რეფორმირებასაც ითვალისწინებს, რათა შეერთებულმა შტატებმა ახალ საფრთხეებთან გამკლავება შეძლოს.

გარდა ამისა, ბიუჯეტში ჩადებულია მუხლები, რომლის თანახმადაც, ახალი სახის ბირთვული შეიარაღების კვლევა უნდა მოხდეს.

დაახლოებით, 9 მილიარდი დოლარია გამოყოფილი იმისათვის, რათა თავდაცვითი სისტემა ბალისტიკური რაკეტების ბაზაზე იქნას გადაყვანილი.

და ბოლოს, საინტერესოა, თუ როგორ გამოიყურება სხვა დიდი ქვეყნების სამხედრო ხარჯები შეერთებულ შტატებთან შედარებით:

რუსეთი: 65 მილიარდი ამერიკული დოლარი (2001 წლის მონაცემები);

ჩინეთი: 47 მილიარდი ამერიკული დოლარი (2001 წლის მონაცემები);

იაპონია: 42 მილიარდი ამერიკული დოლარი;

დიდი ბრიტანეთი: 38 მილიარდი ამერიკული დოლარი.

ერაყის ყოფილი დაზვერვა ალ-ქაიდასთან თანამშრომლობდა

გუშინ გავლენიანმა გამოცემამ "ინტერნეიშენალ ჰერალდ ტრიბუნმა" გამოაქვეყნა მასალა, რომელიც სადამ ჰუსეინისა და "ალ-ქაიდას" თანამშრომლობის შესახებ ახალ მონაცემებს შეიცავს. "ჰერალდ ტრიბუნი" გამოცემა "ვიქლი სტანდარტში" დაბეჭდილ 16-გვერდიან წერილს იშველიებს, რომლის ავტორიც აშშ-ს თავდაცვის მინისტრის თანაშემწე დუგლას ფეიტია. ამ წერილში მითითებულია ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს, გამოძიების ფედერალური ბიუროს, პენტაგონისა და ეროვნული უშიშროების სააგენტოს მიერ მოპოვებული 50 დოკუმენტი, რომელთა უმრავლესობას ჰქონდა გრიფი "სრულიად საიდუმლო."

"ინტერნეიშენალ ჰერალდ ტრიბუნი" განსაკუთრებულ ყურადღებას ერთ-ერთ დოკუმენტზე ამახვილებს, რომელიც ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო დაზვერვის სამსახურის ინფორმაციას შეიცავს. "ჩეხეთის ანტიტერორისტულმა სამსახურმა გვაცნობა, რომ 1 სექტემბრის ტერაქტის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე მოჰამედ ატტა პრაღაში რამდენჯერმე შეხვდა ერაყის დაზვერვის ყოფილ შეფს აჰმედ ალ-ანის. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს, ალ-ანიმ ერაყის დაზვერვის სამსახურს ფინანსური განყოფილების თანამშრომელს უბრძანა, მოჰამედ ატტასათვის მიეცათ ფულადი თანხა პრაღის ოფისიდან," - წერს დუგლას ფეიტი.

"თუკი ეს სიმართლეს შეესაბამება, მაშინ გამოდის, რომ სადამის რეჟიმს 3 ათასი ამერიკელის მკვლელობაში ედება ბრალი," - აღნიშნავს "ინტერნეიშენალ ჰერალდ ტრიბუნი."

მსოფლიოში 850 მილიონი ადამიანი შიმშილობს

გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ გამოაქვეყნა გამაფრთხილებელი მოხსენება, სადაც ნათქვამია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მცდელობის მიუხედავად, მსოფლიოში მოშიმშილე ადამიანების რიცხვი იზრდება.

კერძოდ, გაერო-ს ორგანიზაცია აცხადებს, რომ ყოველდღიურად თითქმის 850 მილიონი ადამიანი მშიერი იძინებს. მათი უმრავლესობა აფრიკის და აზიის ქვეყნებში ცხოვრობს.

გაერო-ს გეგმა, რომლის თანახმადაც 2015 წლისათვის მოშიმშილე ადამიანების რიცხვი ორჯერ უნდა შემცირებულიყო, მოხსენების ავტორთა აზრით, პრაქტიკულად, არ განხორციელებულა. მოხსენებაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ბრძოლა გლობალურ შიმშილთან წარუმატებლად მიმდინარეობს. "პრობლემა სურსათის სიმცირეში კი არა, პოლიტიკური ნების არარსებობაში მდგომარეობს," - აცხადებს მოხსენების ერთ-ერთი ავტორი.

შირაკი და ბლერი ევროპის შეიარაღებულ ძალებს ქმნიან

ლევან ღირსიაშვილი

ლონდონში გამართული შეხვედრის დროს დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის ლიდერებმა ევროკავშირის შეიარაღებული ძალების შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს.

აშშ-ს სერიოზული შეშფოთების მიუხედავად, რომ ევროკავშირის სამხედრო შტაბის შექმნამ, შესაძლოა, სერიოზული ზიანი მიაყენოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ცალსახად განაცხადეს, რომ ევროკავშირის შეიარაღებული ძალების ფორმირება თანხვდება ნატო-ს პრინციპებსაც.

დიდ ბრიტანეთში პრეზიდენტ ბუშის სამდღიანი სახელმწიფო ვიზიტის შემდეგ, ტონი ბლერმა განაცხადა: **"ჩემი აზრით, ისეთ ვითარებებში, სადაც არ მონაწილეობს ნატო, გონივრულია, რომ ევროპას გააჩნდეს საკუთარი შესაძლებლობები და სამხედრო ძალები, რათა ევროპის და მთელი მსოფლიოს ინტერესების შესაბამისად იმოქმედოს."**

ბუშის ვიზიტის დასრულების შემდეგ, ლონდონს საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ეწვია. **"საფრანგეთს ნატო-სთან პრობლემა არ გააჩნია, ხოლო ევროპის თავდაცვითი ინიციატივა აბსოლუტურად თანხვდება ნატო-ს ინტერესებს,"** - განაცხადა საფრანგეთის ლიდერმა და დასძინა, რომ ბალკანეთში დისლოცირებულ ნატო-ს ჯარებში ფრანგული კონტინგენტი უდიდესია.

ტონი ბლერი და ჟაკ შირაკი ევროპის არმიას ქმნიან

"ევროპის თავდაცვის ჩვენებური ხედვა არანაირად არ ეწინააღმდეგება ნატო-ს და ეს ყველამ კარგად უნდა გაიგოს. არც საფრანგეთს და არც გერმანიას არ სურთ ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რაც გამოიწვევს ნატო-ს გახლეჩას, რომელიც ევროპის თავდაცვის საყრდენს წარმოადგენს," - განაცხადა შირაკმა.

თუმცა, საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთის ლიდერებმა არ დაფარეს, რომ უთანხმოება მაინც არსებობს. ამიტომ, დასკვნით კომუნიკეში არაფერია ნათქვამი ყველაზე მწვავე საკითხზე: ევროპული სასარდლო სტრუქტურის შექმნაზე, რაც ნატო-ს შესაბამისი ორგანოს დუბლირებას წარმოადგენს.

ჟაკ შირაკის და ტონი ბლერის განცხადების მიუხედავად, რომ ნატო-ს ერთიანობას არავითარი საფრთხე არ ემუქრება, ბრიტანელი და ამერიკელი სამხედროები საკმაოდ სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ. კერძოდ, ისინი შიშობენ, რომ თუ საფრანგეთი მიაღწევს თავის მთავარ ამოცანას და დამოუკიდებელი სასარდლო და საკონტროლო ცენტრი შეიქმნება, სადაც მომავალში ოპერატიული დაგეგმვის ქვედანაყოფიც შევა, ამით ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს სერიოზული ზიანი მიადგება.

ალბათ, სწორედ აზრთა ამ სხვადასხვაობამ გამოიწვია ის, რომ საკითხი მომავალი სასარდლო სტრუქტურის შესახებ ჯერაც გადაუწყვეტელია. ამის მიუხედავად, ტონი ბლერმა და ჟაკ შირაკმა მხარი დაუჭირეს სწრაფი რეაგირების ძალების შექმნას, რომლებიც სერიოზული კრიზისების შემთხვევაში გაერო-ს განკარგულებაში აღმოჩნდება.

ლონდონში ჩასულმა ჟაკ შირაკმა პირველად განაცხადა, რომ ევროკავშირის გამყარების მიზნით, საფრანგეთმა, გერმანიამ და დიდმა ბრიტანეთმა საკმაოდ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ერაყის საკითხში უთანხმოებამ ევროპულ ერთიანობაზე არც-თუ დიდი გავლენა იქონია. საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი ევროპის ინტერესებისათვის კვლავ სტრატეგიულ პარტნიორებად რჩებიან.

დსთ-ს ლიდერები ქართული დემოკრატიით უკმაყოფილონი არიან

შოთა უტიაშვილი

"დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლების ცვლა მხოლოდ კონსტიტუციური გზით, ზეწოლისა და საგარეო ჩარევის გარეშე უნდა განხორციელდეს, – ნათქვამია დსთ-ს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს განცხადებაში, რომელიც მან საქართველოს მოვლენებთან დაკავშირებით მიიღო, - დსთ-ს ქვეყნებს პრინციპულად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის უზენაესი პრინციპებისადმი ერთგულება."

დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ გამოხატული მხარდაჭერის შემდეგ, დსთ-ს საგარეო საქმეთა მინისტრების ეს განცხადება ოდნავ უსიამოვნო დისონანსად ჩანს. თუმცა, ეს გასაგებიცაა, დსთ-ს ქვეყნების მთავრობებს საკუთარი ოპოზიციაცა და, ალბათ, დასავლეთის ქვეყნებიც ამიერიდან არაერთხელ შეახსენებენ "საქართველოს გაკვეთილს".

უკრაინის ოპოზიციურმა პარტიებმა უკვე რამდენიმე პრესკონფერენცია გამართეს და ხელისუფლება გააფრთხილეს, რომ თუ ისევე უსინდისოდ გააყალბებს არჩევნებს, როგორც ეს საქართველოს ხელისუფლებამ გააკეთა, მაშინ კუჩმაც შევარდნაძის ბედს გაიზიარებს.

გარდა ამისა, საქართველომ დაამსხვრია მითი, რომელმაც დსთ-ს სახელმწიფოების შესახებ დასავლეთში ბოლო დროს მოიკიდა ფეხი. ამ მითის თანახმად, ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში არჩევნების გაყალბება ნორმალური მოვლენაა და მის წინააღმდეგ ბრძოლას აზრი არა აქვს. სომხეთისა და აზერბაიჯანის არჩევნები და მათზე დასავლეთის რეაქცია ცხადად მოწმობდა - დასავლეთს არც ჰქონდა იმედი, რომ არჩევნები ამ ქვეყნებში ნორმალურად ჩაივლიდა.

დსთ-ს ლიდერების შეხვედრა.

და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლა შეიძლება დსთ-ს დასასრულის დასაწყისი აღმოჩნდეს. დსთ-ზე ხშირად ამბობენ, რომ იგი "პრეზიდენტთა კლუბია" და მეტი არაფერი. ამ კლუბის წევრები შეიძლება განსხვავებული ორიენტაციის ფიგურები არიან, მაგრამ მათ აერთიანებთ საერთო კომუნისტური წარსული, ხელისუფლებაში მოსვლის მსგავსი გზა და ქვეყნის მართვის, დაახლოებით, ერთნაირი სტილი. მათი უმრავლესობისათვის რუსული, სალაპარაკო თუ არა, ერთადერთი უცხო ენაა.

ამ პატივცემულ საზოგადოებაში, რომელიც ორიოდე წლის წინ საკმაოდ ერთგვაროვანი იყო, წელს ორი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. ჰეიდარ ალიევი შეცვალა მისმა ვაჟმა და მემკვიდრემ ილჰამ ალიევმა, ედუარდ შევარდნაძე კი - მისმა ერთ-ერთმა დამამხობელმა ნინო ბურჯანაძემ. "პრეზიდენტების კლუბი" მრავალფეროვანი ხდება. მისი წევრები უკვე სრულიად სხვადასხვა სტილის, განათლებისა და წარსულის პოლიტიკოსები არიან.

კლუბში მომხდარი ცვლილებები, წესით, დსთ-ს სახელმწიფოებზეც უნდა აისახოს. ეს უსახური ნაცრისფერი სივრცე, რომელიც 12 წელია გარდამავალ პერიოდში იმყოფება და რომლის მთავარი საერთო მახასიათებლებიც უკანონობა, კორუფცია, შინაგანი გათიშულობა და ავტორიტარიზმია, ბოლოს და ბოლოს, უნდა დაიშალოს. დაიშალოს ქვეყნებად, რომლებსაც დემოკრატიის დამყარება სურთ და ქვეყნებად, რომლებსაც არაფრის დამყარება არ სურთ.

სამი დღის წინ საქართველომ სერიოზული ნაბიჯი გადადგა პირველი ჯგუფისაკენ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახაზინო სამსახური

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 17-21 ნოემბრის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 5 284.3 ათასი ლარი

1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 963.7 ათასი ლარი:
■ ***სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯები - 818.1 ათასი ლარი;***
■ ***სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 145.6 ათასი ლარი;***
2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 3 940.6 ათასი ლარი;
საბიუჯეტო ორგანიზაციების ოქტომბრის თვის შრომის ანაზღაურება - 1 420.3 ათასი ლარი:
■ *უმაღლესი სასწავლებლები - 1 302.7 ათასი ლარი;*
■ *უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრი - 92.0 ათასი ლარი;*
■ *ცენტრალური საარჩევნო კომისია - 25.6 ათასი ლარი:*
ოქტომბრის თვის სოციალური ტრანსფერი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს - 2 443.0 ათასი ლარი:
■ ***ამბროლაურის რაიონი - 78.0 ათასი ლარი;***
■ ***სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი - 817.0 ათასი ლარი;***
წალენჯიხის რაიონი - 147.0 ათასი ლარი;
მარტვილის რაიონი - 138.0 ათასი ლარი;
მესტიის რაიონი - 119.0 ათასი ლარი;
სენაკის რაიონი - 118.0 ათასი ლარი;
ხობის რაიონი - 106.0 ათასი ლარი;
ჩხოროწყუს რაიონი - 105.0 ათასი ლარი;
აბაშის რაიონი - 84.0 ათასი ლარი;
■ ***იმერეთის რეგიონი - 1 548.0 ათასი ლარი;***
ქუთაისი - 429.0 ათასი ლარი;
ჭიათურა - 175.0 ათასი ლარი;
ტყიბული - 138.0 ათასი ლარი;
წყალტუბო - 148.0 ათასი ლარი;
საჩხერის რაიონი - 144.0 ათასი ლარი;
თერჯოლის რაიონი - 117.0 ათასი ლარი;
ხონის რაიონი - 104.0 ათასი ლარი;
ბაღდათის რაიონი - 76.0 ათასი ლარი;
ხარაგაულის რაიონი - 95.0 ათასი ლარი;
ვანის რაიონი - 87.0 ათასი ლარი;
ზესტაფონის რაიონი - 35.0 ათასი ლარი;
ცენტრალური საარჩევნო კომისია (არჩევნების დაფინანსების ფონდი) - 74.3 ათასი ლარი;
■ *შრომის ანაზღაურება - 56.8 ათასი ლარი;*
■ *სხვა საქონელი და მომსახურება - 17.5 ათასი ლარი;*
საქართველოს პრეზიდენტის ფონდი - 3.0 ათასი ლარი;
■ *ჩხოროწყუს რაიონის გამგეობა (საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 27 ოქტომბრის N1369 განკარგულების თანახმად ა. პერტაიას ოჯახის მატერიალური დახმარება) - 3.0 ათასი ლარი:*
3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 380.0 ათასი ლარი;
" სხვა საქონელი და მომსახურება" - 380.0 ათასი ლარი;
■ *თავდაცვის სამინისტრო - 130 ათასი ლარი;*
■ *სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური - 100.0 ათასი ლარი;*
■ *უშიშროების სამინისტრო - 100.0 ათასი ლარი;*
■ *საქართველოს პროკურატურა - 30 ათასი ლარი (საწვავის ხარჯები);*
■ *სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური - 20 ათასი ლარი;*
სულ ხარჯი: 5 284.3 ათასი ლარი
1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 963.7 ათასი ლარი:
■ ***სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯები - 818.1 ათასი ლარი;***
■ ***სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 145.6 ათასი ლარი;***
2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 3 940.6 ათასი ლარი;
3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 380.0 ათასი ლარი;
■ ***სხვა საქონელი და მომსახურება - 380.0 ათასი ლარი;***

თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1 **ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge**

საქართველოს ვარდების რევოლუცია

პირველი გვერდიდან

შევარდნაძის ღირსეული გადადგომა გაკვეთილი უნდა იყოს რეგიონის სხვა სახელმწიფოთა ლიდერებისათვის. ქვეყნის დემოკრატიული მომავლის დასაცავად ქართული ოპოზიციის მიერ გამოყენებული მშვიდობიანი მეთოდები მაგალითი უნდა იყოს ოპოზიციური დაჯგუფებებისათვის. სააკაშვილი ხალხს მშვიდობიან, არაძალადობრივ რევოლუციას ჰპირდებოდა. როდესაც დემოკრატიული ძალები პარლამენტში შეიჭრნენ, მათ ხელები ჰქონდათ აღმართული იმის ნიშნად, რომ შეუიარაღებელნი იყვნენ და ხელში მხოლოდ ვარდები ეჭირათ.

კონსტიტუციის თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნები 45 დღეში უნდა გაიმართოს. უახლოესი რამდენიმე კვირა გადამწყვეტი იქნება ქვეყნის მომავლისათვის. გადასაჭრელია უამრავი პრობლემა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია აჭარის ლიდერის, ასლან აბაშიძის საკითხი. კორუმპირებულმა და ავტორიტარულმა აბაშიძემ მთლიანად გააყალბა აჭარაში ჩატარებული არჩევნები. რეალურად, მან გაცილებით მეტი ზიანი მიაყენა საქართველოს, ვიდრე შევარდნაძემ. აბაშიძე უსმენს, პირველ რიგში, რუსეთსა და თურქეთს, თავის საქმიან და პოლიტიკურ პარტნიორებს. დღეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ მძიმე გარდამავალ პერიოდში საქართველოში ორივე ქვეყანამ მხარი დაუჭიროს დემოკრატიულ ძალებს.

რუსეთმა საგარეო საქმეთა მინისტრის, იგორ ივანოვის სახით, უკვე შეასრულა კონსტრუქციული როლი შევარდნაძის გადადგომასთან დაკავშირებით წარმოებულ მოლაპარაკებებში. თუმცა, რაკი ისტორიულად გარდამავალ პერიოდებს ყოველთვის თან ახლდა რუსულ-ქართული კონფრონტაცია, ქართველი დემოკრატები დარწმუნებულნი მაინც არ არიან, რომ რუსეთი ბოლომდე პოზიტიურ როლს შეასრულებს. შემდგომი რამდენიმე კვირის მანძილზე რუსეთს ექნება საშუალება დაამტკიცოს, რომ მას შეუძლია ითანამშრომლოს აშშ-სთან და ევროკავშირთან საქართველოს სტაბილურობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების საქმეში.

ვაშინგტონმა უაღრესად დადებითი როლი შეასრულა საქართველოში და დაამტკიცა, რომ დემოკრატიის მხარდაჭერა მისთვის მხოლოდ სიტყვის მასალა არ არის. თუ არ ჩავთვლით მრავალი წლის მანძილზე გაწეულ პოლიტიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას, ვაშინგტონმა საარჩევნო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად საქართველოს 2,4 მილიონი დოლარი გამოუყო. პრეზიდენტმა ბუშმა პირადი პრესტიჟი შეაგდო სასწორზე, როდესაც საქართველოში ჯეიმს ბეიკერი მიავლინა. აშშ-ს ფულით ჩატარებულმა ეგზით პოლებმა და ხმების პარალელურმა დათვლამ აჩვენა არჩევნების რეალური შედეგები და ყველას დაანახა გაყალბების მასშტაბები.

ახლა აშშ ვალდებულია, საქართველოში მიმდინარე პროცესებში ჩართული დარჩეს და თავის ევროპელ პარტნიორებთან ერთად, საქართველოს დროებით მთავრობას მისი ისტორიული მისიის ბოლომდე მიყვანაში დაეხმაროს.

მოკავშირეების გარეშე - გადამწყვეტ მომენტში

როცა გასული კვირის ბოლოს თბილისის ქუჩები მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეებით გადაიჭედა, ერთადერთი მოთხოვნით - გადამდგარიყო პრეზიდენტი, შევარდნაძის ცხოვრებაში ისეთი მომენტი დადგა, როდესაც ის, როგორც წესი, დახმარებას ან ვაშინგტონში ან კიდევ მოსკოვში ეძებდა. მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, როცა ვაშინგტონიც და მოსკოვიც მის წინააღმდეგ გაერთიანდა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა, ამერიკელ კოლეგასთან კოლინ პაუელთან საუბრის შემდეგ, შევარდნაძეს ვაშინგტონისა და მოსკოვის საერთო მესიჯი პირადად გადასცა. ის შეხვდა პრეზიდენტს, რომელიც ბრწყინვალე დიპლომატიიდან კორუმპირებული და ავტოკრატიული რეჟიმის სათავეში აღმოჩნდა და ნათლად აუხსნა, რომ 2 ნოემბრის გაყალბებული არჩევნების ლეგიტიმურად აღიარება შეუძლებელი იყო.

როგორც ოპოზიციის ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, აშკარა იყო, ეს ორი დიდი სახელმწიფო ტანდემში მუშაობდა. როცა შევარდნაძე მიხვდა, რომ მას დასაყრდენი აღარ დარჩა არც ამერიკის და არც რუსეთის სახით, სააკაშვილის განცხადებით, ეს მისთვის მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმა აღმოჩნდა.

ამერიკის შეერთებული შტატები მთელი ამ ხნის განმავლობაში მუდმივ ზეწოლას ახორციელებდნენ საქართველოს პრეზიდენტზე, რომ სწორი ნაბიჯები გადაედგა და მსოფლიოს ისტორიაში დემოკრატ ლიდერად დარჩენილიყო.

ამერიკის ბევრი ოფიციალური პირი ამტკიცებს, რომ ბუშის ადმინისტრაციას შევარდნაძისათვის გადადგომა არ უთხოვია. ადმინისტრაციის მთავარი მოთხოვნა იყო, რომ შევარდნაძე პრინციპულ დათმობებზე წასულიყო და ამით სისხლისღვრა თავიდან აეცილებინა. ასეთი კომპრომისად ბევრს არჩევნების ხელახალი ჩატარება ესახებოდა.

"ჩვენ ამ პროცესებში აქტიურად ვიყავით ჩართულები, მაგრამ მათ ამ კრიზისის გადასაჭრელად მზა ფორმულებს არ ვთავაზობდით," – განაცხადა ამერიკის ხელისუფლების ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

კრიტიკულ სიტუაციებში შევარდნაძე დახმარებას ყოველთვის ვაშინგტონს სთხოვდა, რაც ძალიან აღიზიანებდა მოსკოვს. გასული ათი წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოში ერთი მილიარდი დოლარი ჩადო. ამის მიზეზი იყო ის, რომ საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა აქვს და პროდასავლური მთავრობის პოტენციურ ოაზისსაც წარმოადგენს. შევარდნაძემ, რომელიც მსოფლიოს უახლეს ისტორიაში შეტანილი წვლილისთვის ისტორიული ფიგურა გახდა, ბოლო პერიოში იმედი გაუცრუა დასავლეთს, რომელიც საქართველოზე დიდ იმედებს ამყარებდა. "ამერიკის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის თანდათან განმტკიცდა აზრი, რომ საქართველო თავისი თავის ყველაზე საშიში მტერი ხდებოდა," – განაცხადა ბრუკინგსის ინსტიტუტის მკვლევარმა ფიონა ჰილმა.

იმ წარმომადგენლობითი დელეგაციების გარდა, რომელიც საქართველოში წინასაარჩევნოდ ჩავიდა, არჩევნების წინა დღეს შევარდნაძემ ბუშის წერილიც მიიღო.

"მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლება ერთი და იგივე მესიჯს იღებდა. ამ მესიჯებს შორის არანაირი განსხვავება არ ყოფილა," – აღნიშნა ბრუკინგსის ინსტიტუტის პრეზიდენტმა სტროუბ ტელბოტმა.

საქართველოსა და რუსეთს შორის ჩამოყალიბებული ცუდი ურთიერთობები ბოლო წლების განმავლობაში საშინელ დაძაბულობაში გადაიზარდა. 2002 წელს პუტინი ღიად ემუქრებოდა საქართველოს, რომ პანკისის ხეობაში ჩეჩენი ბოევიკების წინააღმდეგ პრევენტიულ დარტყმებს განახორციელებდა.

მაგრამ ნახევრად ქართველი იგორ ივანოვი ის ფიგურა იყო, რომელმაც მედიატორის როლი შეასრულა და დაპირისპირებულ მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევას შეუწყო ხელი. როგორც ეროვნული უშიშროების მდივანმა თედო ჯაფარიძემ განაცხადა, ის ელაპარაკა თავის ამერიკელ კოლეგას და საუბრის დროს აღნიშნა, რომ საქართველო ამერიკისაგან თავს მიტოვებულად გრძნობდა. "მე ვუთხარი კონდის, რომ ვაფასებთ იმ წვლილს, რომელიც ივანოვმა მოლაპარაკების პროცესში შეიტანა. მაგრამ ჩვენ ძალიან კმაყოფილები დავრჩებოდით, იგორ ივანოვის რანგის ფიგურა ამერიკიდანაც რომ ყოფილიყო ასე უშუალოდ ჩართული ამ პროცესში. ჩვენ დიდი ვაკუუმი შეგვექმნა, რომლის შევსება რუსებმა შეძლეს. ახლა ისინი გმირები არიან," - განაცხადა თედო ჯაფარიძემ ინტერვიუს დროს.

ერთი დღით ადრე, ვიდრე ოპოზიცია პარლამენტს აიღებდა, შევარდნაძემ არ უპასუხა ბეიკერის ორ სატელეფონო ზარს. თუმცა, მასთან დალაპარაკება შაბათს კოლინ პაუელმა მოახერხა. პაუელი ივანოვსაც ესაუბრა და "ისინი შეთანხმდნენ, რომ ამ სიტუაციიდან რაღაც გამოსავალი უნდა ყოფილიყო მოძებნილი, რომ შევარდნაძეს ნათლად უნდა დაენახა, რა მდგომარეობაში აღმოჩნდა," – განაცხადა ოფიციალურმა პირმა, რომლისთვისაც ცნობილი იყო ამ საუბრის შინაარსი. როცა შევარდნაძემ გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, პაუელმა დაურეკა მას და საქციელი შეუქო.

"ბოლო დღეს ჩვენ ისეთი სიტუაცია მივიღეთ, როცა რუსეთის პრეზიდენტი თითქოს აიძულებდა უცხო ქვეყნის ლიდერს, თანამდებობა დაეტოვებინა და ამას დასავლეთი წინააღმდეგობას არ უწევდა. მიზეზი კი ის იყო, რომ ჩატარებული არჩევნების ლეგიტიმურობა დასავლეთში დიდ ეჭვს იწვევდა," – ამბობს სტეფან სესტანოვიჩი, ამერიკის საგარეო ურთიერთობათა საბჭოს მკვლევარი.

მოსკოველი ექსპერტები აცხადებენ, რომ პუტინმა იმიტომ გააგზავნა ივანოვი თბილისში, რათა ის შევარდნაძის ქვეყნიდან უსაფრთხოდ წასვლაში დახმარებოდა.

ზოგიერთი რუსი ანალიტიკოსი აცხადებს, რომ შევარდნაძე თავისივე ინტრიგების მსხვერპლი გახდა.

"შევარდნაძის გადადგომა მისივე პოლიტიკური მანევრების შედეგი იყო. ბოლოს და ბოლოს, ის დასავლეთმა მიატოვა, – ამბობს მიხეილ ალექსანდროვი, - მან შექმნა ვირტუალური რეალობა, სადაც რუსეთი თავის უპირველეს მოკავშირედ გამოაცხადა. სინამდვილეში მას ამ ნაბიჯით ერთადერთი რამის მიღწევა სურდა - მოეხდინა ვაშინგტონზე ზეწოლა, რათა ვაშინგტონს მისთვის ბოლომდე მხარი დაეჭირა".

ვაშინგტონ პოსტი

ცვლოვყბთ

უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

ახალგაზრდა მიკის ვნებანი

მე ამ ადამიანების სიბრიყვე და თავხედობა მაოცებს. თქვე კაი დედმამიშვილებო, ხავერდისას თუ აბრეშუმისას კი ეძახიან, მაგრამ რევოლუცია იყოო, თქვენ თვითონ რომ დაჟინებით იმეორებთ, ან არ წაგიკითხავთ, ან არ გაგიგონიათ, რევოლუციის შემდეგ თავებს რომ აყრევინებენ, ციხეებში რომ ამწყვდევენ, პირდაპირ ქუჩაში რომ ასამართლებენ? სად გინახავთ რევოლუციის პირველივე დილას ამ რევოლუციის აბუჩად აგდება, ქილიკი, სად გინახავთ ტელეეკრანზე მოწყობილი მხატვრულ-იურიდიული საღამოები!

ერთი-ორ კაცს უკანონოდ რომ წამოარტყეს თავში, თვითონაც ხომ კარგად იცით, რომ ეს უკანონო ანგარიშსწორება კანფეტია იმასთან შედარებით, რაც მათ კანონიერად მოელით?! ვისაც გინდათ, დაგენაძლევებით, საკუთარი სახლის აგურებს შევჭამ, თუ დღეს მამალაძეს, ასეთი კი არა, ამაზე უარესი გალახვა არ ერჩივნოს იმას, რაც მართლა მოელის.

როგორც უკვე ვთქვი, რევოლუცია, თქვენ რომ იქცევით, ეგეთ ტინგიცობებს ვერ იტანს. ეგ წუნკალი, თქვენი ეკრანიდან ასი ათას კაცს დღესაც რომ ბრბოს უწოდებს, მართლა ბრბო რომ ყოფილიყო, მაგის ნაფლეთები საძებნელი გახდებოდა. ხომ იცით, რომ ამოდენა ხალხში ისეთებიც გამოჩნდება, წლობით დაგროვებულ ბოღმას რომ ვერ შეიკავებს. ამიხსენით, მაინც რას ცდილობთ, გინდათ, თქვენს ფავორიტს თქვენვე მოუღოთ ბოლო? იქნებ როგორმე შეაგნებინოთ: მაგისი სისულელეების ვინმეს რომ სჯეროდეს, მაჟორიტარულ არჩევნებში მაინც მიიღებდა მონაწილეობას. თითო დეპუტატი, სულ ცოტა, 10000 ხმა მაინც ღირს. წარმოიდგინეთ, რამდენი კაცი ასცდებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ახლა ლაპარაკის საღერღელაშლილ იურისტებს მინდა მივმართო. რა იურიდიულ ჩიხებსა და ნონსენსებზე ლაპარაკობთ? ბოლოს და ბოლოს, აღარ მორჩებით "ახალ პარლამენტზე" ენის ტლიკინს? მაგ "ახალი პარლამენტის" დასაშლელად არ ჩამოვიდა თბილისში მთელი საქართველო? ახლა ეგენი რომ მოთმინებით გიგდებენ ყურს, - ამის ნება არა გაქვსო, იმის ნება არა გაქვსო, რაც თავი მახსოვს, ამ ოხერ კონსტიტუციას წაღმა-უკუღმა ატრიალებთ, ლამის ტუალეტში ჩამოკიდეთ, ახლა გაგიხდათ ეგეთი სალოლიავები და საფიცარი?

ვის არა აქვს უფლება, ხალხს? ნარჩემაშვილსა და, თვალები საეჭვოდ რომ აქვს ზევით წასული, კონსტიტუციაშიც რომ არ არის ნახსენები მაგისი თანამდებობა, ემაგ თქვენს, აწ უკვე ყოფილ სახელმწიფო მინისტრს კი აქვს?

მართლა ეგრე ძალიან გექავებათ, რომ თვენახევარი ველარ მოგითმენიათ? რა ქნას ახლა ნინო ბურჯანაძემ, გულხელი დაიკრიფოს – ჩიხში ვართო და თქვენს ხუშტურებზე იცეკვოს? ნამეტან პატრიოტობასაც ნუ გამოიჩენთ. აქამდე ჩუმად შესცქეროდით, როგორ გლეჯდნენ ქვეყანას, ახლა გეტკინათ გული? არც გამიგონია და არც მინახავს ყოფაქცევაში ხუთოსნებით აშენებული სახელმწიფო. ამოდენა ქვეყანას რომ საკლუბო გუნდზე მცირე ბიუჯეტი ექნება, ის ქვეყანა არ არის და უნდა დამეთანხმოთ, რომ თავიდან არის ასაშენებელი.

თავიდან კი, როგორც უკვე გითხარით, ყოფაქცევაში ხუთოსნებით არაფერი გამოვა.

ფრანგებს სამი რევოლუცია დასჭირდათ იმისთვის, რომ ის მიეღოთ, რაც მიიღეს. დემოკრატიით ცნობილ ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ჩრდილოელებსა და სამხრეთელებს შორის დემოკრატიული ღირებულებების სახელით იმდენი სისხლი დაიღვარა, ჩვენს ძალად იურისტებს არც დაესიზმრებათ.

ისევ აგურებზე შემიძლია ჩამოვიდე ნაძლევს, რომ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ყველაზე საყვარელი ადამიანი ის კაცია, რომელმაც ეგრეთ წოდებული ხალხის რჩეულები, ესე იგი, დეპუტატები, - ყბედობას მორჩითო და პირდაპირ სხდომათა დარბაზიდან დაიფრინა.

მე დიქტატურას არ ვითხოვ. მე მინდა, რომ ანგარიში გაუწიონ იმ ხალხს, ვისაც ეს ტელეარხები, უფრო სწორად, იქ შეყრილი იურისტები თუ სხვა სტუმრები ქილიკით მოიხსენიებენ "გაბრაზებულ ამომრჩევლებად". თურმე არჩევნების გაყალბებას არ გაუბრაზებია ხალხი, თურმე მარტო სოციალურმა გაჭირვებამ გამოიყვანა ქუჩაში ასი ათასი კაცი.

საქართველოში სოციალური ამბოხება არც მომხდარა და არც მოხდება. არა იმიტომ, რომ ეს ამბოხების მიზეზი არ შეიძლება იყოს. ქართველებს, უამრავ ნაკლთან ერთად, ერთი საოცარი, ევროპელებისგანაც და აზიელებისგანაც გამორჩეული თვისება გვაქვს. ხომ გახსოვთ დომოდედოვოს აეროპორტში უფულოდ დარჩენილი ვალიკო და **спасибо, здачи не надо!** ეგეთი ამაყები ვართ და, უფრო შიმშილით მოვკვდებით, ვიდრე ვაღიარებთ, რომ პურის საყიდელი ფული არა გვაქვს.

ვის ატყუებთ, რას მაიმუნობთ! ხუთი წელიწადია, დედაჩემი პურის საყიდლად არ გასულა სახლიდან. უჭირს სიარული. საარჩევნო უბანში კი – კილომეტრზეა ჩვენი სახლიდან – ორჯერ ჩავიდა იმ დღეს. პირველი ცდის მერე, საკუთარი სახელი რომ ვერ იპოვა სიებში, ნერვიულობისგან ცუდად გახდა, მეზობლებმა მოიყვანეს შინ. წამლები დალია და ისევ მიბრუნდა უკან.

ყვირილი რომ დავიწყე, სიაში რატომ არა ვარ-მეთქი, ჯერ დამემუქრნენ, პოლიციას გამოვუძახებთო. ამაზე სულ გავცოფდი. ამან დამაწერინა მეორე დღეს, თქვენი კონსტიტუციაც ფეხებზე მკიდია და თქვენი პრეზიდენტიც-მეთქი.

მე არ ვიცი, რა ფერისა და რა ქსოვილისაა, მაგრამ ის კი ნაღდად ვიცი, რომ ეს ჩემი და ჩემნაირების რევოლუციაა და არც ათი, არც ასი და არც ათასი ლარისთვის არ დავმდგარვარ ქუჩაში.

ძვირფასებო და ლამაზებო, ის ასი ათასი რუსთაველზე გამოვიდა, თორემ, თუ ძალად არ დაიბრმავებთ თვალებს, კარგად დაინახავდით, რომ გაბრაზებულები გაცილებით მეტნი არიან. დღეს მთელი საქართველოა გაბრაზებული.

ასე რომ, ძალიან გთხოვთ, დროებით მაინც დაიოკოთ თქვენი დემოკრატიული ვნებანი, უწინარეს ყოვლისა კი იმათ, ვინც ამ სიტყვის არც მნიშვნელობა და არც გემო არ იცით, ვისაც სიტყვის თავისუფლება ყველასთვის კი არა, მამალაძის, სარიშვილის, რჩეულიშვილის ბილწი საქმეების შესანიღბავად გინდათ.

მე მაგათი ფული არ მინდა. მე მინდა, რომ მაგ ფულით, სახლებისა და ძვირფასი ნივთების გარდა, ადამიანების ყიდვა ვერ მოახერხონ. მე მინდა, რომ, სანამ კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოექცევა ყველაფერი, გაბრაზებულმა საქართველომ ლაგამი ამოსდოს ირინა სარიშვილს, რომელსაც დაავიწყდა, რომ ვისაც ახლა ბრბოს ეძახის, სწორედ ის ხალხი იდგა მისი და გიორგი ჭანტურის მიტინგებზე. მე მინდა, რომ ბორია წიფურია, ქუთაისში რომ იტყვიან, - მაგისი ინტელიგენტობა არ გაიშვაო, - თავის არანაკლებ ინტელიგენტურ ჯგუფთან ერთად შეეშვას ბანდიტების დაცვას, თორემ მერე ეგრე ინტელიგენტურად აღარ მიმართავენ. უფრო მოკლე და სადა ფორმას გამოძებნიან. მაგალითად, ასეთს: ბორის, დააყენე ტრაკი!

არა, არც რომ ეს ჩვენი "ყოფილი" ჩერდება? თავის საყვარელ ენაზე რუსებს აუწყა, მაღაზიები დაამტვრიესო, მაროდიორობა დაიწყოო.

არ გამიგონია, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, აქა-იქ მართლაც გატეხეს მაღაზია. ეტყობა, ამან ატკინა გული და გადადგომის მიზეზიც ეს იყო.

ნეტა ამ რევოლუციამდე ვინ ძარცვავდა ხალხს, ვინ იპარავდა ორგანიზაციების ხელფასებს, ვინ ვაჭრობდა ადამიანებით – "ყოფილი" და მისი გუნდი თუ სააკაშვილი, ბურჯანაძე და ეკა ხოფერია, მერე კი "რუსთავი 2"-ის ჯურღმულებში მალავდნენ გამოსასყიდის მიღებამდე!

მაროდიორობა დაიწყოო. ჯერ როგორი მამალი ტყუილია და უცოდინარობის რა დონე – ეს კაცი იყო ჩვენი პრეზიდენტი!

ისე, სწავლა სიბერემდეო და, იქნებ ახლა მაინც ისწავლოს. მაროდიორობა, ზოგადად, ომის დროს ძარცვას ნიშნავს, კონკრეტულად და უფრო ვიწრო და ზუსტი მნიშვნელობით კი – დახოცილი ადამიანების, ესე იგი, მიცვალებულების ძარცვას!

ძალიან მაგარო იურისტებო და ჟურნალისტებო, ცხადია, ზოგიერთებო! აი, ეგეთი პრეზიდენტის მერე რაღაც "მუხლებს" იშველიებთ და ირონიულად, გულში კი ნიშნისმოგებით, უსირცხვილოდ აცხადებთ: ბანდიტებისა და ადამიანების მყიდველ-გამყიდველთა მოხსნის უფლება არა აქვსო. მე თუ მკითხავთ, ნაადრევად მოუვიდა ნინო ბურჯანაძეს პრეზიდენტის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება. ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც, საერთოდ, რევოლუციებისა და ომების დროს იქცევიან – გამწარებული ხალხისთვის, სულ ცოტა, ორი დღით მაინც უნდა მიეცა შურისძიების საშუალება. აი, მაშინ ვნახავდი, როგორ იმღერებდით!

ეს მკაცრი სიტყვები არ არის, ეს სასტიკი სიტყვებია, მაგრამ ასეთია რეალობა.

ჩემო ძვირფასო ძალად ჟურნალისტებო და ძალად იურისტებო, რევოლუციების ეგეთი გაგრძელება უფრო მისაღებია თქვენთვის, თუ, ბოლოს და ბოლოს, ზუსტად გადმოსცემთ იმას, რასაც მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები გადმოსცემენ. ვითომ ამ საინფორმაციო საშუალებებში მარტო რუსული საშუალებებია და ერთიც "ვაშინგტონ პოსტი", რომელზეც სიტყვასიტყვით ასე ამბობთ: "ვაშინგტონ პოსტი" კი გულისამაჩუყებელ სტრიქონებს უძღვნის თბილისის ამბებს..."

რევოლუციებზე ირონიულად არ ლაპარაკობენ, ყოველ შემთხვევაში, პირველ დღეს მაინც. ვარდს საამო სურნელი კი აქვს, მაგრამ ეკლებიც მოჰყვება.

რაც შეეხება "ვაშინგტონ პოსტის" აგდებას. თქვენ რომ წერა-კითხვა იცით, ემაგ ბაგაჟით ჯერ ბოდბისხევში, ჩემს ძვირფას ბიძაშვილთან უნდა ისხდეთ და სწავლობდეთ.

მერე კი ვნახოთ.

გახმოვანებული მხარდაჭერა უნივერსიტეტის ეზოში

"ვერც ნინო ბურჯანაძე და ვერც სხვა ვერ მიგვითითებს, მივიდეთ თუ არა უნივერსიტეტში"

აქციაზე უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან.

უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტში მომხდარ ინციდენტს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტთა ნაწილი აქცია-კონცერტით გამოეხმაურნენ.
"გუშინ გადავწყვიტე, გადავმდგარიყავი, რათა სტუდენტთა დაპირისპირება თავიდან ამეცილებინა - სამეცნიერო საბჭოც ამიტომ მოვიწვიე, მაგრამ საბჭომ თანამდებობაზე დარჩენა მომთხოვა. თანაც, ამდენი მხარდამჭერი სტუდენტი რომ დავინახე, გადადგომა გადავიფიქრე," – განუცხადა რექტორმა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ შეკრებილ სტუდენტებს.

ნანა ქადაგიშვილი

გუშინწინ მეტრეველის კაბინეტში "კმარელებმა" რექტორს მოსთხოვეს მეორე დღის 12 საათამდე თანამდებობის დატოვება. მეტრეველის მხარდამჭერები უნივერსიტეტის ეზოში სწორედ 12 საათისთვის შეიკრიბნენ. უნივერსიტეტის მეცნიერთა საბჭოს სხდომაც აქციის პარალელურად მიმდინარეობდა. ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის ნუგზარ ფოფხაძის განცხადებამ პროფესორ-მასწავლებლები საბოლოოდ დაამშვიდა. ნინო ბურჯანაძეს ვესაუბრე და შეგვპირდა, "კმარა" უნივერსიტეტში აღარ მოვაო, - განაცხადა მან.

გუშინდელი აქცია სტუდენტ-ლექტორებმა ერთ ხმაში ჩაატარეს. ჰარმონია მხოლოდ აქციაზე შემთხვევით მოხვედრილი ყოფილი სტუდენტის გია ჭანტურიას გამოსვლამ დაარღვია - **"უნივერსიტეტის ეზოში ამდენი ხალხი მაშინ არ დამდგარა, როცა საქართველოს უჭირდა; როინ მეტრეველის მხარდასაჭერად კი დადგა. ეს ძალიან ცუდი ფაქტორია,"** – თუმცა, ამ სიტყვებმა დანარჩენ გამომსვლელთა პათოსს ვერაფერი დააკლო. **"ყველამ გაიგოს - უნივერსიტეტის სტუდენტობა ერთ დიდ, მტკიცე ოჯახს წარმოადგენს, რომლის არც ერთი წევრი ("კმარა" ამ ოჯახის წევრობას ნუ დაიბრალებს) არავის მისცემს უნივერსიტეტის და მისი რექტორის შეურაცხყოფის უფლებას. თუ ჩვენ გუშინ ვიდექით იქ, სადაც საფრთხე ემუქრებოდა ჩვენს უფლებებს, დღეს ჩვენ დავდგებით იქ, სადაც საფრთხე ემუქრება ცოდნისა და განათლების უპირველეს კერას საქართველოში. უნივერსიტეტი კანცელარია ან შინაგან საქმეთა სამინისტრო არ არის. ჩვენ ბევრნი ვართ,"** – ეს სიტყვები გამომსვლელმა სტუდენტებმა ოფიციალურ მიმართვაშიც ჩაწერეს.

აქციაზე მხოლოდ კონცერტის მოსასმენად მისულიც ბევრი იყო. მათ არც "კმარას" საქციელი აშფოთებდათ და არც მეტრეველის მხარდამჭერთა გამოსვლა აღელვებდათ. უნივერსიტეტის რექტორატით უკმაყოფილო უმცირესობა კი ტრიბუნიდან მოშორებით იდგა და აქციას უჩუმრად ადევნებდა თვალს. **"ეს როინ მეტრეველის აქციაა. დილით აქ ერთი რუპორიანი ბიჭი და ორი დროშიანი გოგო დარბოდა, უცებ კი ამდენი ხალხი გაჩნდა. ამ სტუდენტებს გამოცდები და ჩათვლები გარანტირებული აქვთ,"** – ჩუმ-ჩუმად ლაპარაკობდნენ კანტიკუნტად მიმობნეული მოწინააღმდეგეები.

პროფესორ-მასწავლებლებში კი აზრთა სხვადასხვაობა ნაკლებად შეიმჩნეოდა. **"ჩემთვის ყველანაირი ძალადობა მიუღებელია, მით უმეტეს - აკადემიურ, საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ყველაფერი სამართლებრივ ფარგლებში უნდა მოხდეს. ცვლილებების წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ გააჩნია, რა ფორმითა და ვისი ხელით გატარდება. ქვეყანაში ცვლილებები ზევიდან უნდა დაიწყოს,"** – განგვიცხადა უნივერსიტეტის პრორექტორმა პარმენ მარგველაშვილმა.

პროფესორი რისმაგ გორდეზიანი კი სტუდენტებს მოცდას ურჩევს. **"მოვიცადოთ, სანამ ახალი ხელისუფლება მოვა. ვნახოთ, რა პოზიციას შემოგვთავაზებს და იმის მიხედვით მოვიქცეთ,"** – აცხადებს იგი.

რაც შეეხება "კმარას", მართალია, გუშინ მისი აქტივისტები უნივერსიტეტში არ გამოჩენილან, მაგრამ, როგორც მათი ერთ-ერთი ლიდერი თეა თუთბერიძე აცხადებს, "კმარა" მეტრეველისთვის თავის დანებებას არ აპირებს. **"ვერც ნინო ბურჯანაძე და ვერც სხვა ვინმე ვერ მიგვითითებს, უნივერსიტეტში მივიდეთ თუ არა. მეტრეველი თანამდებობაზე არ დარჩება. ძალადობას არ ვაპირებთ - შევარდნაძესავით მშვიდობიანი გზით გავაცილებთ უნივერსიტეტიდან,"** – იმუქრება თუთბერიძე.

სიახლის მოლოდინში

"ახალგაზრდები მოვიდნენ სათავეში და იმედი მაქვს, რომ რაღაცას სასიკეთოდ შეცვლიან. არ გვეყო ამდენი გაჭირვება და უბედურება?" - კითხულობს საზოგადოების უმეტესი ნაწილი, რომელიც, დიდი ხანია, სიახლის მოლოდინშია. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ქუჩაში გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა აცხადებს, რომ დღეიდან აღმავლობის პერიოდი უნდა დაიწყოს.

თამარ დვალი

ლევან ყიფიანი 17 წლის:

"გადატრიალება არსად ისე არ ხდება, თუკი მას სიახლე არ მოჰყვა. გადატრიალების მიზანიც ხომ არსებულის შეცვლაა. რწმენა დიდი მაქვს, რომ დღეიდან ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება და არა - პირიქით. საქართველოში უამრავი დაუსაქმებელი ახალგაზრდაა, რომლებსაც ელემენტარული პირობები ესაჭიროებათ, რათა თავიანთ სამშობლოში დარჩნენ. ამის დასტურია ისიც, რომ ამ დღეებში რუსთაველზე ათასობით უკმაყოფილო ახალგაზრდა გამოვიდა. ისინი სწორედ თავიანთი მომავლის გამოსასწორებლად იბრძოდნენ. მეც ამიტომ ვიდექი ჩემი თანატოლების გვერდით. ვფიქრობ, რომ ხელისუფლებიდან ბევრს უნდა მოეთხოვოს პასუხი თავიანთ შეცდომებზე. იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიო, უნდა მოიპოვო ძალაუფლება. იმ კორუმპირებულებს ფულის იმხელა ძალაუფლება აქვთ, რომ თავები თუ არ დააყრევინე, აქეთ დაგაყრევინებენ..."

ლაშა მეტრეველი, 54 წლის:

"შევარდნაძის წასვლის მომხრე მეც ვიყავი, მაგრამ მაინც შემეცოდა. ისეთი გარემოცვა ჰყოლია, რომ სხვანაირად არ შეეძლო. ვაჟკაცური ნაბიჯი გადადგა. არ ვიცი, რა გულით დაულოცა ახალგაზრდებს გზა, მაგრამ მაინც კაცურად გამოუვიდა..."

ალეკო ლეკიშვილი, 43 წლის:

"ახლანდელმა ლიდერებმა ის კურსი თუ გაატარეს, რასაც ამბობენ და ისევ ძველი არ გააგრძელეს, ძალიან კარგი იქნება. შეცდომები ყველამ დაუშვა. ახლა რომ კომუნისტებიდან მოყოლებული ყველას მოვთხოვოთ პასუხი და ყველას მიმართ რეპრესიები განვახორციელოთ, არ გამოვა. მე ქრისტიანი კაცი ვარ და ამის მომხრე არასდროს ვიქნები. კარგია, თუ ახალი ძალა კიდევ ერთხელ არ გაგვიცრუებს იმედებს. ცოტა უხერხულია, როცა მოსვლისთანავე კაბინეტებში შეიჭრნენ და ადგილების დაკავება სცადეს..."

პროკრედიტ ბანკი კიდევ ერთ განყოფილებას ხსნის

გუშინ კიდევ ერთი განყოფილება შეემატა პროკრედიტ ბანკის (ყოფილი ემ-ბი-ჯი ბანკი) ფილიალთა ქსელს, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 18 ფილიალსა და განყოფილებას ითვლის. აღსანიშნავია ბანკის ზრდის ტემპი - მიმდინარე წელს უკვე მე-4 ახალი განყოფილება გაიხსნა. ახალი განყოფილება წერეთლის გამზირზე მდებარეობს და დიდუბის რაიონის მოსახლეობას მოემსახურება.

პროკრედიტ ბანკი ამაყობს იმით, რომ იგი უკვე ოთხ წელზე მეტია, რაც საქართველოს მოსახლეობას მომსახურებას უწევს. დღეისათვის ჩვენ ვემსახურებით 20,000-ზე მეტ კლიენტს. საქართველოს მეწარმეთათვის ჩვენ ვიქეცით ისეთ საბანკო პარტნიორად, რომელსაც აბსოლუტურ უპირატესობას ანიჭებენ საქმიანი ურთიერთობისას. მთლიანი აქტივების მაჩვენებლით, პროკრედიტ ბანკი საქართველოს ბანკებს შორის მეოთხე ადგილზეა.

შეგახსენებთ, რომ 2003 წლის 15 სექტემბრიდან საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკმა (ემ-ბი-ჯი) სახელი შეიცვალა და გახდა პროკრედიტ ბანკი. სახელი შეიცვალეს პროკრედიტ ბანკის პარტნიორმა ბანკებმა ევროპაშიც.

პროკრედიტ ბანკი ეკუთვნის იმ 10 ბანკის ჯგუფს, რომლებიც წარმატებით ეწევიან თავიანთ საქმიანობას სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და რომლებიც ერთად ემსახურებიან 250,000 კლიენტს, ხოლო მათი აქტივების ღირებულება უდრის 800 მილიონ დოლარს. ეს ბანკები აწარმოებენ საკრედიტო საქმიანობას 113 მილიონი მოსახლეობისაგან შემდგარ გაერთიანებულ ბაზარზე.

ყველა პროკრედიტ ბანკი იმყოფება ერთი ჯგუფის მფლობელობაში და მასში შემავალ აქციონერებს წარმოადგენენ ისეთი ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, კომერცბანკი, გერმანიის სახელმწიფო განვითარების კომპანია, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და საერთაშორისო მიკროინვესტიციების კომპანია.

2003 წლის ოქტომბრის შედეგებმა კვლავ დაგვანახეს ბანკის დინამიური ზრდა. ბანკს გასულ თვეში გაცემული აქვს 1200-ზე მეტი ბიზნეს, სამომხმარებლო და ბინათმშენებლობის სესხი საქართველოში, რომელიც თანხობრივად უდრის 6.5 მილიონ აშშ დოლარს და, შესაბამისად, მან საქართველოს ბაზარზე დაიმკვიდრა ერთ-ერთი წამყვანი ბანკის პოზიცია. ამა წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, 2003 წლის მოგებამ შეადგინა 1.64 მილიონი აშშ დოლარი.

მოკლედ

მოვითხოვთ ნადარეიშვილის გადადგომას!

გუშინ თსუ-ს სოხუმის ფილიალში სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა გაიმართა, რომელსაც სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად აფხაზეთის ინტელიგენციის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. სხდომის მონაწილეებმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნინო ბურჯანაძეს.

ამავე დროს გამოითქვა აღშფოთება იმის გამო, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობამ და აფხაზეთის დეპუტაციამ 2 ნოემბრის გაყალბებული საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით 22-23 ნოემბერს, უღირსი პოზიცია დაიკავეს.

აღნიშნული პოზიცია, პირველ რიგში კი ბატონ თამაზ ნადარეიშვილის და აფხაზეთის დეპუტაციის მონაწილეობა შევარდნაძის მიერ "დანიშნულ" პარლამენტში, სხდომამ ერთსულოვნად შეაფასა, როგორც სამოქალაქო დაპირისპირებისა და სისხლისღვრის ინსპირირებისკენ გადადგმული ნაბიჯი.

ამის გამო, სოხუმის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ და სხდომის ყველა მონაწილემ მოითხოვეს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილისა და აფხაზეთის მთავრობის სრული შემადგენლობით გადადგომა.

იმავე დღეს სოხუმის ფილიალში სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის საბჭოს სხდომაც გაიმართა, რომელზეც იგივე მოთხოვნები წამოაყენეს.

24 საათი

დალასელი ქართველები განსაკუთრებულ მადლობას იხდიან

დალასში, კერძოდ ტეხასში, პარასკევს, შაბათს და კვირას შეიკრიბნენ ქართულ-ამერიკული თანამეგობრობის ასოციაციის წევრები ნანა ანდრონიკაშვილის თაოსნობით, რათა ყურადღება შეეჩერებინათ საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე.

კვირას წმინდა სერაფიმის რუსულ ორთოდოქსულ ტაძარში ხალხი საქართველოდან ჩამოტანილი წმინდა გიორგის ხატთან ანთებული სანთლების ირგვლივ მოგროვდა და მალე შევარდნაძის გადადგომის ინფორმაციაც მოვიდა.

ზეიმი გაგრძელდა რესტორანში, სადაც საქართველოს დიდი გამარჯვების ბევრი სადღეგრძელო შეისვა.

დღეს საღამოს კი წმინდა სერაფიმეს ტაძარში საეკლესიო ღვთისმსახურება ჩატარდება, რათა ქართველებმა მადლობა შესწირონ ღმერთს საქართველოში უსისხლოდ განხორციელებული ცვლილებების გამო.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. აშშ-ს საელჩოს ცნობით, გუშინ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისა და მოხალისეთა კერძო ორგანიზაციის (ACTS) ერთობლივი ძალისხმევით თბილისში ჩამოიტანეს 3 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების მედიკამენტები და სამედიცინო მოხმარების სხვა საგნები. ეს არის ამერიკელი მწარმოებლების შემოწირულობა. ჰუმანიტარულ ტვირთს გაანაწილებენ "ACTS"-ს ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები. ქართველმა ექიმებმა აღნიშნული მედიკამენტები უფასოდ უნდა გასცენ. *24 საათი*

■ ■ ■

თბილისი. სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხის წამყვანის სულხან მელაძის განცხადებით, პირველი არხის მიმართ ზეწოლის მცდელობა უკვე ტრადიციად იქცა. მელაძის თქმით, პირველი არხი მუდამ ემსახურებოდა სახელმწიფოებრივ ინტერესებს და არავის აქვს უფლება, მასზე ზეწოლა მოახდინოს.

"ჩვენ უნდა მოგვეცეს ნორმალური მუშაობის საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას თავად მოვიპოვებთ", - აცხადებს მელაძე და მოუწოდებს ყველას, გაიხსენონ 1991-92 წლების მოვლენები და, შესაბამისად, გამოიჩინონ სიფრთხილე აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

ქუთაისი. მეორე დღეა, ქუთაისში "იკარუსის" ტიპის ავტობუსის მძღოლები სამუშაოდ არ გადიან და საწვავის გაიაფებას ან მგზავრობის ღირებულების გაზრდას ითხოვენ. იგივე მოთხოვნით, სამარშრუტო ტაქსის მძღოლებიც აპირებენ გაფიცვას. ქუთაისელ მძღოლებს ქალაქის მერი ნუგზარ ფალიანი შეხვდა და ამ საკითხის გადაჭრას დაჰპირდა.

"ან მგზავრობის ღირებულება გაიზრდება, ან თხოვნით მივმართავ საკრებულოს, მათი საწვავის საფასურის ნაწილი დააფინანსოს, რაც ქალაქს საშუალებას მისცემს, ტრანსპორტით მგზავრობა არ გაძვირდეს. ქუთაისში ავტობუსით მგზავრობა 10 თეთრი ღირს, სამარშრუტო ტაქსით კი - 20 თეთრი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მართლმადიდებლურმა სამყარომ გუშინ წმინდა ნილოს მირონმდინარის ხსენების დღე აღნიშნა. ამ თარიღთან დაკავშირებით, ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში საზეიმო წირვა-ლოცვა აღევლინა. როგორც საქართველოს საპატრიარქო განმარტავს, წმინდა ნილოსი იყო ერთ-ერთი უდიდესი ათონელი მამა, რომელიც მე-17 საუკუნის დასასრულსა და მე-18 საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დედაქალაქის მერი ვანო ზოდელავა კვლავ თავის თანამდებობაზეა და იგი სამშაბათის ტრადიცულ შემოვლას აგრძელებს. როგორც ზოდელავამ შემოვლისას ჟურნალისტებს განუცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მან გუშინ გააკეთა განცხადება გადადგომის თაობაზე, გარდამავალი მთავრობის სამივე წარმომადგენელთან კონსულტაციების შემდეგ იგი ქალაქის მერად დარჩა. "მე წასვლის არ მეშინია, იმან იკითხოს, ვისაც წასასვლელი არსად აქვს. ისე, კარგი იქნება, თუ გარდამავალი მთავრობის წარმომადგენლები ქალაქის მერის არჩევითობის გადაწყვეტილებას მიიღებენ", - განაცხადა მან. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

თბილისი. შს მინისტრის პირველი მოადგილის შოთა ასათიანის ინფორმაციით, ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარება აშკარად დამძიმებულია და ამ ვითარების შესაცვლელად სერიოზული სამუშაოები გატარდება.

ასათიანის თქმით, აღრიცხულია ათობით დანაშაული, რომელთა გასახსნელად სათანადო ღონისძიებები დაიწყება. "შს სამინისტრო მაქსიმალურად ყველაფერს გააკეთებს ვითარების დარეგულირებისა და მომავალი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების სტაბილურ გარემოში ჩასატარებლად", - აცხადებს ასათიანი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შინაგანი ჯარების სარდალი გიორგი შერვაშიძე თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერას არ აპირებს.

როგორც შინაგანი ჯარების სარდალი აცხადებს, პოსტის დატოვება მისთვის პრობლემას არ წარმოდგენს, თუმცა დღეს ამის აუცილებლობას იგი ვერ ხედავს. შერვაშიძის თქმით, მასზე რაიმე ფორმით ზემოქმედება და მოთხოვნა, რომ თანამდებობა დაეტოვებინა, არ ყოფილა. გიორგი შერვაშიძე შინაგანი ჯარების სარდლად 1995 წელს დაინიშნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია თავის მოადგილესთან - ბადრი მეტრეველთან ერთად გაემგზავრება გერმანიაში, სადაც შეუერთდება ამ ქვეყანაში გუშინ ჩასულ ქართველ მოსამართლეთა დელეგაციას. ლადო ჭანტურიამ გამგზავრება საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გამო გადადო. 23 ნოემბერს გერმანიაში გაემგზავრნენ ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა მამალაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ავთანდილ აბაშიძე და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე მერაბ ახობაძე.

ქართველი მოსამართლეების გერმანიაში ვიზიტი დააფინანსა კონრად ადენაუერის ფონდმა „საერთაშორისო თანამეგობრობა".

ქართულ დელეგაციას დაგეგმილი აქვს შეხვედრები მიუნხენში, ლაიფციგსა და ბერლინში. შეხვედრებზე განიხილება მომავალი ურთიერთთანამშრომლობის საკითხები, გერმანული სამართლებრივი მოწყობა და სხვა. ვიზიტი 30 ნოემბერს დასრულდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 23 ნოემბრის ღამით რუსთაველის გამზირზე ჩადენილი ძარცვის ბრალდებით 24 წლის თემურ ქოქოსაძე პოლიციელებმა გუშინ დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, წარსულში ნასამართლევმა ქოქოსაძემ ფიზიკური ძალის გამოყენებით ჯონი პოლიანს წაართვა მობილური ტელეფონი, მაჯის საათი, ოქროს ბეჭედი და საბუთები.

პოლიციელებმა დაკავებულისგან ნივთმტკიცებები ამოიღეს. როგორც გაირკვა, თემურ ქოქოსაძეს თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიცია რამდენიმე თვის განმავლობაში ეძებდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 23 ნოემბერს პოლიციელებმა ნასამართლევი, სამტრედიელი ვასილ კაჭახიძე დააკავეს თბილისში, გურამიშვილის გამზირზე ჩადენილი ხულიგნობის ბრალდებით.

როგორც თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურში აცხადებენ, კაჭახიძემ გურამიშვილის გამზირზე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გოჩა წაქაძეს, რომელსაც საფანტის ტიპის პისტოლეტით ემუქრებოდა. დაკავებულისაგან პოლიციელებმა უნომრო საფანტის ტიპის პისტოლეტი "მაგნუმი" ამოიღეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 23 ნოემბერს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა 18 წლის ზინაიდა უ-მ. იგი მეშვიდე სართულიდან, საკუთარი სახლის აივნიდან გადმოხტა.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ცნობით, გარდაცვლილი ფსიქიურად დაავადებული იყო. გუშინ კიდევ ერთი თვითმკვლელობა მოხდა თბილისში. ვარკეთილის მე-4 მკრ რაიონში მდებარე კორპუსის მე-7 სართულის აივნიდან იქვე მცხოვრები 59 წლის ნელი კ-ა გადმოხტა და ადგილზე გარდაიცვალა.

ამ ფაქტებზე მოკვლევას ატარებს თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შს სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურში გასული კვირის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით აღრიცხულია სახანძრო შეტყობინების 39 შემთხვევა. როგორც ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის პრესცენტრში აცხადებენ, დაიწვა ოთხი სახელმწიფო ნაგებობა, ექვსი საცხოვრებელი სახლი, 17 სხვადასხვა სახის ობიექტი. ხანძრის დროს დაშავდა ერთი ადამიანი. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ცნობით, სულ ამ პერიოდში 12 ფიქტიური გამოძახება დაფიქსირდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საოლქო სასამართლოს კოლეგიამ, რომელსაც მოსამართლე ნუნუ ალასანია თავმჯდომარეობდა, ჩეჩენ პატიმართა ადმინისტრაციული სარჩელის განხილვაზე თვითაცილების გადაწყვეტილება მიიღო.

სამი ჩეჩენი პატიმრის - ალხანოვის, გელოგაევისა და მულკოევის ადვოკატის არჩილ ჩოფიკაშვილის განცხადებით, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია ამ დროისთვის საარჩევნო დავების განხილვით არის დაკავებული, ამიტომ აღნიშნულ სარჩელს საოლქო სასამართლოს სხვა შემადგენლობა განიხილავს. პროცესი 9 დეკემბერს განახლდება.

ალხანოვი, გელოგაევი და მულკოევი იმ 13 პირს შორის იყვნენ, რომლებიც 2002 წლის 4 აგვისტოს დააკავეს გირევის საგუშაგოზე. მათ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადმოკვეთა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-გადმოტანა ედებოდათ ბრალად. მოგვიანებით ჩეჩნებს კიდევ ერთი, თბილისის N5 საპყრობილის ბადრაგისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდება წაუყენეს. **ინტერ-პრესი**

ასანიძე ნინო ბურჯანაძის დავალებებს შეასრულებს

პირველი გვერდიდან

თუ საზოგადოების ნაწილისთვის ეს ცვლილება ძალზე მოულოდნელი იყო, სააქტო დარბაზში შეკრებილ შსს-ს თანამშრომლებს სიახლე ნამდვილად არ მოუსმენიათ. არა იმიტომ, რომ წარმატებული პოლიციური კარიერიდან გამომდინარე, სწორედ რუბენ ასანიძე იყო ის ფიგურა, ვისაც მინისტრის მოვალეობა უნდა შეესრულებინა და არც იმიტომ, რომ კანონით ეს მას ერგებოდა. უბრალოდ, მანამდე, სანამ, კობა ნარჩემაშვილი გადადგომის თაობაზე განცხადებას გააკეთებდა, შსს-ს თანამშრომლებმა უკვე იცოდნენ, რომ მინისტრის მოვალეობას რუბენ ასანიძე შეასრულებდა. ეს ინფორმაცია მას შემდეგაც გამყარდა, როცა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა მის მიერ მოწვეულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე სწორედ რუბენ ასანიძე მიიწვია და არა მინისტრის პირველი მოადგილე. სხვათა შორის, არაოფიციალური ინფორმაციით, რუბენ ასანიძე მინისტრის მოვალეობის შესრულებას ოფიციალურ წარდგენამდე, კობა ნარჩემაშვილის გადადგომისთანავე, გუშინწინ ღამით შეუდგა.

არადა, "აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონის მე-20 მუხლის მეორე ნაწილით, რომელიც მინისტრის პირველი მოადგილის ვალდებულებებს განსაზღვრავს, მინისტრის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ავტომატურად პირველი მოადგილე ასრულებს. **"მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს სამინისტროს საქმიანობას და კოორდინაციას უწევს სამსახურების ურთიერთობებს მინისტრის არყოფნისას,"** – ასეთ კატეგორიულ მოთხოვნას აყენებს ხსენებული კანონი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მანამდე, სანამ ახალი შს მინისტრი ოფიციალურად არ დაინიშნება, კანონით, შს მინისტრის მოვალეობა მინისტრის პირველ მოადგილეს შოთა ასათიანს უნდა შეესრულებინა.

ქვეყნისთვის სტრატეგიულ სტრუქტურაში - შსს-ში არსებული ფარული განხეთქილება, იქ არსებული უმძიმესი სიტუაცია, ამ სისტემის კონტროლიდან გამოსვლის საფრთხეს ქმნის. ალბათ ჩათვალეს, რომ რუბენ ასანიძე ყველაზე უკეთ დაარეგულირებდა პრობლემებს. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება გამართლებულია, რომ არა რუბენ ასანიძის შელახული იმიჯი.

თავის დროზე რუბენ ასანიძე კახა თარგამაძის გუნდის წევრად სახელდებოდა და კობა ნარჩემაშვილის მოადგილედ მისმა დანიშვნამ საზოგადოების ნაწილი გააკვირვა კიდეც. მისმა სახელმა რამდენიმე სკანდალურ თემასთან კავშირში გაიჟღერა. სწორედ რუბენ ასანიძის სახელთან დაკავშირდა



შსს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გააკონტროლებს.

აბრაგად ქცეული უშიშროების პოლკოვნიკის აკაკი ელიავას ლიკვიდაციის ოპერაცია, რომელიც ზესტაფონის პოლიციის ეზოში ჩატარდა. ამ ოპერაციის გამო, ექსპრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მას გენერლის ჩინი უბოძა. იმ დროს რუბენ ასანიძე იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსი იყო.

იმერეთში რუბენ ასანიძის ქონების, ფეშენებელური სახლების, აგარაკებისა და სისტემაში "ნაშოვნი" დიდძალი ფულის შესახებ დღესაც საუბრობენ და მას ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ადამიანად მიიჩნევენ. სხვათა შორის, კობა ნარჩემაშვილის მოადგილედ მისი დანიშვნისას ჩატარებულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტები მისი ფინანსური შესაძლებლობებითაც დაინტერესდნენ. **"ჭაბურღილი მაქვს კუვეიტში",** - ამ იუმორით იგერიებდა იგი აბეზარ ჟურნალისტებს. გავრცელებული ინფორმაციებით, მას რამდენიმე მსხვილი ბიზნესის მფარველად მოიხსენიებენ. სათქმელია ისიც, რომ რუბენ ასანიძეს შსს-ში დიდი გავლენა არ აქვს, რადგან სამინისტრო და მისი ქვედა რგოლები ნარჩემაშვილის კადრებითაა დაკომპლექტებული.

"პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის საკადრო გადაწყვეტილებებში მე არ ვერევი. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ნარჩემაშვილის გადადგომა მნიშვნელოვანი ფაქტი იყო. აქვე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პოლიციელებს, რომლებიც ხალხის გვერდით დადგნენ," – ასეთი კომენტარი გააკეთა "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა.

„ყველაზე სერიოზული ცვლილება, ანუ მინისტრ ნარჩემაშვილის გადადგომა უკვე განხორციელდა. სისტემაში რაიმე სერიოზული საკადრო ცვლილებები არ იგეგმება, რადგან აქ ბევრი გამოცდილი და კეთილსინდისიერი პროფესიონალი მუშაობს, რომლებმაც ყველაფერი უნდა გააკეთონ კრიმინოგენული სიტუაციის დარეგულირებისა და ქვეყანაში მომავალი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩასატარებლად. რუბენ ასანიძე შეასრულებს დავალებებს, რომელსაც კონკრეტულად მე მივცემ," – თქვა შსს-ს თანამშრომლებთან შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ.

"მე, როგორც ერთი ამომრჩეველი, ჩემს ხმას ხელისუფლებას ვაძლევ და ვეცდები, სხვებიც ჩემკენ გადმოვიბირო... რა არის პოლიცია, თუ არა კანონიერი შეიარაღებული ფორმირება, რომელიც ვალდებულია, იცავდეს ხელისუფლებას და არსებულ წესწყობილებას," – ორი ნოემბრის არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე შსს-ში ჩატარებულ კოლეგიის სხდომაზე, რომელიც ცხრა თვის შედეგებსა და არჩევნების თემას მიეძღვნა, რუბენ ასანიძე ასეთი განცხადებით გამოვიდა. მან ეს ფრაზა გაცილებით შთამბეჭდავი რეზიუმეთი დაასრულა: **"ასე იყო კომუნისტების დროს, ასე იქნება ახლაც".**

ყვარლის რაიონის ტრაგედიის ავტორები ლიკვიდირებულნი არიან

გუშინწინ, გვიან ღამით, სამართალდამცველებმა კიდევ ორი დამნაშავის ლიკვიდაცია მოახდინეს. მკვლელობაში ეჭვმიტანილ ორივე დამნაშავეს - ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში მცხოვრებ მიხეილ მიქელაშვილსა და დაბა თიანეთის მკვიდრ ხვიჩა მამადაშვილს ყვარლის რაიონის პროკურატურა იმ სამი მკვლელობისა და ერთი პიროვნების დაჭრის გამო ეძებდა, რომელიც მათ ორი დღის განმავლობაში ჩაიდინეს სოფლებში - საბუესა და შილდაში.

თამარ კაპიტაძე
ზვიად რუაძე

12 ნოემბერს, ღამის პირველ საათზე, სოფლ საბუის მოსახლეობამ ავტოსადგურთან დავით ბათიაშვილის გვამი იპოვა. ცეცხლსასროლი იარაღით თავის, გულმკერდის და ფეხის არეში დაჭრილი ბათიაშვილი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. რაიონის პროკურორის ალექსანდრე ფერიაშვილის ვერსიით, მკვლელობა შელაპარაკების ნიადაგზე მოხდა.

ამ ფაქტს ორი დღის შემდეგ მკვლელობების სერია მოჰყვა სოფელ შილდაშიც.

გურამ ხახუტაშვილი საკუთარ სახლში ცეცხლსასროლი იარაღით სწორედ იმ დროს მოკლეს, როდესაც იგი დასაყაჩაღებლად მისულ დამნაშავეებს თავს წაადგა. ხახუტაშვილების ბინიდან გაქცეულმა თავდამსხმელებმა კი გზაში შემთხვევით შემხვედრი ბესარიონ ღელაღუტაშვილიც მოკლეს და ცეცხლი გაუხსნეს ქუჩაში მყოფ რამდენიმე პიროვნებას, რომელთაგან ერთი მსუბუქად დაიჭრა.

როგორც სამართალდამცველები ვარაუდობდნენ, მკვლელობათა სერია კრიმინალების მხრიდან დანაშაულის კვალის წაშლის მცდელობას მოჰყვა. ეს კი იმის მანიშნებელი იყო, რომ მკვლელს მსხვერპლი იცნობდა. ამასთან ის, რომ სამივე მკვლელობა ერთი და იმავე იარაღით მოხდა, გამოძიებას საშუალებას აძლევდა, ევარაუდა, რომ დამნაშავე ერთი პიროვნება იყო. რამდენიმე დღიანი გამოძიების შემდეგ კი უშუალოდ მკვლელის ვინაობაც გამოიკვეთა.

დღეს უკვე ყვარლის რაიონის პროკურორი ღიად აცხადებს, რომ გამოძიებაში არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რითაც დგინდება, რომ დავით ბათიაშვილის, გურამ ხახუტაშვილის და ბესარიონ ღელაღუტაშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილები სწორედ მიქელაშვილი და მამადაშვილი იყვნენ.

"სამივე მკვლელობაზე არსებობენ მოწმეები. თავდაპირველად, ისინი ჩვენებებს არ გვაძლევდნენ შეიარაღებული დამნაშავეების შიშით. მოგვიანებით კი გამოჩნდა სამი მოწმე, ვინც დაგვიდასტურა, რომ ბათიაშვილის მკვლელობა სწორედ მიქელაშვილისა და მამადაშვილის მიერ იყო ჩადენილი. მკვლელობის თვითმხილველნი არიან შილდაშიც და რადგან დამნაშავეები უკვე ლიკვიდირებულები არიან, ჩვენებებს ისინიც მოგვცემენ," – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ყვარლის რაიონის პროკურორმა.

ჩვენი ინფორმაციით, დამნაშავეები მოკვლით ემუქრებოდნენ რამდენიმე შილდელს, რის გამოც, სოფლელების თქმით, ისინი ღამე ქუჩაში გამოსვლას ველარ ბედავდნენ.

"რაიონის პილიციას სრული ინფორმაცია ჰქონდა დამნაშავეების გადაადგილების შესახებ და მათ ფეხდაფეხ დაჰყვებოდნენ, რათა შესაფერისი მომენტი შეგვერჩია და მსხვერპლი თავიდან აგვეცილებინა. დამნაშავეები გვითვლიდნენ, რომ ცოცხლად არ დაგვნებდებოდნენ. საბოლოოდ, დამნაშავეებმა დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე გადაინაცვლეს, სადაც მათი ლიკვიდაცია მოხდა," – ამბობს ალექსანდრე ფერიაშვილი.

ჩვენი ინფორმაციით, დედოფლისწყაროს რაიონში, სოფელ სამთაწყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე, ძებნილები ახალ დანაშაულს გეგმავდნენ, რისი განხორციელების საშუალებაც სამართალდამცველებმა არ მისცეს და მათ ალყა შემოარტყეს.

პოლიციამ შეიარაღებულ დამნაშავეებს რამდენჯერმე მოსთხოვა, ჩაბარებოდნენ, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. მკვლელობაში ეჭვმიტანილებმა სანადირო თოფით სამართალდამცველთა მისამართით ორჯერ ისროლეს, დაზიანდა პოლიციის კუთვნილი ავტომანქანა "უაზი". ჩამსხვრეული მინებით კი რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსს სახე დაესერა. ყვარლის რაიონის პროკურორის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეებმა კანონდამცველებს ცეცხლი გაუხსნეს, პოლიციამ ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა რამდენჯერმე მოახდინა, რასაც დამნაშავეებმა კვლავ სროლით უპასუხეს. სწორედ ამის შემდეგ მოხდა დამნაშავეთა ადგილზე ლიკვიდაცია. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია სანადირო თოფი და ხელყუმბარები. ფერიაშვილის წინასწარი ვარაუდით, ეს სწორედ ის იარაღია, რომლითაც ბათიაშვილი, ხახუტაშვილი და ღელაღუტაშვილი მოკლეს.

მიუხედავად იმისა, რომ საბუესა და შილდაში მომხდარ მკვლელობებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე ყვარლის რაიონის პროკურატურაშია აღძრული, მკვლელობაში ეჭვმიტანილთა ლიკვიდაციის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე "მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებლობის ზომის გადაცილების" მუხლით

დედოფლისწყაროს რაიონის პროკურატურაში აღიძრა.

"ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, დღეს დამნაშავეთა ლიკვიდაცია კანონის სრული დაცვით მოხდა. მიუხედავად ამისა, გამოძიება მაინც უნდა ჩატარდეს და მასალები ჩვენთან აღძრულ საქმეს მიუერთდეს", – ამბობს ყვარლის რაიონის პროკურორი.

შსს-ს თანამშრომლებს მთავარ სამხედრო პროკურატურაში დაკითხავენ

დღეს სამხედრო პროკურატურაში თბილისის საგზაო პოლიციის უფროსს გიორგი ვაწაძესა და შინაგან საქმეთა სამინისტროს კიდევ ერთ თანამშრომელს - დავით ბეჟუაშვილს დაკითხავენ.

მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე ორი დღის წინ საბრძოლო და ასაფეთქებელი მოწყობილობების უკანონოდ შემოტანის მუხლით არის აღძრული.

დავით ბეჟუაშვილი და გიორგი ვაწაძე დაკითხვაზე გუშინაც იყვნენ დაბარებულები, მაგრამ არ გამოცხადებულან. "თუ იმავეს გაიმეორებენ, მაშინ სამხედრო პროკურატურა ადეკვატურ ღონისძიებებს მიმართავს", - აცხადებს მთავარი სამხედრო პროკურორი გია ჯიქია. .

შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები - გიორგი ვაწაძე და ბეჟუაშვილი 23 ნოემბერს შესაბამისი ლიცენზიის გარეშე ცდილობდნენ ბაქოდან უკრაინული წარმოების 300-მდე ცრემლსადენი გაზის ბალონისა და 100-მდე კვამლგამშვები მოწყობილობის შემოტანას. მესაზღვრეებმა ეს ნივთიერებები წითელ ხიდზე, მანქანის საბარგულში აღმოაჩინეს. იმის გამო, რომ ტვირთის შესახებ არანაირი დოკუმენტაცია მანქანაში მყოფებს - ბეჟაშვილსა და ვაწაძეს არ გააჩნდათ, მესაზღვრეებმა ცრემლსადენი ბალონებით დატვირთული ყუთები დაიტოვეს, მფლობელებს არ გამოატანეს. ბეჟუაშვილმა და ვაწაძემ მესაზღვრეებს განუცხადეს, რომ აღნიშნული მასალები შინაგან საქმეთა უკვე ყოფილი მინისტრის კობა ნარჩემაშვილის დავალებით შემოჰქონდათ. ამის მიუხედავად, მათ ტვირთის ჩაბარებაზე უარი თქვეს, თუმცა ხანგრძლივი კამათის შემდეგ იგი ადგილზე დატოვეს და თავიანთი კუთვნილი "მერსედესის" მარკის ავტომანქანით ადგილიდან მიიმალნენ.

როგორც "24 საათისთვის" გუშინ გახდა ცნობილი, მათთან ერთად იმყოფებოდა მესამე პიროვნებაც, რომლის ვინაობაც დგინდება.

შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა "24 საათთან" საუბრისას არ დამალა, რომ ცრემლმდენი საშუალებები მართლაც მისი დავალებით მოჰქონდათ მის თანამშრომლებს. **"ამ საშუალებებს მიტინგის დასაშლელად გამოვიყენებდით იმ შემთხვევაში, თუ ამის საჭიროება იქნებოდა",** - განაცხადა ექსმინისტრმა.

24 საათი

ალექსანდრე მაისურაძეს განაჩენს გამოუტანენ

სავაჭრო ცენტრ "მორკინალის" მეპატრონის ჯონი გიგანის ავტომანქანის აფეთქებაში ბრალდებულის ალექსანდრე მაისურაძის სასამართლო პროცესი დასასრულს უახლოვდება. მიუხედავად იმისა, რომ მაისურაძე მისთვის წაყენებულ ბრალდებებში თავს დამნაშავედ არ ცნობს, რამდენიმე დღეში მოსამართლე ჯემალ ლეონიძე განაჩენს გამოიტანს.

ინგა ალავიძე

დღეს განსასჯელის ადვოკატი ვლადიმერ გაბრიჩიძე თავის სიტყვაში საბოლოოდ შეეცდება განზრახ მკვლელობასა და იარაღის უკანონო შენახვაში ბრალდებული უშიშროების ყოფილი პოლკოვნიკის უდანაშაულობის დამტკიცებას. გუშინდელ პროცესზე კი საბოლოო სიტყვა სახელმწიფო ბრალმდებელმა თქვა. პროკურორმა განსასჯელისთვის წინასწარი გამოძიების – თბილისის პროკურატურის მიერ წაყენებული ბრალდება დამტკიცებულად მიიჩნია და ალექსანდრე მაისურაძის 15-წლიანი პატიმრობით დასჯა მოითხოვა.

შეგახსენებთ, რომ ალექსანდრე მაისურაძეს 8 მაისს, დაახლოებით 10 საათზე, სასტუმრო "აჭარასთან" ბიზნესმენ ჯონი გიგანის "ტოიოტას" მარკის "ჯიპი" აფეთქების მოწყობისთვის ასამართლებენ. თბილისის პროკურატურის მიერ დაწერილი საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ჯონის გიგანის ავტომანქანის აფეთქებას საფუძვლად დაედო ბიზნესპარტნიორებს - გიგანსა და მაისურაძეს შორის სამორინე "ოსკარის" წილების გამო წარმოქმნილი დაპირისპირება. გარდა ამისა, პროკურორის მტკიცებით, ალექსანდრე მაისურაძე უკანონოდ ინახავდა დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას.

როგორც ცნობილია, რამდენიმე კვირის წინ დაწყებულ სასამართლო პროცესზე თბილისის პროკურატურის მიერ გამოძიებული საქმე თავდაყირა დადგა და ახალი ვერსიის განხილვა მიმდინარეობდა. საქმე ისაა, რომ პროცესზე დაკითხულმა ჯონი გიგანმა უკმაყოფილება გამოთქვა მისი აფეთქების მცდელობის შესახებ გამოძიების მიერ დადგენილი მოტივაციის თაობაზე და გამოთქვა ვარაუდი, რომ სასტუმრო "აჭარასთან" მის წინააღმდეგ განხორციელებული აფეთქება პატარკაციშვილის მედია-ჰოლდინგის დაცვის უფროსმა ალექსანდრე მაისურაძემ, შესაძლოა, ბადრი პატარკაციშვილის დაკვეთით დაგეგმა და არა პიროვნული ინტერესის საფუძველზე. ჯონი გიგანის განცხადებით, პატარკაციშვილისა და მისი ბიზნესინტერესები საფეხბურთო კლუბ "დინამოს" გამო გადაიკვეთა. სწორედ ამიტომაც პროკურორმა მოითხოვა ბადრი პატარკაციშვილის მოწმედ დაკითხვა. მაგრამ მას შემდეგ, რაც პატარკაციშვილმა სასამართლოს წერილობითი ჩვენება გამოუგზავნა და განაცხადა, რომ გიგანს არ იცნობს და მასთან არასდროს არანაირი კავშირი არ ჰქონია, მოსამართლემ და პროკურორმა ამ ვერსიის განხილვაზე უარი განაცხადეს. ამ გადაწყვეტილებას, რატომღაც, ვერსიის ავტორის დაზარალებული ჯონი გიგანის ადვოკატიც დაეთანხმა. ერთი სიტყვით, ბადრი პატარკაციშვილის მიერ ჯონი გიგანის მკვლელობის შეკვეთის შესახებ არსებული ვერსია გამოირიცხა.

ალექსანდრე მაისურაძის პროცესი უზენაეს სასამართლოში დღეს განახლდება, ადვოკატის სიტყვის მოსმენის შემდეგ მოსამართლე განაჩენს გამოიტანს.

რუსთაველის გამზირიდან სახლში მიმავალ მომიტინგეებს თავს დაესხნენ

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, პარლამენტის შენობასთან მიმდინარე ხახლხმრავალი მიტინგიდან სამეგრელოში დაბრუნებულ მომიტინგეებით სავსე ერთ-ერთ მიკროავტობუსს გუშინწინ ყაჩაღები დაესხნენ თავს.

ოთხი ნიღბიანი, ავტომატებით შეიარაღებული თავდამსხმელი მიკროავტობუსს წინ გადაუდგა, ისინი სასწრაფოდ შეიჭრნენ გაჩერებულ მიკროავტობუსში და რუსთაველის გამზირიდან მიმავალ მგზავრებს ფული და ოქროულობა იარაღის მუქარით მოსთხოვეს. მიკროავტობუსში, ძირითადად, მამაკაცები იმყოფებოდნენ, რომლებმაც თავდამსხმელებს ისეთი წინააღმდეგობა გაუწიეს, რომ ყაჩაღებმა ვერც იარაღის გამოყენება მოახერხეს და ვერც მგზავრების დაყაჩაღება. თავდამსხმელებმა მიმალვა ამჯობინეს, სასწრაფოდ ჩასხდნენ ავტომანქანაში და გაიქცნენ. გაქცეულ თავდამსხმელებს მიკროავტობუსის მგზავრები მიკროავტობუსითვე გაედევნენ.

სენაკის გზაზე გადაჭარბებული სიჩქარით მიმავალი ყაჩალთა ავტომანქანა ჯერ ხეს შეეჯახა, შემდეგ კი თხრილში ჩავარდა.

სამი თავდამსხმელის ადგილზე დაკავება ვერც მიკროავტობუსის მგზავრებმა და ვერც შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად მისულმა სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის თანამშრომლებმა ვერ შეძლეს. მეოთხე თავდამსხმელი, რომელიც ავრიის შედეგად მძიმედ დაზიანდა, საავადმყოფოში გადაყვანამდე გარდაიცვალა.

როგორც ჩვენთან საუბარში სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის თანამშრომლებმა განაცხადეს, უკვე დადგენილია გაქცეული სამი თავდამსხმელის ვინაობა, რომელთა დასახელებისგან პოლიცია, ჯერჯერობით, თავს იკავებს. რაც შეეხება გარდაცვლილს, როგორც სამართალდამცველები ამბობენ, ის ადრე ყაჩაღობისთვის დაკავებული ჯონი ჯოჯუაა. ჩვენი იფორმაციით, გაქცეული სამი თავდამსხმელი ერთ-ერთი ცნობილი კრიმინალური დაჯგუფების წევრები არიან.

24 საათი

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი.
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
■ აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
■ ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

აფხაზებმა უნდა იცოდნენ, რომ ქართველებთან ურთიერთობა საშიში აღარაა

[illegible] ფოტო

თორნიკე ბერიშვილი

საქართველოში მომხდარი ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ პროექტი - "თქვენი აფხაზეთი" კიდევ უფრო აქტიურად შეუდგება დასახული მიზნის განხორციელებას და აფხაზეთის საკითხის პირველ რიგში გადმოწევას. მიმაჩნია, რომ საქართველოში განვითარებული მოვლენები პირდაპირ კავშირშია აფხაზეთის პრობლემის მოგვარებასთან.

ედუარდ შევარდნაძის გადადგომის შემდეგ, ქვეყანაში გაჩნდა უნიკალური შანსი, კარდინალურად შეიცვალოს ცხოვრების სტილი, დამოკიდებულება და მიდგომა მწვავე პრობლემებისადმი, მათ შორის - აფხაზეთის საკითხისადმი.

დღემდე ეს შეუძლებელი იყო იმიტომ, რომ შევარდნაძის პიროვნება და მის მიერ შექმნილი სისტემა ყველაფერს ამუხრუჭებდა.

ჩვენ თუ აქამდე ვცდილობდით, რომ პროექტი "თქვენი აფხაზეთი" ყოფილიყო ნეიტრალური და თავი შეეკავებინა შეფასებებისაგან, ახლა უკვე ამის დრო აღარ არის და რეალურად უნდა ვთქვათ, რას ვფიქრობთ.

აფხაზეთთან დაკავშირებით, სახელმწიფო სტრუქტურა არაფერს აკეთებდა. ყველა მოქმედება იყო მოჩვენებითი, თითქოს რაღაც კეთდებოდა. ეს იყო ხალხისათვის თვალში ნაცრის შეყრის პოლიტიკა. აბსოლუტურად უშედეგო აღმოჩნდა თამაზ ნადარეიშვილის მოღვაწეობა. ამიტომ მის საქმიანობას არანაირი პერსპექტივა აღარ აქვს. ასევეა მალხაზ კაკაბაძე, რომელსაც, თითქოს ევალებოდა ამ საკითხზე მუშაობა, მაგრამ მისი უწყება, რეალურად, იმისთვის არსებობდა, რომ გაკეთებულიყო ჩათვლა – სახელმწიფო ზრუნავს აფხაზეთის პრობლემაზე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ორივე სტრუქტურა შევარდნაძის სისტემის განუყოფელი ნაწილია, ამდენად, არ არის ორიენტირებული რეალობასა და რეალურ მიზნებზე, მოქმედებები არის არათანმიმდევრული და პალიატიური. ამ რიგის შემდეგი ოფიციალური პირია ასლან აბაშიძე, პრეზიდენტის ოფიციალური წარმომადგენელი აფხაზეთის საკითხში, რომელიც, გამოჩნდა, რომ არაფრის მომგვარებელი ყოფილა. მისი შეშინებული რეაქცია მიმდინარე მოვლენებზე, ჩოლოქის ჩაკეტვა და განცხადება, რომ არავითარი კავშირი აღარ ექნება ახალ ხელისუფლებასთან, ამის კიდევ ერთი დადასტურებაა. ცხადია, ამ ხალხთან არავითარი პირადი ინტერესი არ მაკავშირებს. უბრალოდ, მინდა ვთქვა, რომ აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ეს ადამიანები არც არაფერს აკეთებდნენ და ვერც ვერაფერს გააკეთებდნენ, გასაგები მიზეზების გამო. ფაქტობრივად გამოვიდა, რომ შევარდნაძეს და მის ჩინოვნიკებს ისევე არ სურდათ აფხაზეთის პრობლემის მოგვარება, როგორც არძინბას და მის სეპარატისტულ გარემოცვას.

ჩვენ გავხდით ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტის მომსწრე იმ მხრივ, რომ თუ საზოგადოებაში აზრი მომწიფდება და ისეთი რეალური სურვილი გაჩნდება, რომელსაც თავგანწირვა მოსდევს, გამარჯვება აუცილებლად მოვა. საქართველოში შევარდნაძის გადაყენება ისეთივე წარმოუდგენელი მოვლენა იყო, როგორც აფხაზეთის დაბრუნება, მაგრამ ეს მოხდა და თანაც როგორ – უსისხლოდ. ეს არის მაგალითი იმისა, რომ თუ საზოგადოება მოინდომებს და სწორ გზას დაადგება, აფხაზეთის პრობლემასაც გადავჭრით. აუცილებლად უნდა ავღნიშნო, რომ, როცა საზოგადოების მონდომებაზე ვლაპარაკობთ, ცხადია, მხოლოდ ქართულ საზოგადოებას არ ვგულისხმობთ. პრობლემის მოგვარება შესაძლებელია, თუ ორივე მხარე აქტიურ, თანაბარ და თანმიმდევრულ მონაწილეობას მიიღებს. ამ შემთხვევაში აფხაზები და ქართველები უნდა განვიხილოთ, როგორც საერთო პრობლემით შეწუხებული ერთი საზოგადოების ორი ნაწილი.

ამიტომ პროექტი - "თქვენი აფხაზეთი" ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ გააქარწყლოს დამკვიდრებული აზრი და საზოგადოება ერთ ჭეშმარიტებაში დაარწმუნოს - აფხაზეთი არც ისე შორსაა, როგორც აქამდე გვაჩვენებდნენ. ამ მიმართულებით სვლას აფხაზების მხრიდან შესაბამისი მოძრაობა უნდა მოჰყვეს, ისინი ჩვენსკენ უნდა გადმოიხარონ. შევარდნაძე და არძინბა – აფხაზეთის საკითხის გადაჭრის ორი ხელისშემშლელი ფაქტორია. შევარდნაძის პრობლემა მოიხსნა. ახლა იგივე აფხაზეთში უნდა მოხდეს. ეს ჩვენთვის იმის ნიშანი იქნება, რომ აფხაზეთის საზოგადოება მზადაა ქართველებთან თანამშრომლობისათვის.

საარჩევნო პერიოდში გამოვლინდა სამწუხარო ფაქტი, რომ საქართველოში აფხაზეთის თემა საარჩევნოდ არამომგებიანია. ამასთან დაკავშირებით, პოლიტოლოგებმა გააკეთეს პროგნოზი, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე წელიწადნახევრის შემდეგ სიტუაცია შეიცვლებოდა და აფხაზეთის თემა აქტუალური გახდებოდა. ეს რეალობა დაიმსხვრა. საპრეზიდენტო არჩევნები 40 დღეში უნდა გაიმართოს და პრობლემის თანდათანობით გააქტუალება ვეღარ მოხერხდება. ამიტომ ეს უნდა მოხდეს სწრაფად, მეთოდურად და გეგმაზომიერად.

მივუბრუნდეთ დღევანდელ ქართულ რეალობას. დაუმორჩილებლობის კომიტეტი, რომელშიც ინტელიგენციის წარმომადგენლები შედიოდნენ, დაიშალა, მაგრამ მე მინდა ისევ მივმართო საზოგადოების ამ ნაწილს, რომელმაც ურთულესი პრობლემების წარმატებით დაძლევის უნიკალური გამოცდილება შეიძინა, რომ ახლა აფხაზეთი გახდეს მათი აქტიური მსჯელობის საგანი, ისეთივე შემართებით, სულისკვეთებით და გეზით.

ასევე მინდა ვთხოვო "რუსთავი 2"-ს და ეკა ხოფერიას, მათ შეუძლიათ გადამწყვეტი როლის შესრულება პრობლემის გააქტუალურებაში, საზოგადოებრივი აზრის გამოცოცხლებასა და ასპარეზის შექმნაში. ამისათვის გარკვეული პერიოდულობით, რეგულარობით და ჯიუტი თანმიმდევრობით გაშუქდეს აფხაზეთის საკითხი.

რუსეთის ფაქტორი. უახლესმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ თუ ჩვენს ქვეყანას ექნება ძალზე პრინციპული, მყარი და თანმიმდევრული პოზიცია, რუსეთი ინიციატივას კარგავს და, მოვლენების განვითარების ჩამორჩენის შიშით, ცდილობს სიტუაციას აჰყვეს. ჩემი აზრით, ამის მაგალითი იყო იგორ ივანოვის ელვისებური ვიზიტი და თავის ისე მოჩვენება, თითქოს სწორედ ის ხდება, რასაც დიდი ხანია რუსები ნატრობდნენ. ასე მოხდება აფხაზეთის საკითხშიც.

ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ახალი ხელისუფლების ფორმირებასა და საკადრო საკითხებს. აფხაზეთის პრობლემა ნებისმიერ სფეროს ეხება – სოციალურს, სამხედროს, განათლებას, ეკონომიკურს. ამიტომ ჩვენი სასიცოცხლო ინტერესია ყველა მინისტრი თუ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირი ახლა მაინც აღარ იყოს ნახევრადგანათლებული, პროვინციული უმასშტაბო აზროვნებისა და თავის კერძო მერკანტილურ ინტერესებზე ორიენტირებული. ნებისმიერი, თუნდაც ერთი ასეთი გამონაკლისი მინისტრი ან კომუნისტურ-კომკავშირული გადმონაშთი პრობლემის გადაწყვეტისაგან გვაშორებს.

რაც შეეხება აფხაზების რეაქციას საქართველოში მომხდარ ხავერდოვან რევოლუციაზე. შევარდნაძის სისტემა მათთვის ხელსაყრელი და მომგებიანი იყო. ისინი დარწმუნებულები იყვნენ ქართველების უმოქმედობაში და შედარებით მშვიდად ცხოვრობდნენ.

ახლა ვითარება რადიკალურად შეიცვალა. საქართველოს ხელისუფლებაში ქმედითუნარიანი ძალა მოვიდა, რომელიც რეალობას ადეკვატურად აღიქვამს. ამის გამო აფხაზებსაც რეალური მოქმედება მოუწევთ, იქნება ეს თანამშრომლობა თუ წინააღმდეგობა. ყოველ შემთხვევაში, გულგრილობა და დროის მცონარე დინება ვეღარ გაგრძელდება. აფხაზებმა რაღაც გადაწყვეტილება უნდა მიიღონ – ან საქართველო, ან რაიმე ალტერნატივა (ალტერნატივას, ჩემი აზრით, სრულიად გაურკვეველი პერსპექტივა აქვს). აფხაზებს აუცილებლად მოუწევთ პასუხის გაცემა საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ რეალურ წინადადებებზე, რაც საერთაშორისო საზოგადოებასთანაც შეთანხმებული იქნება. აფხაზები აღმოჩნდებიან ფაქტის წინაშე, რასაც უნდა მოჰყვეს თანხმობა ან წინააღმდეგობა. ორივე გულისხმობს აქტიურ მოქმედებას, რაც გამოიწვევს აღნიშნული საკითხისადმი აფხაზეთის საზოგადოების გამოცოცხლებას. აფხაზები ამბობდნენ, რომ საქართველოს შემადგენლობაში თავს დაცულად ვერ იგრძნობდნენ. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი და საერთაშორისო ორგანიზაციების გარანტიებით მოვუხსნათ მათ შიშის ეს სინდრომი. აფხაზებმა უნდა იცოდნენ, რომ ქართველებთან ურთიერთობა საშიში აღარ არის. ჩვენ რომ კონფლიქტურები და სისხლის მოყვარულები ვყოფილიყავით, მაშინ ეს სისხლი რუსთაველზე დაიღვრებოდა. ეს აფხაზებისთვისაც მაგალითი უნდა იყოს. ამასთან, აჭარაში სიტუაციის თვითდარეგულირების დიდი იმედიც მაქვს, რაც კიდევ ერთი მაგალითი იქნება აფხაზებისთვის. ეს იქნება მეორე პრეცედენტი, რაც აფხაზებთან ურთიერთობაშიც ძალიან მოგვეხმარება.

აქვე უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის საკითხისადმი ასეთი პროგრესული მიდგომა ძლიერი იმპულსი იქნება სხვა საერთაშორისო ინიციატივებისთვისაც, რასაც წარსული მთავრობის უმოქმედობა უპერსპექტივოს ქმნიდა. საბოლოოდ, ჩვენი საზოგადოების აქტიურობა, საერთაშორისო მხარდაჭერა და დაფინანსება რეალურ შედეგს გამოიღებს. ჩვენ ძალიან ცოტა დრო გვაქვს, ასეთი ეტაპები, როგორც დღეს არის, როდესაც პრინციპულად სწორი მიმართულებების საფუძვლის ჩაყრა შეიძლება, იშვიათია და მალე გადის ხოლმე. უნდა ვიჩქაროთ და არც ერთი ასპექტისადმი გულგრილნი არ უნდა ვიყოთ.

მივმართავ ყველას, ვინც კომპეტენტურია აფხაზეთის საკითხში: გამოცოცხლდით, გააქტიურდით, რათა ხელიდან არ გავუშვათ ხელსაყრელი მომენტი და აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტის რეალური გეგმა დავსახოთ. ეს არის დღეს საშური საქმე.

თორნიკე ბერიშვილი,
პროექტის – "თქვენი აფხაზეთი" კოორდინატორი

აფხაზეთში ყველა დაუცველია

ჩვენი დღევანდელი სტუმარია აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უშიშროების მინისტრი, გენერალი ლევან კიკნაძე, რომელიც სოხუმის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ტერორისტად გამოაცხადა. მას დააბრალეს 82 წლის მოხუცის აფხაზეთში შეგზავნა, რომელიც სეპარატისტებმა ტერორიზმის მუხლით გაასამართლეს და 7 წელი მიუსაჯეს.

ზაზა ფაჩუაშვილი

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ლევან კიკნაძე

ლევან კიკნაძე: "სკოლა სოხუმში დავამთავრე, პოლიტექნიკური ინსტიტუტი - თბილისში, მაგრამ სოხუმში დავბრუნდი და მუშაობა დავიწყე უშიშროების სისტემაში. გავიარე ყველა საფეხური რიგითი თანამშრომლიდან მინისტრამდე, ლეიტენანტიდან - გენერლობამდე. ბოლოს ვიყავი აფხაზეთის უშიშროების მინისტრის მოადგილე.

რა თქმა უნდა, მრავალი აფხაზი კოლეგა და მეგობარი მყავდა. ჩვენ, უშიშროების თანამშრომლები ერთ ბინაში ვცხოვრობდით და ოჯახებით ვმეგობრობდით. ჩვენი შვილებიც მეგობრობდნენ, მაგრამ მოხდა ომი და ერთმანეთს დავშორდით. სხვათა შორის, ბევრ მათგანს გული წყდება, რომ ჩვენი ურთიერთობები შეწყდა."

- ბატონო ლევან, ალბათ, გაქვთ მათთან სატელეფონო კავშირი. რას ამბობენ, რა მდგომარეობაა აფხაზეთში?

- სატელეფონო კავშირი არის, მაგრამ ისინი ჩვენთან საუბარს ერიდებიან. იქ დამყარებულია დიქტატურა და ყველას ეშინია, რომ მოუსმენენ და დააბეზღებენ. ამიტომ, ტელეფონით მხოლოდ ოჯახების მოკითხვა ხდება.

- თქვენი ინფორმაციით, როგორ ცხოვრობენ აფხაზეთში?

- აფხაზეთი ვერ დაადგა აღმშენებლობის გზას, როგორც ეს სეპარატისტებს სურდათ. დღეს იგი გადანაწილებულია სეპარატისტებსა და სხვა ტიპის კრიმინალებს შორის. სოხუმის ხელისუფლების მაღალ წრეებში გავრცელებულია კორუფცია. ტერიტორია დაყოფილია კლანური პრინციპით. ამას ისიც განაპირობებს, რომ სეპარატისტული ხელისუფლება ცდილობს, მადლობის ნიშნად, დიდი უფლებები მისცეს ბოევიკებს, რომლებიც იარაღით დათარეშობენ. შეიარაღებულები არიან, აგრეთვე, ე.წ. რეზერვისტებიც. თითქმის ყველა რაიონში, ყველა დასახლებულ პუნქტში შექმნილია კრიმინალური ბანდები, რომლებიც თავად "აკონტროლებენ" თავიანთ ტერიტორიებს, სოფლებს, ქალაქებს. ამის გარდა, არის ორგანიზებული კონტროლი სამრეწველო სფეროებზეც. ამის შეცვლა აღარ შეუძლიათ და შიშის გამო, არც არავინ ცდილობს.

ამიტომ, აფხაზეთში მარტო გალში დაბრუნებული ქართველები კი არ არიან დაუცველები, დაუცველია ყველა რიგითი მოქალაქე. შექმნილია სუფთა აპარტეიდული რეჟიმი. ცხადია, განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია არააფხაზი მოსახლეობა. ასეთ მძიმე კრიმინოგენულ ვითარებას თავად აფხაზებიც აღიარებენ.

დაუცველობის შესახებ ერთ მაგალითს მოგიყვანთ. ოქტომბერში ჩავატარეთ სპეცოპერაცია და ზუგდიდის რაიონში დავაკავეთ ჩაგელიას გატაცებაში ეჭვმიტანილი სამი ქართველი კაცი, ერთი წალენჯიხელია, ორი – გალელი. ისინი იტაცებდნენ ქართველებს, გადაჰყავდათ აფხაზეთის ტერიტორიაზე და ყიდდნენ. კერძოდ, ფულს იღებდნენ ბუტბას ბანდიტური დაჯგუფების ხელმძღვანელისგან.

ეს როგორ გააკეთეთ-მეთქი, ვკითხეთ და...იცით, რა გვიპასუხეს?! - ჩვენ გალში მძევლებად ვართ და იმას ვაკეთებთ, რასაც გვაიძულებენ. ასე მოხდა ენგურის ზოლის სრული კრიმინალიზაცია. კრიმინალებმა საერთო ენაც გამონახეს და დაიწყო აღურიცხავი ტვირთების გადატანა-გადმოტანა. 100 დოლარს თუ გადაიხდი, ყოველგვარი ვიზის გარეშე შემოგიყვანენ რუსეთიდან გადმოატარებენ მთელ აფხაზეთს და მოგაცილებენ ენგურამდე. ტვირთსაც გადმოიტანენ. ეს სარფიანი საქმე გახდა.

ჩვენ ყველა ამ პრობლემის მოგვარება ვცადეთ, საზღვარიც გადავკეტეთ, ბანდიტური ჯგუფების აყვანაც დავიწყეთ, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია.

- რა კრიმინალურ ჯგუფებზეა ლაპარაკი?

- ჩვენ გვაქვს დოკუმენტური მასალა იმის შესახებ, რომ დღეს აფხაზეთის თავს აფარებს ყველა რჯულის კრიმინალი, დაწყებული დსთ-ს სივრციდან - ახლო და შედარებით შორეული საზღვარგარეთით დამთავრებული. იქ არის ქართველი ძებნილების ნაწილიც. ჩვენ რუსეთის სპაცსამსახურებთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს და ვაწვდით დადგენილი დამნაშავე პიროვნებების ვინაობასაც. მათ შორის ტერორისტობაში ეჭვმიტანილებიც არიან. ამ ბოლო დროს შემაშფოთებელი ვითარება გამოიკვეთა - აფხაზეთი საერთაშორისო ტერორიზმის ბუდეც ხდება. შეიძლება ვინმეს ხმამაღალ ნათქვამად მოეჩვენოს, მაგრამ ნახეთ, რა ხდება. ზღვის სასაზღვრო ზოლი დაუცველია. თითქმის დაუბრკოლებლად ხდება გემების გადაადგილება მთელი არაბული სამყაროდან. ჩვენ გვაქვს ფაქტობრივი მასალა იმისა, როგორ შედიან გემები აფხაზეთში და როგორ შეაქვთ და გამოაქვთ ყველაფერი, რაც მოესურვებათ. ამის გამო, აფხაზეთი თანდათანობით ნარკოტიკების, იარაღის გადატანისა და ბოევიკების გადაყვანის საერთაშორისო დერეფნად გადაიქცა.

- რა ინფორმაცია გაქვთ ეკონომიკური დანაშაულის შესახებ?

- გააქტიურდა ეკონომიკური თანამშრომლობა რუსეთის სამხრეთის ოლქებთან – კრასნოდარი, სტავროპოლი. მრავალი ხელშეკრულებაა დადებული სამთავრობო დონეზე, რათა დაიწყოს თანამშრომლობა სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის. ფიგურირებენ მოსკოვის მერი ლუჟკოვი, ზემოთ აღნიშნული მხარეებისა და სხვადასხვა სამეცნიერო, თუ სამრეწველო დაწესებულებათა ხელმძღვანელები. საერთო უყურადღებობის ფონზე, ამ "თანამშრომლობამ" შემაშფოთებლად ფართო მასშტაბები მიიღო. ამის დოკუმენტური მასალებიც გვაქვს. მაგალითად, მაქვს დოკუმენტები იმის შესახებ, თუ როგორ სთხოვს აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების პრემიერი ხაჯიმბა მოსკოვის მერიას, წაიღონ სხვადასხვა ხე-ტყე, მარმარილო და სხვა წიაღისეული. ამ თხოვნებს, შესაბამისად, დიდი ყურადღებით ეპყრობა ლუჟკოვიც.

აფხაზეთიდან განუსაზღვრელი რაოდენობით გააქვთ ხე-ტყე, ქვანახშირი, გრანიტი, მარმარილო და ყველა სახის სხვა წიაღისეული სიმდიდრე. რეწვა მიმდინარეობს დაუშვებელი, ბარბაროსული მეთოდებით. იჭრება ძალიან ძვირადღირებული იშვიათი ჯიშის ხეები. სრულიად ნადგურდება აფხაზეთის ფლორა და ფაუნა და ამით მდიდრდებიან ცალკეული კლანები. აღარაფერს ვამბობ ციტრუსებზე.

ფსოუს საზღვარზე, ზემოთ არის დასახლება "აიბგა", რომელიც განთქმულია იშვიათი ჯიშის ხეტყით და სხვა სიმდიდრითაც. რამდენიმე წლის წინათ იქ რუსებმა დაიწყეს გზის გაყვანა და ხე-ტყის გატანა. შემდეგ რუსეთმა ამ ტერიტორიაზე პრეტენზიაც გამოაცხადა და აფხაზებს იმ ხე-ტყის სანაცვლოდ აღარაფერი გადაუხადა. ამას, ცხადია, აფხაზები შეეწინააღმდეგენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. რუსები კი, ფაქტობრივად, საქართველოს ტერიტორიას დაეპატრონნენ.

- თავად რუსეთი როგორ პასუხობს ჩვენს პრეტენზიებს?

- რუსეთი გვისმენს, გვეთანხმება, რომ ეს ცუდია და ისევ თავისას აკეთებს. რაზეა ლაპარაკი, როცა რუსეთმა დაიწყო აფხაზეთის მოსახლეობის პასპორტიზაცია და მათთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება. ამიტომ, ამ ფაქტებისა და შექმნილი მძიმე სიტუაციის გამო უნდა გავავრცელოთ ინფორმაცია და მივიქციოთ მსოფლიო პროგრესული საზოგადოების ყურადღება.

- ცნობილია თუ არა ეს ფაქტები მსოფლიო თანამეგობრობისათვის?

- ყოველი ასეთი ფაქტის გამო ინფორმაცია განუწყვეტლივ ვრცელდება. ასე, რომ ჩვენ ყველაფერს ვაქვეყნებთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ამის გამო შეურაცხყოფას გვაყენებს და ჩვენს განცხადებებს ბოდვას უწოდებს. შეიძლება, ადამიანმა საკუთარი ქვეყნის სპეცსამსახურების არგუმენტირებული განცხადება ბოდვად შეაფასოს?! ისინი ამას იმიტომ აკეთებენ, რომ მიიღონ მორიგი გრანტები სახალხო დიპლომატიისათვის, რასაც აფხაზეთის არასტაბილური ვითარება საფრთხეს უქმნის.

- თქვენ რა აზრის ხართ სახალხო დიპლომატიაზე?

- სახალხო დიპლომატია ძალიან კარგია და აუცილებელი. ჩვენ ყველანი ამის მომხრე ვართ, მაგრამ სახალხო დიპლომატია აფხაზეთის დაბრუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იყოს და არა ერთადერთი საშუალება. რა თქმა უნდა, სახალხო დიპლომატიამ ხალხი შესარიგებლად უნდა მოამზადოს, საერთო ენა აპოვნინოს, მაგრამ თუ ჩვენ აფხაზეთში სეპარატიზმის ბუდე არ მოვშალეთ, არაფერი გამოვა.

ბევრ ინტერვიუში მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ აფხაზებს ავტომატებისა და ზარბაზნების ენაზე არ უნდა ველაპარაკოთ და ეს აქსიომაა, მაგრამ გვინდა ჩვენ თუ არა, სეპარატისტული რეჟიმის წინააღმდეგობის გადალახვა მოგვიწევს. ძალა იქნება ამისთვის საჭირო თუ ფული, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ამ საქმეს რომ მხოლოდ სახალხო დიპლომატია არ ეყოფა, ცხადია. ჩვენ ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ.

საზღვარგარეთისა თუ ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობა ამ მიმართულებით ერთიან პროგრამაში უნდა იყოს მოქცეული.

დღეს შექმნილია სახალხო დიპლომატიის ჯგუფები ოჩამჩირის, გალის, სოხუმის, აგრეთვე - წარმოებების მიხედვით. ეს კარგია, მაგრამ კოორდინაცია არ არის. ერთმა არ იცის, რას აკეთებს მეორე. ასე რომ, სამწუხაროდ, სახალხო დიპლომატიის კუთხით მოვიკოჭლებთ.

-კოორდინაცია ვინ უნდა გააკეთოს?

- ჩემი აზრით, კოორდინაცია სახელმწიფომ უნდა გააკეთოს. ჩვენ გვაქვს აფხაზეთის დაბრუნების პროგრამაც, მაგრამ ეს დღეს არავის აინტერესებს. ეს არის კომპლექსური გეგმა, რომელიც მოიცავს თითქმის ყველა საკითხს (სახალხო დიპლომატიიდან - ეკონომიკამდე), რაც აუცილებლად უნდა გადაიჭრას, რომ ჩვენ აფხაზეთის ტერიტორია დავიბრუნოთ. ეს საშური საქმეა, თორემ რაც წლები გადის, აფხაზეთი უფრო და უფრო გვშორდება. იწყება გაუცხოება.

- დევნილების განწყობილება როგორია?

- ძალიან მიჭირს იმის თქმა, რომ ჩვენთვის დღეს არავის სცალია. დევნილები ახსენდებათ მაშინ, როცა ქუჩის მასა სჭირდებათ. ჩვენს დევნილებს კი აღარაფრის განწყობა აღარ აქვთ. მაგრამ, თუ სასიკეთო ძვრები იგრძნეს, უმალ გამოცოცხლდებიან. ყველას უნდა აფხაზეთში დაბრუნება. მე, როგორც დევნილმა, შემიძლია ვთქვა, რომ დევნილებში ომი არავის უნდა. ჩვენ ვიცით, რომ ომი დამღუპველია. სხვათა შორის, ომის მომხრე არც ნადარეიშვილი ყოფილა. ის არის ძალის დემონსტრირების მომხრე და არა ომის. ეს სხვადასხვა რამეა.

ფოტოკონკურსი

საკონკურსო ფოტო №15.

ორი სიტყვით

საგანგებო რეჟიმი

თბილისში განვითარებული მოვლენების გამო, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას ბრძანებულებით, დე-ფაქტო ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურები მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ.

არძინბას განცხადებით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოუგვარებლობის ფონზე „საქართველოში მიმდინარე მოვლენები სოხუმში, ბუნებრივია, შეშფოთების საფუძველს იძლევა".

დღესვე სოხუმის ტელევიზიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ სეპარატისტულმა ხელისუფლებამ გალის და გულრიფშის რაიონებში, აგრეთვე, ლათას ხეობაში დამატებითი შეიარაღებული ძალები შეიყვანა. **მედია-ნიუსი**

შამბა ადასტურებს

სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა ადასტურებს საქართველოს ექს-პრეზიდენტის განცხადებას აფხაზური მხრიდან კონფლიქტის მოსაგვარებლად "სერიოზული იმპულსების" არსებობის თაობაზე.

შამბას განმარტებით, რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების მიერ 2003 წლის 6-7 მარტს სოჭში მიღწეული შეთანხმებებისა და გაერო-ს ინიციატივით ჟენევაში გამართულ უმაღლესი დონის 2 შეხვედრაზე მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად, აფხაზური მხარე მზადაა, გაერო-ს ეგიდით ქართულ მხარესთან მოლაპარაკებები განაახლოს. მან იმედი გამოთქვა, რომ საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინის ინიციატივით, დეკემბრის პირველ ნახევარში თბილისში დაგეგმილ შეხვედრაზე, რომელშიც გაერო-ს გენმდივნის მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას, მხარეები შეძლებენ მუშაობის დასრულებას შეთანხმებაზე "საომარი მოქმედებების განუახლებლობის საერთაშორისო გარანტიების მექანიზმების შესახებ", რომელზედაც მუშაობა მიმდინარე წლის ივნისში დაიწყო. **ინტერ-პრესი**

როგოზინის აზრი

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი როგოზინმა აფხაზ სეპერატისტთა სააგენტო „აფსნი-ინფორმს" ვრცელი ინტერვიუ მისცა.

კითხვაზე – რა აზრის ხართ იმის თაობაზე, რომ აფხაზეთი სსრკ-ს დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა და საქართველოს პრეტენზიები მის მიმართ უსაფუძვლოა, როგოზინმა ასე უპასუხა: „აფხაზეთი, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მაგრამ დღეს ეს სახელმწიფო არავის უცვნია მსოფლიოში. იურიდიულად აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაშია, მაგრამ ეს კუთვნილება დღესდღეობით ძალზე პირობითია. ფორმალურად, საქართველოს პრეტენზიებისთვის საფუძველი აქვს, მაგრამ მსგავსი პრეტენზიები პოლიტიკური, აფხაზეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების გზით უნდა განხორციელდეს". **მედია-ნიუსი**

გუდაუთის ბაზისა

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მყოფი დსთ-ს სამშვიდობო ძალებისთვის გუდაუთის სამხედრო ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურის ნაწილის დროებით სარგებლობაში გადაცემის საკითხის განხილვას საქართველოს მხარე მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ ეს პროცესი ეუთო-სა და გაერო-ს მეთვალყურეობით განხორციელდება.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, ქართულმა მხარემ მოამზადა და რუსეთის საგარეო უწყებას წარუდგინა სპეციალური დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს გუდაუთის ბაზის დახურვისა და მისი ცალკეული ინფრასტრუქტურით სამშვიდობო ძალების მიერ შემდგომი სარგებლობის ტრანსფარენტულობის უზრუნველყოფას. დოკუმენტში მოცემულია ამ პროცესებში საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობის მექანიზმი.

საქართველოს მხარე მის წინადადებებთან დაკავშირებით ოფიციალური მოსკოვის პოზიციას უახლოესი ერთი თვის განმავლობაში ელოდება, რათა ეს საკითხი დეკემბრის ბოლოსთვის თბილისში დაგეგმილ, სამხედრო საკითხებთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დღის წესრიგში შევიდეს. **მედია-ნიუსი**

უმდიდრესი აფხაზი

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს უმდიდრესი დეპუტატი ეთნიკური აფხაზი ოთარ არშბაა. იგი „ედინაია როსიას" წევრია. მისი შემოსავალი ყოველწლიურად 97.079.993 რუბლს აღწევს. შემოსავლის წყარო შპს „ევრაზჰოლდინგია". ასევე სოლიდური შემოსავალი აქვს ფასიანი ქაღალდებიდან. სერიოზული წილები აქვს კომერციულ ორგანიზაციებსა და უმდიდრეს კომპანიებში.

ფლობს მიწის ნაკვეთებს და საკუთარ სახლებს მოსკოვსა და საქართველოში; მისი სატრანსპორტო საშუალებებია „მერსედეს ბენცი S 320", „შევროლე ტახო", „ვაზ 21053", „ტოიოტა კამრი". **მედია-ნიუსი**